

## სერგო ვარდოსანიძე

### სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972 წ.წ.)

წიგნში აღწერილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, XX საუკუნის 60-70-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია, იმ დროს მოქმედი ეპარქიები და მღვდელმთავრები, სასულიერო პირთა მოკლე ბიოგრაფიები.

წიგნი ეძღვნება უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის ბერად აღკვეცის 50, მღვდელმთავრობის 44, კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების 30 წლისთავს. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. ავტორი მაღლიერებით მიიღებს სასარგებლო შენიშვნებს.

რედაქტორი: არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი)

რეცენზენტები: მანგლელი მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)

პროფესორი ზაზა აბაშიძე

დოქტორანტი თორნიკე ღვინიაძე

წიგნში არსებული სურათების მოწოდებისათვის მადლობას მოვასხენებთ ბატონ ლუარსაბ ტოგონიძეს.

ISBN 978-9941-0-0094-2

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სერგო ვარდოსანიძე

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი  
უწმიდესი და უნეტარესი  
ეფრემ II  
(1960-1972 წ.წ.)

დაიბეჭდა უწმიდესი და უნეტარესი  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
ილია II-ის ღოცვა-კურთხევით

თბილისი 2007 წ.

### ცხოვრების გზის დასაწყისი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II, ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე დაიბადა 1896 წ. 19 ოქტომბერს გორის მაზრის სოფელ დოესში სოფლის მედავითნის ოჯახში. დედა – მონაზონი, ღრმად მორწმუნე ქალი იყო და შვილებსაც ასე ზრდიდა. თერთმეტი წლისა იყო გრიგოლი, როდესაც დედა გარდაეცვალა. მამამ იგი გორის სასულიერო სასწავლებელში წაიყვანა, სადაც 1904-1912 წლებში სწავლობდა. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა. თერგდალეულთა იდეოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკლესიურ თავისუფლებას, ენაცვლებოდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია. იგი სოციალური პრობლემების გამძაფრებით საერთოდ უარყოფდა ეროვნულ საკითხებს. პრესაში დაიწყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის კრიტიკა, „მამული, ენა, სარწმუნოების“ დროშის ქვეშ შემოკრებილ ქართველობას უმტკიცებდნენ უკეთესი იყო „პროლეტარებო! ყველა ქვეყნისა შეერთდით“. პატრიოტიზმს – კოსმოპოლიტიზმი ენაცვლებოდა. 1907 წელს წიწამურთან მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. ეს ფაქტი ზუსტად შეაფასა გალაკტიონ ტაბიძემ „წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“. თუ პოლიტიკური ცხოვრება ასეთი პარადოქსებით, დაქსაქსულობით და პარტიული ნიშნით, ინდივიდუალიზმით ხასიათდებოდა, XX საუკუნის დასაწყისი საქართველოს სულიერი ცხოვრების განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა. ქართველმა სასულიერო პირებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდე, ანტონი, დეკანოზები: კალისტრატე ცინცაძე, ნიკიტა თალაკვაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, საერო პირები: იპოლიტე ვართგავა, პართენ გოთუა, სპირიდონ ჯაფარიძე, ალექსანდრე ლომთათიძე, რაფიელ ივანიცკი დიდი სამუშაო შეასრულეს, რათა ქართველ ხალხი დაერწმუნებინათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაში. პრესაში, სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პოლიტიკურ წერილებს დაერთო პრაქტიკული ნაბიჯები, 1905 წლის ქართველი სამღვდელთა თბილისის კრება, 1906 წლის პეტერბურგის სინოდის წინარე სხდომა. ბუნებრივია, გორის სასულიერო სასწავლებელში მყოფი გრიგოლ სიდამონიძის მსოფლმხედველობაზე დიდ ზეგავლენას მოახდენდა საქართველოში მიმდინარე პროცესები.

1912 წელს გორის სასულიერო სასწავლებლის დირექციამ სპეციალური რეკომენდაცია მისცა წარჩინებულ კურსდამთავრებულ გრიგოლ სიდამონიძეს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად. თბილისის სასულიერო სემინარიის ბოლო კურსებზე გრიგოლ სიდამონიძე დაუახლოვდა სემინარიის რექტორს, სიონის ტაძრის პროტოპრესვიტერ კორნელი კეკელიძეს,

რომელიც ხშირად ესაუბრებოდა ქართულ აგიოგრაფიაზე, საეკლესიო კანონიკის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. ახალგაზრდა სემინარიელი და რექტორი ვაკიდან (დღევანდელი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია ს.ვ.) საუბრით მიდიოდნენ სიონის ეკლესიისაკენ.

1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. სპეციალურად გასანთლულ ეტრატზე ავტოკეფალიის აღდგენის აქტის ხელის მომწერთა შორის იყვნენ შიო სიღამონიძე და გრიგოლ სიღამონიძე. ამის შემდეგ გრიგოლის მამამ ერთი წელი იცოცხლა, იგი 1917 წელსვე გარდაიცვალა.

გრიგოლ სიღამონიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში, შემდეგ იყო მორჩილი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ისა, 1918 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის, გრიგოლ წერეთლის, გიორგი ჩუბინიშვილის ლექციებს. ახლდაგახსნილი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დიდი სიხარული და ბედნიერება იყო 1918 წლის 26 მაისი, როდესაც ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. უნივერსიტეტის სტუდენტებს მოწიწებით და მომავლის იმედებით შესცქეროდა ქართველი საზოგადოებრიობა, თბილისში დიდი ზეიმით აღნიშნეს დამოუკიდებლობის ერთი წლისთავი, საქართველომ დაიჯერა, ევროპის ქვეყნები გაითავისებდნენ მის პრობლემებს. მაგრამ დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან თავი იჩინა ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის სიძნელეებმა: პოლიტიკურ პარტიათა შინაომები, საბჭოთა რუსეთისაგან ინსპირირებული კონფლიქტები შიდა ქართლსა და აფხაზეთში, სასაზღვრო კონფლიქტები ოსმალეთთან, სომხეთთან, რომელიც ფართო მასშტაბიან ომში გადაიზარდა. 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარები საქართველოს დედაქალაქში შემოვიდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ დასავლეთ საქართველოში გადავიდა... მალე მათ ბათუმში დატოვეს და საფრანგეთში გაემგზავრნენ. გაუქმდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, დათხოვნილ იქნა საქართველოს პარლამენტი, დაიწყო ქართული ეროვნული ღირებულებების გადაფასების ხანა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ 1920 წლის 15 აპრილს რევკომის დეკრეტით საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ჩამოართვა იურიდიული პირის სტატუსი. დაიწყო სამშობლოს თავისუფლების მოსურნე ადამიანების სასტიკი დევნა – შევიწროება. საქართველოსაკენ ინტერნაციონალიზმის დროშით გამოიბოდნენ რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ქვეყანა დაყვეს ავტონომიებად, ხოლო თვით საქართველო ეგრეთწოდებული სამოკავშირო ხელშეკრულებით ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში გააერთიანეს, ხოლო შემდეგ მოდერნიზებულ საბჭოთა იმპერიაში, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი უწოდეს.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ, ურთულესმა პოლიტიკურმა და სულიერმა მდგომარეობამ არაერთი ადამიანი ჩააგდო დეპრესიაში. ახალგაზრდა გრიგოლ სიღამონიძემ მიიღო გადაწყვეტილება უარი ეთქვა საერო ცხოვრებაზე და ბერად აღკვეცილიყო. 1921 წლის 21 დეკემბერს მან თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის: „თქვენო უწმიდესობავ! ბავშვობიდანვე მქონდა მისწრაფება ბერული ცხოვრებისა. ჩემი განზრახვა მრავალჯერ გამიზიარებია ცნობილი სასულიერო პირებისათვის.

ისინი სიხარულით შემომგებებიან და სათანადო მამობრივი ლოცვა-კურთხევით დაუფიქრებელი ვარაუდები არაა. აწ მომწიფებულ ასაკში მიღწეული სრული ჭკუა-გონებით და საღი შეგნებით აღჭურვილი, კადნიერებით გთხოვთ აღმკვეცოდ ბერად და ღირსმყოფელ მღვდელმონაზვნის ხარისხზე აღსაყვანად. მე მწამს მიუხედავად შავ-უკუღმართი დროისა და საექვო წუთისოფლისა, თქვენი უწმიდესობა ნდობის თვალთ და გულით შეხვდება ამ ჩემს მისწრაფებას და მომცემს საშუალებას, რათა სამღვდელმონაზვნო ხარისხში მყოფს შემეძლოს წინაშე წმ. ტრაპეზისა აღვაგლინო ლოცვა-ვედრება ღმრთისადმი, სამშობლოსადმი და ჩვენი მრავალტანჯული ეკლესიის ბედნიერებისათვის“.<sup>1</sup> გრიგოლ სიდამონიძემ განცხადებით მიმართა თბილისის უნივერსიტეტის რექტორს პროფ. ივანე ჯავახიშვილს და დატოვა უნივერსიტეტის დამამათავრებელი კურსი. ახალგაზრდა ბერმონაზვნობის მოსურნეს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, მისდა გასაოცრად სოფელ დოესის მღვდელმა მიხეილ ლუკაშვილმა, რომელიც კარგად იცნობდა გრიგოლ სიდამონიძის ოჯახს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოში გაგზავნილ წერილში ახალგაზრდა გრიგოლი „შეამბოხე და ეკლესიის მტრად“ გამოაცხადა. სოფლის მოძღვრის ასეთმა დაუმსახურებელმა, ტენდენციურმა დახასიათებამ გრიგოლი ძლიერ დააღონა, მაგრამ ფარხმალი არ დააყრევინა. მან საგანგებო განცხადებით მიმართა ურბნისის ეპარქიის ახალქალაქის მთავარსუცესს დაედასტურებინა ან უარყო მღვდელ მიხეილ ლუკაშვილის განცხადების შინაარსი. 1921 წლის 23 დეკემბერს შეკრებილმა ოლქის სამღვდელთა „დაადასტურეს სიყრმიდან აქამომდე კრება იცნობს გრიგოლ სიდამონიძეს, როგორც საუკეთესო ყმაწვილკაცს, ერთგულ შვილს საქართველოს ეკლესიისას, ხოლო მღვდელ მიხეილ ლუკაშვილის დასმენას თვლის, როგორც უსაფუძვლოს და პირადი ინტერესებით გამოწვეულს“.<sup>2</sup> უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი გაეცნო რა ოლქის სამღვდელთა წერილს, ლოცვა-კურთხევა მისცა სვეტიცხოვლის წინამძღვარს არქიმანდრიტ პავლეს (ჯაფარიძე) ბერად აღეკვეცა, გრიგოლ სიდამონიძე. ბერმონაზვნობის მოსურნეს სახელი ეფრემი შეურჩია მისმა სათაყვანებელმა მასწავლებელმა, პროფესორმა კორნელი კეკელიძემ. 1922 წლის 17 იანვარს გრიგოლი ბერად აღიკვეცა ეფრემის სახელით. 26 იანვარს სვეტიცხოვლის დეკანოზმა მათე მონასელიძემ მიადებინა „ფიცი კურთხევისათვის“, რომელშიც ვკითხულობთ: „მე გრიგოლ სიდამონიძე აწ წოდებული სამღვდლო მსახურებისათვის აღვთქვამ და ვფიცავ ყოვლად შემძლებელისა ღმრთისა წინაშე წმიდისა მისისა სახარებისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა, რომ მსურს და ვეცდები განვლო ესე მსახურება თანახმად ღვთისა სიტყვისა, საეკლესიო კანონთა და მთავრობის ბრძანებათა: ღვთისმსახურებანი და საიდუმლონი შევასრულო კრძალვითა და მიხედვით ეკლესიის განჩინებისა, ჩემისა ნებით არაფერი არ შევცვალო: აღსარება სარწმუნოებისა ვიპყრო და სხვას გარდავცე მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმიდათა მამათა ხელმძღვანელობით“.<sup>3</sup> როგორც უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის რეზოლუციიდან ჩანს, 1923 წლის 14 იანვარს ბერმონაზონი ეფრემი ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად. „ჩვენება კურთხევისაში“ ბერმონაზონმა ეფრემმა ვაღიარებულა აიღო, რათა ემსახუროს ქრიტიანული სარწმუნოების განმტკიცებას, ღვთისმსახურება შეასრულოს პატიოსნად და უღირსი ყოფაქცევით არასოდეს არ დააბრკოლოს მორწმუნენი.

1922 წლის აპრილში უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით საგანგებო მემორანდუმი გაუგზავნა გენუის საერთაშორისო

კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და საერთაშორისო საზოგადოებას მოსთხოვა დაეცვათ საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელიც ფეხქვეშ იყო გათელილი საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის და მისი მარიონეტი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ქართველი ხალხის ეროვნული და სარწმუნოებრივი ინტერესების დამცველი სასულიერო პირები „ანაფორიან ინტრიგანებად“, „უშიდეს კონტრევოლუციონერებად“ მონათლა, და კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები და ზეწოლა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე. ასეთ ურთულეს ვითარებაში 1923 წლის 4 ივლისს მღვდელმონაზონი ეფრემი დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და დაინიშნა შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრად. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა აგრესიული ათეიზმის პროპაგანდა, ბოლშევიკურ პრესაში იბეჭდებოდა ასეთი შინაარსის წერილები: „მშრომელი მასების განთავისუფლება შეუძლებელია რელიგიის მოსპობის გარეშე“... „ვაწარმოებთ რა ბრძოლას სარწმუნოებრივი ცრურწმენის წინააღმდეგ ჩვენ ვქმნით ახალ მსოფლმხედველობას, რევოლუციონერულ წესებზე, ვაგებთ ახალ პირობებს და კომუნისტური ყოფა-ცხოვრების დამყარებით ნიადაგს ვაცლით გაბატონებულს და ძვალ-რბილში გამჯდარ რწმენას, დღესასწაულებს“.<sup>4</sup> ოფიციალურად ადმინისტრაციული წესით დაიწვეს ეკლესია-მონასტრების დახურვა, წაქეზებულ იქნენ სხვადასხვა კრიმინალური ჯგუფები, რომელნიც თავს ესხმოდნენ ეკლესია-მონასტრებს, ძარცვავდნენ მათ. რამდენჯერმე მოხდა თავდასხმა შიომღვიმის მონასტერზე, სადაც დახოცეს სასულიერო პირები. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დამე მოსალოდნელი იყო ახალი თავდასხმა, მღვდელ-მონაზონი ეფრემი ტაძარს არ ტოვებდა. 1924 წლის მარტში, როდესაც მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრებისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უშიდესი და უნეტარესი ამბროსის სასამართლო პროცესი, შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, როგორც მოწმე გამოძახებულ იქნა სასამართლოზე ჩვენების მისაცემად. მოსამართლეს აინტერესებდა, რა ინფორმაცია ჰქონდა მღვდელმონაზონ ეფრემს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს განკარგულებით თბილისიდან ქუთაისში გადატანილი საეკლესიო განძეულობის შესახებ, მაგრამ მღვდელმონაზონმა ეფრემმა უპასუხა, რომ განძის გატანის საკითხებზე მან არაფერი იცოდა, ვინაიდან იმ დროს იგი უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და აქტიურად არ მონაწილეობდა ეკლესიის საქმიანობაში. საარქივო მასალებიდან ჩანს, თუ რა მძიმე ვითარებაში იყო შიომღვიმის მონასტერში მყოფი მღვდელმონაზონი ეფრემი. იგი ხელისუფლებას მიმართავს თხოვნით გამოუყონ მგზავრობის ხარჯები, ვინაიდან მას არ აქვს არავითარი საშუალება, რათა დაბრუნდეს მონასტერში. ამის შემდეგ, ხელისუფლებამ მღვდელმონაზონ ეფრემზე დააწესა ფარული თვალთვალი.

1925 წლის 22 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უშიდესი და უნეტარესი ამბროსის ლოცვა-კურთხევით მღვდელმონაზონი ეფრემი აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა დიდი გომარეთის მრევლის მღვდლად და ბორჩალოს მაზრის მთავარხუცესად, როგორც 1925 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებული მისი საკათალიკოსო საბჭოსადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა იგი მოვალეობის შესრულებას შეუდგა სოფელ დიდ გომარეთში. იმ დროს, როდესაც თვით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიდუმლო მოხსენება ადასტურებდა „უკანასკნელ ხანებში მორწმუნეთა და კულტის მსახურთა დევნამ მიიღო მწვავე ხასიათი, რაც გამოიხატება არა მხოლოდ იდეურ ანტირელიგიურ

პროპაგანდაში, არამედ და უმთავრესად ადმინისტრაციულ დევნაში, სოფლებში არ აჩერებენ მღვდელს, უკრძალავენ ნათლობას, ჯვრისწერას წესების შესრულებას. სამღვდლო პირთა შვილებს არ იღებენ სკოლებსა და სასწავლებლებში“.<sup>5</sup> მრავალეროვნულ რეგიონში, სადაც პოლიტიკურთან ერთად რელიგიურ-კონფესიურ ინტერესთა სხვაობა გააქვნიას ახდენდა ყველაფერზე რთული იყო ახალგაზრდა მოძღვრისათვის, მაგრამ ეფრემმა მოახერხა თავი შეეყვარებინა ადგილობრივი მოსახლეობისათვის როგორც მათი ჭირისა და ღვინის თანამონაწილემ, უანგარო და კეთილსინდისიერმა ღვთისმსახურმა. იგი ერთნაირად ყურადღებიანი იყო როგორც ქართველების, ასევე იქ მცხოვრები ბერძნების მიმართ. 1926 წლის 27 მარტს არქიმანდრიტმა ეფრემმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „თქვენო უწმიდესობავ, ჩემდამი რწმუნებული სოფელ დიდი გომარეთის სამრევლოს ამ უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში არ ჰყოლია მღვდელი. მისი მოვლა პატრონობა თავს უღვიათ მეზობელი ბერძნის მღვდლებს ალექსი პარასკევიდს და მიხეილ მიხეილოს, გთხოვთ გაწეული სამსახურისათვის გამოუცხადოთ მადლობა“.<sup>6</sup> უწმიდესმა ამბროსმა დააკმაყოფილა ეფრემის თხოვნა, რამაც კიდევ უფრო აამაღლა მისი ავტორიტეტი ადგილობრივ ბერძენ მართლმადიდებლებს შორის. ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა ხელი შეეშალა არქიმანდრიტ ეფრემისათვის, მაგრამ იგი მაინც თავის საქმეს აკეთებდა.

1927 წლის მარტში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ არქიმანდრიტი ეფრემი გადმოყვანილ იქნა მცხეთა-თბილისის ეპარქიის ქორეპისკოპოსად. 26 მარტს დროებითი მმართველობის თავმჯდომარის მიტროპოლიტ ქრისტეფორეს მიერ იგი აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში. არქიმანდრიტ ეფრემის კურთხევას სვეტიცხოველში დაესწრნენ: მარგველი ეპისკოპოსი ვარლამი (მახარაძე) და ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი). მღვდელმთავრის უძძიმესი ტვირთის აღება იმ დროს, როდესაც მარტო მცხეთა-თბილისის ეპარქიაში 1927 წელს ოფიციალური მონაცემებით გაძარცვეს თბილისის კუკიის, ვერის წმიდა ნიკოლოზის, მთაწმინდის, ავლაბრის, ფერისცვალების ეკლესიები, როდესაც სასულიერო პირები საერთოდ კანონგარეშე იყვნენ გამოცხადებული, გმირობის ტოლფასი იყო. ფრიად საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა ეპისკოპოსმა ეფრემმა, როდესაც მიიღო მღვდელმთავრის კვერთხი.

„ყოვლად უსამღვდელოესნო მეუფენო. ყოვლად პატიოსანნო მამანო და ძმანო! მესმის ხმა უფლისა. მომწოდებელი ჩემისა უღირსებისა. მშობლიური ეკლესიის სადარაჯოზედ გუშაგად დადგინებისა. მესმის და ვძრწი. წარმოუდგება რა ცხადად თვალთა გონებისა ჩემისათა მთელი სიდიდე მღვდელმთავრობისა, სიძნელე და დაბრკოლებანი, რაიცა მარად სდევს მას და უფრო ვძრწი ვითვალისწინებ რა უძლურებასა ჩემსა.

მეშინის, ოდეს მოვიხსენებ მღვდელმთავრობას ჩემსა, ჰოი, სულო ჩემო, ამიერიდან სხვათა მიმცემლო მადლისა, მრავალთა უმადლეს ეკლესიური ნდობა დავალებათა დაჯილდოებულს ძალგის დაიცვა თავი შენი, რათა არა შთავარდე პატივსა და მთავრობის მოყვარებასა.

ამ საპასუხისმგებლო დროს მადლობით მოვიხსენიებ ჩემს კეთილს მყოფელთ მასწავლებელთ, რომელთაც განმომტკიცეს სიყრმიდან ჩანერგილი სიყვარული ეკლესიისა და საზოგადო საქმისა. მადლობით ვიხსენებ ჩვენს ახლადანთებულ ლამპარს თბილისის უნივერსიტეტის აღმშენებელთ, რომელთა ხელმძღვანელობით მე ვითვისებდი ცოდნას წლის განმავლობაში. მადლობით ვიხსენებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს ამბროსის,

რომელმაც მხურვალე სიყვარული და მამობრივი მზრუნველობა გამოიწია. მაგრამ ამ ჩემთვის საშინელსა და სანეტარო თემას სიმდაბლით შეგივრდებით და გულმოდგინეთ გვევდრებით: ოდეს დამდებთ მადლის მიმნიჭებელთა წმიდა ხელთა თქვენთა, თავსა მისსა უღირსებისა. მხურვალედ ადგავდებით ლოცვასა, წინაშე მაცხოვრისა, რათა მომანიჭებდეს ნიჭსა ჩემსა ცოდვათა განცდისასა და შემომარტყამდეს ძალსა სულის სიწმიდისა, სიმდაბლისა და მოთმინებისასა. დაე, მღვდელმთავრობა ჩემი მასწავლებდეს ჩემსა უღირსებაზე, უძლურებაზე დაე, მღვდელმთავრობა ჩემი მარად მოჰგვრიდეს თვალთა ჩემთა სინანულისა ცრემლთა დენასა! დღევანდელი ჩვენი ეკლესიის მწვავე მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს მტკიცე და მაღალ ღირსებით მოსილ მღვდელმთავარს; რათა მისი ხმა არ დარჩეს ვითარცა ხმა მდალადებლისა უდაბნოსა შინა, რომ შეძლოს დამშვიდება აღშფოთებულთა, დაანთოს ცეცხლი სიყვარულისა, შექმნას საამისო მდგომარეობა ხელსაწყობად ნაყოფიერი მუშაობისა. მართებს მღვდელმთავარს, რათა ზე იდგეს ამო პატივმოყვარეობაზე, ხოლო ცხოვრებას ეგზომ მოიხმარდეს მაცხოვრის დიდ მოძღვრებას წმიდა სახარებისა და ეგრევე აქენდეს ცხოვრების ეგზომ შესაფასებლადაც ეპისკოპოსის მოვალეობაზე იქადაგოს ჭეშმარიტება, იყოს გონებით ბრძენი და ცხოვრებით უბრალო, იყოს მტკიცე, ბრწყინავდეს საქმენი მისნი. დაე, აღსრულდეს განგება ღვთისა, მორჩილ ვარ, მადლობით მივიღებ და არა რას მცირესა წინააღმდეგობასა ვიტყვი“.<sup>7</sup>

## 2. მღვდელმთავრობის ხანა

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებაში მოხდა არქიმანდრიტ ეფრემის ეპისკოპოსად კურთხევა. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფი, რომელსაც მხარს ოფიციალური ხელისუფლება უჭერდა მოვიდა საეკლესიო იერარქიის სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ მათ განაცხადეს, რომ ემიჯნებოდნენ საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის კურსს, რომელიც შეფასებული იყო, როგორც „ანტისაბჭოთა, კონტრევოლუციური“. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფ. მახარაძისადმი გაგზავნილ წერილში 1928 წლის 1 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III აღნიშნავდა: „მღვდლებს სრულიად ათახსირებენ, რევოლუციის გულზე დადებიან კი აშინებენ, ეპისკოპოსებს ნებას არ აძლევენ ინახულონ ეკლესიები და სწირონ. ზრდიან სასულიერო პირთა საშემოსავლო გადასახადებს... დღეს წარმოებული შევიწროებანი საქართველოს ეკლესიისა უდრის მის მოსპობას, რაც არ უნდა იყოს სასურველი არავისთვის“.<sup>8</sup> ხელისუფლება საერთოდ არაფერს აკეთებდა სინდისის თავისუფლების ოფიციალური აღიარების მიუხედავად. 1927-28 წლებში მოკლეს კახეთში, სოფ. მატანში მღვდელი ასათიშვილი, გორში მღვდელი აბრამიშვილი, დაანგრიეს ეკლესიები: ძირულში, ნატანებში, ასკანაში, ჩოჩხათში, კარდენახში, ყარსუბანში საქონელი შერეკეს ეკლესიაში.

1927 წლის 2 ოქტომბერს საკათალიკოსო სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოსის ეფრემის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად დანიშვნის შესახებ, ამავე დროს როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დებულება ითვალისწინებდა მას მიტროპოლიტის ხარისხშიც აიყვანდნენ. ეპისკოპოსმა ეფრემმა საკათალიკოსო სინოდისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა: „მიტროპოლიტობა ეძლევა, არა კათედრას, არამედ პიროვნებას ნიშნად მაღლობისა და პატივისცემისა, მისი განსაკუთრებული დვაწლისა და სამსახურის აღსანიშნავად. მე ახლა ვიწყებ საქმიანობას და პირდაპირ მმართველ მღვდელმთავრად დანიშვნა ისედაც რთულ ეპარქიაში, როგორც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაა არასწორად მიმაჩნია“.<sup>9</sup> ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ იგი ჯერ იწოდებოდა მანგლელად, შემდეგ ნინოწმინდელად, ხოლო 1927 წლის 17 ოქტომბრიდან ალავერდელად. ალავერდის ეპარქიაში უმძიმესი ვითარება დახვდა ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას სასულიერო პირების დანახვაც კი არ უნდოდათ, ისევე ანგრევდნენ ეკლესიებს, სასულიერო პირებს კი აიძულებდნენ უარი ეთქვათ ჯურისწერაზე, ნათლობაზე, მიცვალებულის წესის აგებაზე. ეპისკოპოს ეფრემს უფლებას არ აძლევდნენ ეწირა ალავერდში. 1929 წლის 5 იანვარს ეპისკოპოსი ეფრემი აიძულეს დაეტოვებინა ეპარქია და თბილისში ჩამოსულიყო და მრევლის მღვდლობა ეთხოვა რომელიმე ეკლესიაში. 1929 წლის 23 იანვრის კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III მოხსენებიდან ირკვევა „თბილისის წმ. ბარბარეს ეკლესიის რელიგიურ საზოგადოების კრებას თავის მოძღვრად აურჩევია ეპისკოპოსი ეფრემი. სინოდის დაუკითხავად მე ეპისკოპოსს მრევლის მღვდლად ვერ გავამწესებ და ამისათვის ვთხოვ სინოდს გადაწყვიტოს საკითხი შეიძლება თუ არა ეპისკოპოს ეფრემს მიეცეს მრევლი. იყოს მხოლოდ მრევლის მღვდლად და მოძღვრად“.<sup>10</sup> საკათალიკოსო სინოდმა შექმნილ ვითარებაში შესაძლებლად მიიჩნია როგორც გამონაკლისი ეპისკოპოსი ეფრემი დაენიშნათ წმ. ბარბარეს ეკლესიის მოძღვრად. მას თანაშემწედ დაუნიშნეს ერთი მღვდელი. ამავე დროს შეუთავსეს ბოლბის ეპარქიის მმართველობაც. 1930 წლის 24 ოქტომბერს

ეპისკოპოსი ეფრემი დაინიშნა ურბნისის ეპარქიის დროებით მმართველად, თუმცა კვლავ თბილისში იყო, ჯერ მთაწმინდის ეკლესიის წინამძღვრად, ხოლო 1931 წლის დასაწყისიდან ნავთლულის ეკლესიის დროებით წინამძღვრად.

1932 წლის 10 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III. 1932 წლის 21 ივნისს მეექვსე საეკლესიო კრებამ ახალ პატრიარქად აირჩია მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე. ეპისკოპოს ეფრემის წინსვლაში დიდი იყო კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III ღვაწლი... ახალ ვითარებაში პირველ ხანებში მას გაუჭირდა ურთიერთობები... 1932 წლის 13 ოქტომბერს ეპისკოპოსმა ეფრემმა განცხადებით მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო პლენუმს ურბნის-აწყურის ეპარქიის დროებითი მმართველის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ „დღესდღეობით ვერ ვახერხებ განვაგრძო ჩემზე დაკისრებული მოვალეობა და ვფიქრობ, არც ეპარქიისთვის არის სასარგებლო დროებითი პატრონი“.<sup>11</sup> ეპისკოპოს ეფრემის ეს განცხადება აღქმული იქნა, როგორც პროტესტი ახალი პატრიარქის მიმართ, ამიტომ საპასუხო ნაბიჯმაც არ დააყოვნა. მას ოფიციალურად ეცნობა: „სინოდის პლენუმის 1932 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებულ იქნას ყოველადსამღვდელო ეფრემი ურბნისის ეპარქიის მმართველად და გორის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად მისადმი რწმუნებულ ეპარქიაში დაბინავებით არაუგვიანეს ერთი თვისა“.<sup>12</sup> სინოდის ამ გადაწყვეტილებამ ეპისკოპოსი ეფრემი ძალიან გააწყენა: „მადლობა სინოდს, – წერდა იგი – მაგრამ ჩემთვისაც ხომ უნდა ეკითხათ, შემეძლო თუ არა დღევანდელ პირობებში ამ ტვირთის აწევა, უმორჩილესად გთხოვთ, ორი წლით შეაჩეროთ სინოდის დადგენილება, ვმუშაობ მუხეუმებში და წიგნსაცავებში“.<sup>13</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი კალისტრატე მიუღებლად მიიჩნევდა ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის თბილისში ყოფნას იმ დროს, როდესაც ეპარქიებში ურთულესი ვითარება იყო შექმნილი. ერთ-ერთ ჩანაწერში იგი გულახდილად წერდა: „ძველად სამღვდელოება იყო ინტელიგენცია, მაღალი შეგნებული, მოწინავე წრე, იგი ხელმძღვანელობდა ხალხის განათლების საქმესაც, გამორჩეული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში... ჩვენ ახლა ხალხს ვესაჭიროებით მხოლოდ საეკლესიო წესების აღსრულებისათვის... მთავარია როგორმე სიცოცხლე შევინარჩუნოთ, როგორმე ეკლესიები დანგრევას გადავარჩინოთ, როგორმე სარწმუნოება შევინახოთ“.<sup>14</sup> უწმინდესმა კალისტრატემ კატეგორიულად მოსთხოვა ეპისკოპოს ეფრემს ეპარქიაში წასვლა. 1933 წლის 9 ნოემბერს ეპისკოპოსმა ეფრემმა წერილობითი განცხადებით მოითხოვა ეპარქიის დავალებებისაგან სრული განთავისუფლება. „სინოდმა და მისმა უწმიდესობამ ისეთ გარემოებაში ჩააყენეს, რომ ჩემთვის შეუძლებელი ხდება მღვდელმთავრის მოვალეობის ტვირთის ზიდვა და იძულებული ვხვდები სამსახურზე ხელი ავიღო“.<sup>15</sup> ვითარების ასე გამწვავებას უწმიდესი კალისტრატე არ ელოდა, ამიტომ მან დეკანოზებს ი. მირიანაშვილს და ი. ცქიტიშვილს დაავალა ეპისკოპოს ეფრემის მონახულება და უკმაყოფილების მიზეზთა სრულად გარკვევა. როგორც ისინი უწმიდეს კალისტრატესათვის შედგენილ მოხსენებით ბარათში წერდნენ: „ვინახულეთ ეპისკოპოსი ეფრემი და მოვახსენეთ რომ იგი ვალდებულია ემორჩილებოდეს თავის უზენაეს ხელისუფლებას და მით საერთო დისციპლინას იცავდეს და სხვას აძლევდეს მაგალითს, როგორც სარკე ეკლესიისა. მან გვიპასუხა, რომ იგი ემორჩილება საკათალიკოსო სინოდის გადაწყვეტილებას, მაგრამ ასეთ პირობებში არანაირი სამსახური არ მინდაო“.<sup>16</sup> უწმიდესმა

კალისტრატემ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და დათმობაზე წავიდა, მაგრამ ეპისკოპოსმა ეფრემმა განმეორებითი განცხადებით კვლავ მოითხოვა სამსახურიდან სრული განთავისუფლება. 1933 წლის 8 მარტს დათარიღებული რეზოლუციით უწმიდესმა კალისტრატემ ეპისკოპოსი ეფრემი გაათავისუფლა ეპარქიის მღვდელმთავრის მოვალეობისაგან, მაგრამ შაბათ-კვირის გარდა უნდა ეწირა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

1934 წლის 25 იანვარს ეპისკოპოსმა ეფრემმა თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს კალისტრატეს: „მსურს დავათვალიერო ეჩმიაწინის სიძველენი და აგრეთვე პირადად გავეცნო ერევნის სახელმწიფო მუზეუმში დაცულს ქართულ ხელნაწერს, ცნობილ საიათნოვას დავთარს“.17 მისმა უწმიდესობამ მისცა სათანადო სიგელი ეჩმიაწინში წარსადგენად. სომხეთში ნაყოფიერი იყო მისი შემოქმედებითი მივლინება, გაეცნო ქართულ ხელნაწერებს. შეხვდა სომეხთა კათალიკოს ხორენს, რომელიც მანამდე თბილისის სომხურ ეპარქიას ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ეპისკოპოს ეფრემს ეპარქია არ ჰქონდა მას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დიდ ანგარიშს უწევდნენ, როგორც ნიჭიერ მღვდელმთავარს, მრევლის თავდადებულ მსახურს. 1936 წელს, როდესაც ქუთაისის ეპარქიაში ვითარება გართულდა სამღვდელოებასა და მმართველ მღვდელმთავარს შორის სინოდის 1936 წლის 21 მარტს დადგენილებით ეპისკოპოსი ეფრემი გაიგზავნა ვითარების შესასწავლად და მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

ოფიციალური ხელისუფლებისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. ე.წ. „პროგრესული სამღვდელოება“, რომელიც თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, აღიარებდა საბჭოთა სისტემის უპირატესობას და „რეაქციული სასულიერო პირები“, რომელთა მიმართ ხორციელდებოდა ტოტალური თვალთვალი, დასმენები და რეპრესიები. ეპისკოპოსი ეფრემი ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო. 1937 წელს კიდევ ერთმა დაპატიმრებების ტალღამ გადაიარა. 1937 წლის 10 დეკემბერს ეპისკოპოსი ეფრემი დაპატიმრებულ იქნა როგორც ხელისუფლებისათვის მიუღებელი და „სამეულის“ („ტროიკა“) გადაწყვეტილებით (მუხლი №58,11). გადაასახლეს ციმბირში. რვა წელი უმძიმეს ფიზიკურ შრომაში გაატარა მან საკონცენტრაციო ბანაკში, მაგრამ თავისი თავდაჭერილობით, მოყვასის სიყვარულით, გაჭირვებულთათვის ნუგეშის მიცემით ყველას პატივისცემა დაიმსახურა. გადასახლების წლების საშინელებებზე საუბარი არ უყვარდა, თუ ვინმე რამეს ჰკითხავდა, ცდილობდა საუბარი სხვა მიმართულებით წარემართა. უწმიდესი კალისტრატე ბევრს ეცადა მის შევლას, მაგრამ უშედეგოდ.

1944 წლის 2 ივლისს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ტაშკენტიდან ეპისკოპოსის ეფრემის ასეთი შინაარსის წერილი მიიღო: „თქვენო უწმიდესობა! სიყვარულით მოგესალმებით და გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს. ლაგერიდან მე გამათავისუფლეს 21 ივნისს. ჩემი უკანასკნელი ადგილი ციმბირი იყო. საქართველოში დაბრუნების უფლებას არ მაძლევენ. მითხრეს, საქართველოდან თუ გექნება გაწვევა, მაშინ წახვალ. ახლა თქვენზე დამოკიდებული ჩემი სამშობლოში დაბრუნება... სად მოვეწყობი არ ვიცი, არც ტაშკენტში მაძლევენ ცხოვრების უფლებას, უსახსროდ ვარ“.18 კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ სასწრაფოდ გაუგზავნა ფული ეპისკოპოს ეფრემს, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის აქსენტი რაფავას ოფიციალურად მიმართა: „გთხოვთ ნება დამართოთ გამოვიწვიო თბილისში მშობელი ეკლესიისათვის საჭირო ეფრემ ეპისკოპოსი“.19 ეპისკოპოსი ეფრემი სამშობლოში გამოემგზავრა. ბორანი, რომლითაც მას მდინარე

უნდა გადაეცურა მგზავრებით შევსებული დახვდა ბევრს ეხვეწა მათ როგორმე დაესვათ იქ, ვინაიდან ერთი კვირის ლოდინის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ მისი ხვეწნა არად ჩააგდეს. გამობრუნდა უკან დამწუხრებული, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ გაიგო ბორანის ჩაძირვისა და მგზავრების დაღუპვის ამბავი... რვა წლის განმორების შემდეგ ეპისკოპოსი ეფრემი თბილისში დაბრუნდა უწმიდესი კალისტრატეს გაგზავნილი ეტლი თბილისის სადგურში დახვდა ეპისკოპოსს ეფრემს. უწმიდესი კალისტრატე თავის რეზიდენციაში სადილზე ელოდა მას. აქვე იყვნენ თბილისის სამღვდელთა სასამართლოების წარმომადგენლები, მისი ახლობლები. ეპისკოპოსმა ეფრემმა თავი ვერ შეიკავა და ატირდა... უწმიდესმა კალისტრატემ იგი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად და მწვანე ყვავილის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა, 1945 წლის 12 ივლისს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ასეთი შინაარსის ბრძანება დაწერა: „ვიღებ რა მხედველობაში თქვენს თვრამეტი წლის მოღვაწეობას მღვდელმთავრის ხარისხში, მოგიბოძებთ მიტროპოლიტობას“.<sup>20</sup> ქუთაისის-გაენათის ეპარქიაში მიტროპოლიტმა ეფრემმა 1953 წლამდე იმსახურა. მის დროს მოწესრიგდა მოწამეთას ეკლესიის შესასვლელი, იგი დაუახლოვდა ქალაქის ინტელიგენციას, ხშირად მოგზაურობდა და აღაფლენდა წირვა-ლოცვებს ეპარქიაში მოქმედ ეკლესიებში. ცხოვრობდა პეტრე-პაველს ეკლესიის მახლობლად. უყვარდა განმარტობით ყოფნა. ხანდახან უსმენდა კლასიკურ მუსიკას, ხვდებოდა მორწმუნე მრევლს, ახალგაზრდობას ასწავლიდა ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულს.

1953 წელს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე. პატრიარქი გახდა მოსაყდრედ გამორჩეული ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკ III. უწმიდესი მელქისედეკის ურთიერთობა მიტროპოლიტ ეფრემთან რთული იყო, მიუხედავად იმისა, რომ 1953 წლის 28 მარტს მიტროპოლიტი ეფრემი დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით, დაძაბულობა მათ შორის არ ჩამცხრალა. პატრიარქ მელქისედეკს არწმუნებდნენ იმ მრავალრიცხოვან საჩივრების უკან, რომელიც საერო ხელისუფლებაში იგზავნებოდა, მიტროპოლიტი ეფრემი იდგა. რა თქმა უნდა ეს ასე არ იყო და ეკლესიის შიგნით შიდა დაპირისპირებები ისევე ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. მელქისედეკ III ასაკოვანი იყო და სერიოზულად ფიქრობდა მემკვიდრეზე. მან საგანგებოდ გამოიძახა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე) და განუცხადა, რომ წერილობითი განკარგულებით მას მოსაყდრედ დატოვებდა. მიტროპოლიტმა ნაომმა მადლობა მოახსენა უწმიდეს მელქისედეკს, მაგრამ უარი განაცხადა მოსაყდრეობაზე იმ დროს, როდესაც ეფრემი იყო საქართველოს ეკლესიაში პატრიარქის მოსაყდრე ის უნდა გამხდარიყო, მაგრამ მელქისედეკი არ დაეთანხმა მეუფე ნაომის მოსაზრებას, 1956 წლის 29 აგვისტოს მღვდელი ხარიტონ დევდარიანი ეპისკოპოსის ხარისხსში აიყვანა, 1959 წლის 24 ივლისს მას მიანიჭა მიტროპოლიტის წოდება, სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება და გამოაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ.

1953 წლიდან მიტროპოლიტი ეფრემი ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელია. ბათუმში მოღვაწეობის დროს იგი შეხვდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქ უწმიდეს ალექსანდრე III და ჰქონდა საუბარი საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების პრობლემებზე.

### 3. პატრიარქობის ხანა

1960 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III. საგანგებოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი, რომელსაც ესწრებოდნენ: ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი, ბოდბელი მიტროპოლიტი დიმიტრი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი, ურბნელი მიტროპოლიტი დავითი, თეთრიწყაროელი ეპისკოპოსი ზინობი. სინოდის სხდომა გახსნა ბოდბელმა მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (იაშვილი), რომელმაც აღნიშნა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აღარ ჰყავს მეთაური, რომელიც გამორჩეული იყო, როგორც ნიჭით, ასევე სულიერი ცხოვრებით. დღეს ჩვენ უნდა სწორად შევაფასოთ შექმნილი ვითარება და ვიმოქმედოთ ისე, რომ შთამომავლობამ არასოდეს საყვედურით გაიხსენოს 1960 წლის 11 იანვრის სინოდის სხდომა თავისი გადაწყვეტილების გამო. წინადადება შემომამქვს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ და მელქისედეკ III დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიოთ მიტროპოლიტი ეფრემი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს: მიტროპოლიტმა ნაომმა, ეპისკოპოსმა ზინობმა. ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა ოფიციალური განცხადებით მოიხსნა მოსაყდრის ტახტის დაკავების სურვილი. 1960 წლის 19-20 თებერვალს შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრება, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად აირჩია მიტროპოლიტი ეფრემი, ეფრემ II-ის სახელწოდებით.

საგანგებოდ შედგენილი სიგელი იტყობინებოდა: „სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელმან და ყოველთა მორწმუნეთა საქართველოსათა ერთითა ნებითა, ერთითა გულითა და ერთითა პირითა აღირჩიეს მთავონებითა, ღმრთისათა მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და თბილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მაღალყოვლად უსამღვდლოესი ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი“.<sup>21</sup> 1960 წლის 21 თებერვალს კვირას მოხდა მისი აღსაყდრება სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

XX საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა საქართველოში „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა“ იყო გამოცხადებული. არსებული სისტემის სახე კიდევ ერთხელ გამოჩნდა 1956 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენების დროს, როდესაც მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის პირდაპირ მითითებით ცეცხლი გაუხსნეს და დახვრიტეს თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილენი. მართალია ამ დროს პირდაპირ თითქოს აღარ დევნიდნენ სასულიერო პირებს, მაგრამ უშიშროების ორგანოები ავრცელებდნენ ჭორებს, ათასგვარ ცილისწამებას მათ მიმართ, რათა საზოგადოებისგან სრულად მოეწყვიტათ, საკუთარ თავში ჩაეკეტათ ეკლესია. კომუნისტურ ჟურნალ-გაზეთებში ანტირელიგიურ თემებზე იწერებოდა სტატიები. უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო კურსი იყო ათეიზმი. გაძნელებული იყო ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ამოქმედება. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა აპარატი უხეშად ერეოდა ეკლესიის საქმიანობაში. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია რომ მძიმე მდგომარეობაში იყო ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებდა. ამ დროს მოქმედი იყო 5 ეპარქია (7 მღვდელმთავრით), საპატრიარქოში შედიდა 100 მოქმედი ეკლესია, 2 დედათა და მამათა მონასტერი. 105-მდე სასულიერო პირი. საპატრიარქოს არ ჰქონდა ბეჭდური ორგანო, რეზიდენცია, სასულიერო სასწავლებელი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას არ აღიარებდა მსოფლიოს მართლმადიდებელ

ეკლესიათა უმრავლესობა. სახელმწიფოს მიერ ეკლესიები, სასულიერო პირები ისე იყო დაბეგრული, რომ შემოსავლის 87% სახელმწიფოს მიჰქონდა. მკაცრად კონტროლდებოდა თითოეული სასულიერო პირის საქმიანობა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული საპატრიარქო 1923 წლიდან სახელმწიფო საკუთრებაში იყო. კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია სიონის ეკლესიის გვერდით სულ 4 ოთახისაგან შედგებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემმა არაერთხელ მიმართა მთავრობას ან ძველი საპატრიარქო რეზიდენციას დაბრუნების ან ახლის აშენების ნებართვაზე. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის დ. შალუტაშვილისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „ჯერ კიდევ 1960 წელს ვითხოვდით საპატრიარქოს დაბრუნებოდა ის შენობა, სადაც დღეს რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველოა... თუ ეს ვერ მოხერხდება გთხოვთ ნება დაგვართოთ ვაკის ან საბურთალოს ტერიტორიაზე გამოგვეყოს ადგილი ორსართულიანი საპატრიარქო რეზიდენციისთვის“.<sup>22</sup> მთავრობას ახალი საპატრიარქოს თბილისში აშენებაზე უარი უთქვამს, შალუტაშვილი აცხადებდა შესაძლებელი იყო ასეთი ნებართვის გაცემა მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საერთოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებს საერო ხელისუფლებისათვის რელიგიის საქმეთა რწმუნებულის გარეშე ურთიერთობა ეკრძალებოდათ. 1963 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II ასეთი შინაარსის წერილით მიმართა რელიგიის საქმეთა რწმუნებულს ა. შალუტაშვილს „დაახლოებით თერთმეტი თვის შემდეგ ჩემი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევისა. 1960 წლის 8 დეკემბერს განვიზრახე განცხადებით შევსულიყავი უმაღლეს მთავრობაში ამ ნაბიჯის გადადგმას მავალდებულებდა სინდისი, სარწმუნოება, ჩემი ერის სიყვარული და ამათ წინაშე ჩემი პასუხისმგებლობის შეგრძნება. უფრო ახლო გავეცანი რა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ სინამდვილეს, ვცანი რომ თუ ასე გაგრძელდებოდა მისი სამწუხარო მდგომარეობა კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა... განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ღვთისმსახურთა რაოდენობა, ეს საკითხი დღესაც მძიმე ლოდინით ადგას ქართულ ეკლესიას გულზე და დღესაც საფრთხეს უმზადებს მას. 1962 წლის 3 ივლისს მომეცა შესაძლებლობა მქონოდა აუდენცია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ გივი ჯავახიშვილთან. ჩემი პირადი მოხსენების შემდეგ მან ბრძანა – რახან არსებობს ეკლესია მას უნდა ჰქონდეს სასწავლებელიც და გამომცემლობაც – ამას ისმენდა ჩემს გვერდით მჯდომი მაშინდელი რელიგიის საქმეთა რწმუნებული ბატონი მექვაბიშვილი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი არ გააკეთებულა“.<sup>23</sup>

უწმიდესი ეფრემ II გრძნობდა თუ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ღვთისმსახურთა მოსამზადებლად სასწავლებელი არ ექნებოდა მომავალი არ ჰქონდა. მღვდელ დავით გარსიაშვილის დაკრძალვაზე გულისტკივილით აღინიშნა: „აი, ყველა მოხუცებულები მივიღვართ და შემცველელი აღარავინ რჩება... რაზე გაურბის ქართველი ერი თავის მშობლიურ ეკლესიას და საყვედურით ეკიდება? განა იმიტომ, რომ ღვაწლი მიუძღვის სამშობლოსა და ერისადმი?“<sup>24</sup> უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის შეუპოვრობამ თავისი შედეგი გამოიღო. ხელისუფლება იძულებული გახდა 1962 წლის 30 ივლისს გაეცა ნებართვა მცხეთის სამოძღვრო კურსების გახსნის შესახებ. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II სასწავლებლის დირექტორად დანიშნა შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი), რომელმაც მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო სემინარიის და აკადემიის მართლმადიდებელი ეკლესიების სასულიერო სასწავლებლების სასწავლო პროგრამების ანალიზის

საფუძველზე ახლადგახსნილ სასწავლებელში მაღალ დონეზე დააყენა სასწავლო პროცესი, დისციპლინა. სასწავლებელში სამუშაოდ მიიწვია ცნობილი მეცნიერები. 1963 წლის 15 ივლისიდან დაიწყო რა ფუნქციონირება ამ სასწავლებელმა სულ მალე იგი სასულიერო სემინარიად გადაკეთდა. სასწავლებლის დირექტორი მეუფე ილია სასწავლებლის საკითხებზე ხშირად მიმართავდა უწმიდეს ეფრემ II-ს. საპატრიარქოს არქივში არაერთი ასეთი წერილია დაცული 1964 წლის 28 დეკემბერს მან პატრიარქ ეფრემ II ასეთი წერილი გაუგზავნა: „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ, ზეგ საშობაოთ ვითხოვთ სტუდენტებს. ხვალ 12 საათზე ვფიქრობთ პედსაბჭოს მოწვევას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო იქნება თუ ჩამობრძანდებით და დაესწრებით“.<sup>25</sup> უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II სემინარიის ყველა სტუდენტს პირადად იცნობდა ინტერესდებოდა თითოეულის საქმიანობით. მცხეთის სასულიერო სემინარიის წარმატებებით ბავშვივით ხარობდა.

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასულიერო პირთა და მღვდელმთავართა რაოდენობის გაზრდის საკითხს. ოფიციალური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, რომელიც ემზადებოდა საქართველოს მასობრივი ათეიზმის ქვეყნად გამოცხადებისათვის. მან 1963 წელს ეპისკოპოსად აკურთხა მოსკოვის სასულიერო აკადემიის წარჩინებული კურსდამთავრებული არქიმანდრიტი ილია. რომელსაც მარტო სასულიერო სასწავლებელი კი არ ჩააბარა, არამედ დაავალა ემუშავა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის. იმ დროს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შეზღუდული ჰქონდა საერთაშორისო კონტაქტები. ურთიერთობა შეიძლებოდა რუსეთის და სომხეთის ეკლესიებთან. საზღვარგარეთის მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობა მხოლოდ წერილობითი ხასიათისა იყო. ამიტომ, როდესაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან თბილისში მოვიდა წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი საქართველოს ეკლესია ოფიციალურად გაწევრიანებულიყო ამ ორგანიზაციაში, უწმიდესმა ეფრემ II-ემ 1962 წლის 4 მაისს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილში ოფიციალურად განაცხადა თანხმობა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცა შესაძლებლობა საერთაშორისო ტრიბუნა გამოეყენებინა ჩვენი ეკლესიის ინტერესებისათვის. 1962 წელს უწმიდესი ეფრემი გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონფერენციაზე, როგორც პროფესორი ლუკას ფიშერი აღნიშნავდა პატრიარქის გამოსვლისათვის განსაზღვრული იყო 40 წუთი, უწმიდესი ეფრემ II 3 საათიანი გამოსვლით წარსდგა მსმენელთა წინაშე. ეს იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ეკლესიის სრული სურათის წარდგენის მცდელობა, თანაც წარმატებული. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II საფრანგეთში, პარიზის მახლობლად ლევილში ეწვია ქართველ ემიგრანტებს, მცირე პანაშვიდი გადაუხადა ბოლშევიკური აგრესიის გამო სამშობლოდან გადახვეწილ გარდაცვლილ ქართველ მამულიშვილთ. ქართველი ემიგრანტები 1927 წლის შემდეგ უარს აცხადებდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობაზე. ისინი გაღიზიანებული იყვნენ უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის შემდეგ ეკლესიის მიერ საოკუპაციო, ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან „ლოიალობის და თანამშრომლობის“ კურსის აღიარების გამო, მაგრამ საბჭოთა საკონცეტრაციო ბანაკებში ნატანჯ პატრიარქ ეფრემ II გულთბილად შეხვდნენ.

1963 წელს კუნძულ როდოსზე მართლმადიდებელ ეკლესიათა ფორუმზე შემოქმედელმა ეპისკოპოსმა ილია შიოლაშვილმა დააფიქსირა საქართველოს ეკლესიისადმი მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთგვარი უპატივცემლობა. ისინი

ოფიციალურად არ ცნობდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. ეპისკოპოსმა ილიამ მიზნად დაისახა ისტორიული წყაროების, საეკლესიო ტრადიციების, ქართველ მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით დამაჯერებელი არგუმენტებით დაესაბუთებინა ყველასათვის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის კანონიერება. ეს ბრძოლა გაგრძელდა 27 წელიწადი. 1990 წელს შემოქმედელი ეპისკოპოს ილიას აწ უკვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაუცხრომელი საქმიანობის შედეგად მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით 1965 წელს ეპისკოპოსად აკურთხა რომანოზ პეტრიაშვილი, რომელიც სხვადასხვა დროს განაგებდა ბათუმ-შემოქმედის, ჭყონდიდის, ალავერდის, ბოდბის, ცხუმ-აფხაზეთის, ქუთაისის ეპარქიებს. იგი იყო ცნობილი ქართველი მეცნიერის ვასილ პეტრიაშვილის ძმისშვილი. აღესრულა 1979 წელს 92 წლის ასაკში. 1972 წელს არქიმანდრიტი გაიოზ კერატიშვილი, რომელიც ერთხანს იყო კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, წილკნელი და ურბნელი მიტროპოლიტი, ამჟამად იმყოფება პენსიაზე. პატრიარქს განსაკუთრებული თბილი მამაშვილური ურთიერთობა ჰქონდა მეუფე ილიასთან, „ჩემო მეუფეო“ ასე მიმართავდა წერილებში. „მცხეთაში ვიყავი, მაგრამ ვერ გნახე სახლის ტელეფონზე ვრეკავდი არ პასუხობდი, ხომ მშვიდობით ხარ მეუფეო – თქვენი ეფრემი. 1967 წლიდან მეუფე ილიას ჩააბარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე რთული – ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია. ახალგაზრდა მღვდელმთავარს ყველანაირად ხელს უწყობდა, 1969 წელს იგი აიყვანა მიტროპოლიტის ხარისხში.

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II კარგად გრძნობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საერთაშორისო კავშირების აუცილებლობას. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მხოლოდ თანასწორუფლებიან ურთიერთობის აუცილებლობას. 1960-1972 წლებში მან არაერთხელ იმოგზაურა მოსკოვში, თბილისში სტუმრობდა რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი I.

პატრიარქ ეფრემ II ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა სომხური სამოციქულო ეკლესიასთან თბილისში არაერთხელ მოიწვია სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I. თვითონაც იყო საპასუხო ვიზიტით სომხეთში. წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიო პატრიარქ ათინაგორასთან, იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტე I. თუმცა საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების ოფიციალური ვიზიტი საქართველოში გასაგები მიზეზების გამო ვერ შედგა.

#### 4. პატრიარქი და შიდასაეკლესიო პრობლემები

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II ურთულეს ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა. ცნობილი კრიტიკოსისა და მწერლის იპოლიტე ვართაგავასათვის გაგზავნილ ერთ პირად წერილში ეფრემ II გულახდილად აღნიშნავდა: „დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქების კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო აქ ყველაფერს ვერ დაეწერ გასაგები მიზეზების გამო, ძალიან გართულებულ გარემოცვაშია ჩვენი ეკლესია. შეიძლება გულშემატკივარნი ბევრი ჰყავდეს, მაგრამ აქტიურ მომქმედოთ ვერა ვხედავ. მიუხედავად ასეთი მძიმე გარემოებისა მაინც მოხერხდა მცხეთაში დამეარსებინა სამოძღვრო ორწლიანი კურსები ეპისკოპოს გაბრიელის სახელობის, გამომეცა გიორგი მთაწმინდელის ნახელავი ოთხთავი, ეპისტოლენი და იოანეს გამოცხადება, ლოცვანი, ქართველ წმინდანთა სურათები, ხატები. საქართველოს ეკლესიის კალენდარი ყოველწლიური. მე მჯერა ცხოვრება დაწინარდება, მაშინ ეკლესია საპატიო ადგილს დაიჭერს ცხოვრების სინამდვილეში“.<sup>27</sup> ამ რწმენით მოქმედებდა მისი უწმიდესობა, როდესაც მთავრობის თანამჯდომარეს გ. ჯავახიშვილს მიმართავდა და ითხოვდა სასულიერო ჟურნალის გამოცემის ნებართვას, ეკლესიების ამოქმედებას ბორჯომში, ცხინვალში, ზესტაფონში, საჩხერეში. იგი დაუფარავად აცხადებდა დღევანდელი საქართველოს ეკლესია ისეა შევიწროებული, რომ უფრო ქაღალდზეა ვიდრე სინამდვილეში. ეკლესიის გახსნა უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ავიწროებდნენ ეკლესიის გახსნის მოსურნეთა ოჯახებს. 1960 წელს გორის მორწმუნე ქართველობამ ოფიციალური განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მუავანაძეს. „სხვა რომ არა იყოს გვრცხვენია – წერდნენ ისინი – თუ გორში არ შეიძლება ეკლესიის გახსნა, მაშინ სხვა რაიონებში რატომ არის. მარტო თბილისში ოცი მოქმედი ეკლესიაა, თუ თბილისელებს არ უნდათ დაკარგონ ქართული ადათ-წესები ჩვენ რატომ უნდა დავივიწყოთ? სულ ერთია მამაპაპისეულ ძველ წესებს არ დაგვარგავთ, მაგრამ სანამ ცოცხლები ვართ ნუ გვაწვალებთ, მოგვეცით ერთი ეკლესია, ჩვენ ავაშენებთ. ადგილობრივმა მთავრობამ შეგვაშინა, ვისაც ხელი გვქონდა მოწერილი იცოდეთ პენსიას მოგისხნით, სამსახურებიდან გაგრეკავთ, რომ მოგაგონოთ ეკლესიის გახსნა კომუნიზმში შევდივართო. როცა შევალთ კომუნიზმში და ყველგან დაიკეტება ეკლესიები აქაც დაკეტონ ეკლესიები ჩვენ არაფერი გვექნება საწინააღმდეგო“.<sup>28</sup> უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-ემ მიმართა მთავრობას: „გთხოვთ გორელების სასარგებლოდ გადადგათ ნაბიჯი. ამით, გარწმუნებთ არავის არაფერი დააკლდება რა, ხოლო ხალხის გულს მოვიგებთ, განა ეჭვია იმაში, რომ მრავალათასიან ქალაქში მორწმუნენი მრავლად არიან და სრულდება რელიგიური წესები“.<sup>29</sup> მაგრამ ხელისუფლება ასე არ ფიქრობდა რელიგიის რწმუნებულმა მექვებიშვილმა საიდუმლო წერილი გაგზავნა გორის საქალაქო საბჭოს თანამჯდომარესთან: „მოქალაქე ფრანგიშვილი სისტემატიურად წერს განცხადებებს ხელმძღვანელი ამხანაგების სახელზე დაჟინებით მოითხოვს რომ ქ. გორში განთავისუფლდეს ყოფილი ეკლესიის შენობა და მასში გახსნილ იქნას მოქმედი ეკლესია. იგი დადის მოსახლეობაში და აწარმოებს პროპაგანდას ეკლესიის გახსნის სასარგებლოდ, ამისათვის საჭიროა ფრანგიშვილთან და მის ჯგუფთან აწარმოთ განსაკუთრებული გასაუბრება, რათა მან შეწყვიტოს ეკლესიის გახსნის საკითხზე პროპაგანდა და ხელმოწერების შეგროვება“.<sup>30</sup> გასაუბრება იყო მუქარა, დაშინება. საბჭოთა კავშირის მაშინდელი პოლიტიკური ლიდერის ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაიწყო ეკლესია-მონასტრების დახურვის ახალი კამპანია. 1963 წელს უწმიდესი ეფრემ II გამოიძახეს საერო ხელისუფლებაში

და მოსთხოვეს ერთი ან რამდენიმე ეკლესიის დახურვა. ამ მხრივ ყველაზე სასურველად მთაწმინდის ეკლესია მიაჩნდათ. პატრიარქი ფეხზე წამომდგარა და უთქვამს თუ თქვენ მთაწმინდის ეკლესიას დახურავთ მე თავს მოვიკლავ და მიზეზად ამ ფაქტს დავიბარებო. არც დამშვიდობებია მათ ისე დაუტოვებია იქაურობა...

რელიგიის საქმეთა რწმუნებული დ. შალუტაშვილი აღშფოთებული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე წმინდა ადგილებში მორწმუნეთა სიმრავლის გამო. მისი აზრით აუცილებელი იყო „კამანის მონასტერთან მიმავალი გზის ჩაკეცვა, რაც წმინდა წყალთან მორწმუნეთა მისვლას გააძნელებს. იქ თუ ღორების ფერმა აშენდება კარგი საბანაო იქნება ცხოველებისათვის და ადამიანები წყალში აღარ შევლენ განსაკუთრებლადო“.<sup>31</sup> კითხულობ ამ სტრიქონებს და არ გინდა დაიჯერო ნუთუ ადამიანები ასე აზროვნებდნენ? ეს იყო გასული საუკუნის 60-70-იანი წლების სამწუხარო რეალობა.

ეპარქიებში შექმნილ რთულ ვითარებაზე საინტერესოა 1962 წლის 7 ოქტომბერს ალავერდელი ეპისკოპოსის დავით ბურდილაძის მოხსენებითი ბარათი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II მიმართ. „დღესასწაულის დროს (ალავერდობაზე) შემოვიდნენ ახმეტის რაიადმასკომის თავმჯდომარე მაღლაკელიძე პოლიციელებით და შეტევით მომმართეს, თუ როგორ გაგებდეთ ალავერდში მისვლა და ეკლესიაში შესვლა, როდესაც მე ვუპასუხე, რომ მე ალავერდის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი ვარ და ჩემს მოვალეობას შეადგენს ამ ტაძარში საღმრთო ვედრების შესრულებაო, ამაზე დაცინვით მიპასუხეს ვინ ეპისკოპოსი ხარ, აბა საბუთი წარმოგვიდგინეთ. აქ მექვაბიშივლიმა დაგვინიშნა მღვდელი კუკუნაშვილი და სხვას არაფერი ესაქმებო... მოკლედ შეგვექმნა ცხარე კამათი, დამემუქრნენ დაგაპატიმრებთო, დამაპატიმრეთ მეთქი. მათ უნდოდათ ღოცვა შემეწყვიტა და მათი ბრძანებით ეკლესიიდან გავსულიყავი, როდესაც ამას ვერ მიაღწიეს მაღლაკელიძემ მითხრა – შენს მოხუცებულობას ვცემთ პატივს წირვას რომ დაამთავრებთ აქედან სასწრაფოდ წადიო“.<sup>32</sup> ამაზე დიდი უბედურება რა უნდა ყოფილიყო ალავერდელ მღვდელმთავარს ედაგებოდნენ როგორ, გაბედეთ ალავერდობაზე მოსვლაო. ალავერდის ტაძარი ხელისუფლებისათვის იყო კულტურის ძეგლი, სხვა ფუნქცია თუ ჰქონდა მათ ეს არ აინტერესებდათ. 1970 წლის 20 ივლისს ალავერდელი ეპისკოპოსი რომანოზ პეტრიაშვილი ეფრემ II-ს ატყობინებდა „კულტურის მინისტრმა თაქთაქიშივლიმა ტაძარში ცეკვა-თამაში მოაწყობინა. მე გააკვირვებული ვარ და მწყინს რომ ამ ამბის მომწყობია კულტურის მინისტრი. ასე მასხრად აგდება ძეგლი ისტორიული სიწმინდისა, რომლის ტრაპეზიქვემ განისვენებენ იოსებ ალავერდელი, წმ. ქეთევან დედოფალი, წარმოუდგენელია“.<sup>33</sup> ხშირი იყო შემთხვევები ეკლესია-მონასტრების ძარცვისა. ამის შესახებ უწმიდესსა და უნეტარესს ატყობინებდნენ: ქუთათელი მიტროპოლიტი ნაომი შავიანიძე, სამების ეკლესიის დეკანოზი ლევან ტლაშაძე. ოფიციალური ხელისუფლება სასულიერო პირებს დიდ საშემოსავლო გადასახადებს ახდევინებდა. საბჭოთა კავშირში სასულიერო პირების დაბეგვრის ერთიანი სისტემა იყო. არ ითვალისწინებდნენ მცირე შემოსავლიან და დიდშემოსავლიან ეკლესიათა თავისებურებებს. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II აცხადებდა სასულიერო პირების საშემოსავლო გადასახადის მე-19 მუხლით დაბეგვრა ისე გამოიყურებოდა, როგორც გასანთლული თოკის ყულფი მძიმე დამნაშავის ყელის მიმართ. რელიგიის საქმეთა რწმუნებული ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის უწმიდესსა და უნეტარესს ეფრემ II-ს „გთხოვთ დაავალდებულეთ პროტოდიაკონი ამბროსი ახოზაძე საშემოსავლო დავალიანება დაფაროს უყოყმანოდ. ამასთანავე აიძულეთ ყველა ურჩი

მღვდელმსახური სასწრაფოდ გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადები“.<sup>34</sup> პროტოდიაკონი ამბროსი აღწერს რა თავის გასაჭირს სთხოვს ეფრემ II-ს დახმარებას „მე ნახევრად მშიერი დავდივარ ჩასაცმელის გარეშე, ფულიც არ მაქვს, რით გადავიხადო გადასახადი?“<sup>35</sup> პროტოდიაკონი ამბროსი გამორჩეული ხმის, ღვთისმსახურების უბადლო მცოდნე სულ დევნა-შევიწროებაში იყო. ერთხელ მან რესპუბლიკის პროკურორ ბერძენიშვილთან შეხვედრისას მოითხოვა გადასახლება მის საკუთრებაში არსებული ქონების დაბრუნება, რაზედაც პროკურორმა უპასუხა, მღვდელი და კანონი ვის გაუგიაო. როდესაც ეს ეფრემ II-ემ გაიგო პროტოდიაკონთან ერთად შეხვდა რესპუბლიკის პროკურორს და მკაცრად მოსთხოვა გაემორებინა ის, რაც პროტოდიაკონს უთხრა... რესპუბლიკის პროკურორი არ ელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას და ბოდიში მოიხადა. თუმცა ეს არ შევლოდა ამბროსი ახლობლის გაჭირვებას ამდენმა დევნა-შევიწროებამ, უსახსრობამ იგი აიძულა 1970 წლის 1 იანვარს ასეთი შინაარსის განცხადებით მიემართა უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-სათვის „ვისაც მე ვახსოვარ დაპატიმრებამდე და გადასახლებამდე მას თვალწინ წარმოუდგება პროტოდიაკონი ამბროსი ახლობე ჯანსაღი და ჩვენი წმინდა ტაძრის მშვენიერება. დიახ, ეს მე გახლავართ 1937 წლის დაპატიმრებამ, რეპრესიებმა შეარყიეს ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა... გთხოვთ გადამიყვანოთ პენსიაზე“.<sup>36</sup> უწმიდესი და უნეტარესი ეფრემი მატერიალურად ეხმარებოდა მას, უმსუბუქებდა მძიმე მდგომარეობას. მაგრამ პატრიარქსაც უჭირდა ამის დასტურია მისი წერილი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის გ. ჯავახიშვილისადმი. „ჩემი შემოსავალი დადგენილია არასწორად – წერდა იგი – ამიტომ ვთხოვ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დაგვდოს პატივი ჩაერიოს ჩვენს საქმეში, გაეცნოს მას, ბრძანოს თავისი ავტორიტეტით და სამართლიანი სიტყვა, რაც უეჭველია ნათელს მოჰყენს საკითხის ბუნდოვან მხარეს და მით მოედება ბოლო გაუგებრობას, რასაც არ ვიღებ არ უნდა მომეთხოვოს, რაც არ მეძლევა არც გამომერთვას“.<sup>38</sup> პატრიარქისთვის თუ იყო პრობლემა საშემოსავლო გადასახადის გადახდა, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ რიგითი სასულიერო პირები. უწმიდესმა ეფრემმა 1963 წლის 8 ნოემბერს მიმართა ფინანსთა მინისტრს. „საკათალიკოსოს სამეურნეო ნაწილის გამგე, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია განთავისუფლდა სამსახურიდან იმის გამო, რომ ვეღარ გაუძლო მე-19 მუხლით დაბეგვრას. არავის აღარ უნდა მუშაობა... დღეს არც მდივანი მყავს, არც სამეურნეო ნაწილის გამგე, არც მძღოლი. ასე რომ საპატრიარქო ისე გამოყურება თითქოს ლიკვიდაცია ქმნილი იყვეს“. რელიგიის საქმეთა რწმუნებული მკაცრად აკონტროლებდა სასულიერო პირთა საქმიანობას და თუ არ მოეწონებოდა იგი კათოლიკოს-პატრიარქს სთხოვდა პასუხს. 1970 წლის 13 იანვარს რწმუნებულმა დ. შალუტაშვილმა უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: „ჩემს განკარგულებაში არსებული მასალებით დადგენილია, რომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოს ნებართვის გარეშე რელიგიური საზოგადოებები კულტის მსახურთა მითითებით არემონტებენ და აფართოებენ ეკლესიის შენობებს. ასეთი სამუშაოები ჩატარდა 1969 წ. სოხუმისა და გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნის ეკლესიებში. განვმარტავ, რომ მოქმედი კანონმდებლობით კულტის მსახურებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ რელიგიური საზოგადოებების სამეურნეო და ფინანსურ საკითხებში. მათი უფლებები განისაზღვრება მხოლოდ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებით“.<sup>39</sup> ასეთი მკაცრი ზეწოლის პირობებში უხდებოდა პატრიარქს თავისი საქმიანობა. პატრიარქს არ უშვებდნენ უცხოეთის ქვეყნებში, უარი უთხრეს ბუქარესტში რუმინ-

ნეთის პატრიარქ იუსტინეს 20 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე. თითოეული სასულიერო პირის კურთხევა დიდი ბრძოლისა და ხელისუფლებასთან დაპირისპირების ფონზე ხდებოდა. პატრიარქის გადაადგილებაც კი სამწესოში ხელისუფლების მეთვალყურეობით ხორციელდებოდა.

## 5. კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II და ქართველი საზოგადოება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II 1918-1922 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი დიდ პატივს სცემდა თავის მასწავლებლებს: ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, თავის თანაკურსელებს, პროფესორებს შალვა ამირანაშვილს, გიორგი გოზალიშვილს, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, სერგი მაკალათიას, შოთა ძიძიურს. ქვეყანაში არსებული ვითარების პირობებში რთული იყო საზოგადოებაში კათოლიკოს-პატრიარქის აქტიურობა, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა ამას. 1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლის იუბილეზე იგი საპატიო პრეზიდენტად მიიწვიეს. უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს ყოველ ახალ წელს ულოცავდა აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი „თქვენო უწმიდესობავ, მთელი ჩემი ოჯახი და პირადად მე მუხლმოდრეკით გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას და ყოველივე სიკეთეს, გთხოვთ კურთხევას“<sup>40</sup> – წერდა იგი.

1966 წლის 14 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე წერილით მოიკითხავს მის უწმიდესობას და სთხოვს როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა გადადგას ნაბიჯი იმისათვის, რათა გაფანტოს მითქმა-მოთქმა თითქოს შოთა რუსთაველს ეკლესია დევნიდაო. „გაფანტეთ ეს ისტორიული გაუგებრობა თქვენს მრევლში შოთა რუსთაველის იუბილის დღეებში იქადაგეთ სიონში, ან მცხეთის სვეტიცხოველში შოთა რუსთაველის დიდი სახელის მოსახსენებლად მისი დაბადების 800 წლისთავეზე ამ წიგნის დამწერს, რომელმაც საქართველო 700 წელი შეინახა ეს პატივი ეკუთვნის. მას მეტიც ეკუთვნოდა, იგი ქართველ წმინდანთა პანთეონში უნდა ყოფილიყო, რომ არა ჩვენი ბედის უკუღმართობა“<sup>41</sup> უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II 1966 წლის 30 ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში წაიკითხა საინტერესო მოხსენება: „შოთა რუსთაველის აღმსარებლობისათვის“, რომელშიც საეკლესიო პოზიციიდან გაშუქებულია გენიალური პოემის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის სარეკომენდაციო წერილი ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსთან დაეხმარა კინორეჟისორ გიორგი ასათიანს ათონის მთაზე მოგზაურობაში.

1960 წელს 18 ოქტომბერს მან საგანგებო წერილით მიმართა იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტე I-ს. წერილში საუბარია იმაზე, რომ მისი ოცნება იყო ეხილა წმიდა ქალაქი იერუსალიმი, წაეკითხა იქ დაცული ხელნაწერები, რომ იგი განსაკუთრებით გახარებულია არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ქართული მოზაიკური წარწერებით. „მაქვს პატივი, თქვენს უნეტარესობას ვაუწყო – განაგრძობდა უწმიდესი ეფრემ II – რომ თბილისიდან იერუსალიმს მიემგზავრება სამეცნიერო ექსპედიცია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შეისწავლოს ადგილობრივი ქართული კულტურის მასალები და შეკრიბოს ახალი ცნობები ქართველების მოღვაწეობის შესახებ პალესტინაში, კერძოდ ჯვრის მონასტერში ექსპედიციის წევრები არიან: პროფესორები აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, პოეტი ირაკლი აბაშიძე, რომელთაც პირადად ვიცნობ. თქვენს უნეტარესობას ვთხოვ, რომ აღმოუჩინოთ მათ ყოველგვარი დახმარება მათი მეცნიერული მუშაობის დროს მონასტრებსა და ტაძრებში, წიგნსაცავებსა და არქივებში“<sup>42</sup> ქართველი მეცნიერები იერუსალიმში პატივისცემით მიიღეს, მუშაობის ყველა პირობა შეუქმნეს მათ. მის უწმიდესობას დიდ პატივს სცემდა ქართველი საზოგადოებრიობა. ჯერ კიდევ 1965 წლის 3 იანვარს შემოქმედელმა ეპისკოპოსმა

ილიამ ასე შეაფასა უწმიდესი ეფრემ II დეაწლი, „ვისაც სურს არ შეიძლება არ დაინახოს რა ძნელი და რთული იყო და არის თქვენი ცხოვრების გზა. თქვენ გხვდებოდით გზაზე უფრო ეკალი, ვიდრე ვარდი. ეს იყო თქვენთვის განსაცდელი, რომელსაც თქვენ ხვდებოდით მორჩილებით და სიმდაბლით. თქვენ მუდამ გულში იმეორებდით და გახსოვდათ ჩვენი დიდი მწერლის სიტყვები: სიმდაბლე მსგავს არს ვაზსა დახრილსა და აღსავსეა ნაყოფითა კეთილთაო (სულხან-საბა) და ამიტომაც სიმდაბლით მოიპოვეთ სიმაღლე. ახლა თვალწინ მყავს წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II, მაგონდება მისი ტირილი და გოდება დაობლებულ საქართველოს ეკლესიაზე იგი იმედდაკარგული და დამწუხრებული რწყავდა თავისი ცრემლით რუსეთის მიწას. ახლა გადმოგვხედე და ნუ სტირი ჩვენო დიდო წინაპარო უწმიდესო ანტონ! საქართველოს ეკლესიამ კვლავ მოიპოვა დაკარგული დამოუკიდებლობა და შენ ტახტზე კვლავ ბრძანდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ზეგარდმო მადლით ცხებული, რომლის ანგელოზის დღეს ვხეიმობთ დღეს“.<sup>43</sup>

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემი ყველას მიმართ იყო საოცრად ყურადღებიანი. მის არქივში უამრავი სამადლობელი წერილებია. ქრისტეფორე კაპანაძე ითხოვს მატერიალურ დახმარებას და ეძლევა. არქიმანდრიტი ევაგრე დიასამიძე მადლობას მოახსენებს ყურადღებისათვის და 1968 11 დეკემბრიდან ითხოვს პენსიაზე გადასვლას. ბეთანიის მონასტრის იღუმენი იოანე (გიორგი) მხეიძე თხოვს დაგუძღურდი და იქნებ მამა გაბრიელ ურგებაძე დანიშნოთ წინამძღვრად. ზესტაფონიდან ელენე გველეხიანი, მღვდელ თევდორე გველეხიანის შვილი ითხოვს საეკლესიო კალენდარს. თუ სასულიერო პირს რამე უჭირდა გვერდით ედგა. 1969 წლის 3 მარტს გარდაიცვალა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე). უწმიდესმა ეფრემმა ასეთი შინაარსის დეპეშა გაგზავნა ქუთაისში. „ჩემი უძვირფასესი ნაომის გარდაცვალების გამო ვერ მოგახსენებთ სამძიმარს, რადგან ყველამ მე უნდა მითხრათ სამძიმარი ყველაზე მძიმე დანაკლისით შეწუხებულს“.<sup>44</sup> იგი ქუთაისში ჩავიდა წესი აუგო განსვენებულ მღვდელმთავარს.

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II მოკრძალებულად ცხოვრობდა. უყვარდა სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში უბრალო სამღვდლო შესამოსელით ჯდომა, ხალხთან საუბარი. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იგი უბრალო ღვთისმსახური ეგონათ. ცნობილი ლოტბარი მიხეილ მცურავიშვილი იგონებს: „სიონში ანსაბლი „გორდელა“ ვგალობდით, წირავდა კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II. ამ დროს ძალზე მოკრძალებით ვასილ მჟავანაძე შემოვიდა. ერთი კაცი ახლდა. პატრიარქი ჩვეულებრივ აგრძელებდა წირვის შემდეგ მცირეოდენი პაუზის დროს პატრიარქი მჟავანაძეს მიუახლოვდა ხელი გაუწოდა. მჟავანაძე პატრიარქის გამოწვდილ ხელს ეამბორა. კარგა ხანს ისმენდა წირვა-გალობას და შემდეგ არავის გაუგია ისე წავიდა“.<sup>45</sup> მიუხედავად 60-70-იანი წლების ახალი ანტირელიგიური ისტერიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროებისა, უწმიდესი ეფრემ II გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი არსებული სისტემის და არა ცალკეული პიროვნებების გამო ხდებოდა. აკად. როინ მეტრეველის გადმოცემით რომელიც არაერთხელ შეხვედრია კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს ვ. მჟავანაძე შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა დახმარებოდა საქართველოს ეკლესიას. 1963 წელს ნ. ხრუშჩოვის განკარგულებით უნდა გაეყიდათ ცნობილი ხახულის კარედი. აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა ამის შესახებ აცნობა ვ. მჟავანაძეს, რომელმაც განკარგულება გასცა დაეკეტათ მუზეუმი, თვითონ კი მოახერხა ნ. ხრუშჩოვის დარწმუნება რამდენად მიზანშეუწონილი იყო ხახულის კარედის გაყიდვის გადაწყვეტილება. უწმიდეს ეფრემ II-ს თავის თავზე იწვინა რა

არსებული სისტემის მთელი სისასტიკე ცხოვრებამ ასწავლა სიფრთხილე, გარკვეული დიპლომატია. იგი საერო დღესწაულებს ულოცავდა საქართველოს ოფიციალურ ხელმძღვანელობას ვ. მუჟაჟანაძეს, გ. ჯავახიშვილს, გ. ძოწენიძეს. ხანდახან ოფიციალური ხელისუფლების კურსის მხარდასაჭერ ვერილებსაც ბეჭდავდა პრესაში მაგალითად 1970 წელს ღია წერილით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონს და დაგმო ზესახელმწიფოს ჰეგემონური ამბიციები. „განა ამერიკას ესაჭიროება კოლონიები, ხომ ისედაც დიდი და მდიდარი ქვეყანაა... არა სჯობია თქვენი ცოდნა, ძალა და ღონე მიმართულ იქნას ღვთიური მშვიდობის აღმშენებლობისათვის, ვიდრე სხვის უბედურების ხარჯზე“.<sup>46</sup> პატრიარქი ეფრემ II შინაგანად არსებული რეჟიმის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი.

უყვარდა პუნქტუალობა, წესრიგი. მისი ხელიდან გამოსულ დოკუმენტებს, რეზოლუციებს ეტყობა პატრიარქის შინაგანი განწყობილება, შემწყნარებლობა. 1961 წ. მიხეილ ელიზბარაშვილი მიმართავს განცხადებით: 60 წელი მეღავითნე ვიყავი, ახლა მიჭირს და დამეხმარეთო. პატრიარქმა განცხადებას ასეთი მინაწერი გაუკეთა. ეს კაცი ღანძლავდა ყველას უწმიდეს მელქისედეკს, მეც, მერე საჩივრებს აგზავნიდა რწმუნებულთან. სამეურნეო ნაწილის გამგეს ვუბრძანებ ჩემი საკუთარი ხელფასიდან გაიღოს ყოველთვიურად 10 მანეთი“.

1970 წელს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II 70 წლის გახდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი საგანგებოდ ემზადებოდა მისი იუბილეს აღსანიშნავად. შეიქმნა კომისია, რომელსაც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია ხელმძღვანელობდა. პატრიარქს საუბილეთო თარიღი მიულოცეს კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, რუსეთის პატრიარქებმა, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა. საუბილეთო საღამოზე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ მიმართა სიტყვით: „თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო პატრიარქო და უნეტარესო მამამთავარო ღვთით დადგენილო მამაო საქართველოს ეკლესიისა. წმ. ეფრემი ესრეთ გადმოგვცემს გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებს: „ყოველთა მეუფემან ღმერთმან მაღალმან ესრეთ გპოვა შენ ღირსი მღვდელმთავარნი თავისა თვისისა, ღირსად მსახური ნათესავსა ამას ჩვენსა შორის... ხმა მაღალი ქადაგი ჭეშმარიტებისაო და თვალი ბრწყინვალე ქრისტიანობისაო“. ღიახ, თქვენო უწმიდესობავ, მხოლოდ მაღალმან ღმერთმან და განგებამან უფლისამან გამოგიჩინათ და აღგიყვანათ ღირსისა მამამთავრისა ტახტსა ზედა.

თქვენ გაგივლიათ დიდი და მეტად რთული ცხოვრების გზა. გზა ექსორიობისა და გზა განსაცდელისა. ღვთისგან რჩეული და ხელდადებული ადამიანის ცხოვრება მუდამ გამოირჩევა სხვა მოქალაქეთა ცხოვრებისაგან, ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ ის ახალგაზრდა ჭაბუკი გრიგოლ სიდამონიძე, რომელიც 1917 წელს ხელს აწერდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აქტზე. მომავალში იქნებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და თქვენ თვითონ შეგეძლოთ ამის წარმოდგენა? იმ დროს იღუმალი მარჯვენა ღვთისა ყველასათვის ფარული უკვე იყო თქვენ ზედა. უწმიდესო და უნეტარესო პატრიარქი კირიონ, ჩვენ გვწამს რომ დღეს არა მარტო ხორციით, არამედ სულითაც იმყოფები ჩვენთანა, გრძნობდით თუ არა, რომ ის ახალგაზრდა სემინარიის სტუდენტი, რომელსაც შენთვის მოკრძალებით მოჰქონდა წიგნები. მომავალში იქნებოდა შენი მემკვიდრე? მე მესმის ხმა იღუმალი, ღიახ. თქვენო უწმიდესობავ, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ეკლესიის აყვავებისა და წინსვლისათვის“.<sup>47</sup>

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II ფრიად დასუსტებული იყო, ასაკში თავი იჩინა გადასახლების სიმწარემ ბოლოს პატრიარქს უჭირდა გადაადგილება, 1972 წლის დასაწყისში მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო გართულდა. 1972 წლის 7 აპრილს 6 საათსა და 30 წუთზე პატრიარქი გარდაიცვალა. 7 აპრილს 13 საათზე გაიხსნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ურბნელი მიტროპოლიტი დავითი, თეთრწყაროელი ეპისკოპოსი ზინობი, წილკნელი ეპისკოპოსი გაიოზი, დეკანოზები: პ. ობოლაძე, გ. ჩაჩუა, საერო პირი ი. ჭეიშვილი. შეიქმნა განსვენებული პატრიარქის დამკრძალავი კომისია ურბნელი მიტროპოლიტის დავითის თავმჯდომარეობით. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II დაკრძალვა მოხდა 1972 წლის 13 აპრილს ხუთშაბათს. დილის 10 საათზე დაიწყო წირვა, ურბნელი მიტროპოლიტის, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის დავითის ხელმძღვანელობით. თანამწირველები იყვნენ: უკრაინის ეგზარქოსი ფილარეტი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, ყუბანისა და კრასნოდარის მთავარეპისკოპოსი ალექსი, ვოლოკამსკის მთავარეპისკოპოსი პიტირიმი, თეთრწყაროელი ეპისკოპოსი ზინობი, წილკნელი ეპისკოპოსი გაიოზი. წირვაზე იმყოფებოდა ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენი. 15 საათზე პატრიარქის ნეშტი სიონის საპატრიარქო ტაძრის მიწამ მიიბარა. უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II ჯერ კიდევ ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტად ყოფნის დროს თავისი საფლავის ქვისათვის ასეთი ეპიტაფია შეუდგენია: „მეყვსეულად განვეშორე მიწიერსა ღვთითმშენიერსა საკურთხეველსა და მიწასა შთავაბნიე საგალობელი სული ჩემი იხმო ზეცამან მსაჯულმან პასუხისგებად, ამისთვისაცა გევედრებით ღოცვა ჰყოთ ჩემთვის, რათა გამომაჩინოს მსახურად ზეციურისა საკურთხეველობასა“.<sup>48</sup> სიონის ტაძარში მის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II 1960-1972 წელს“. იგი იყო უკანასკნელი მოჰიკანი XIX საუკუნეში დაბადებულ პატრიარქთა შორის, ისტორიაში დარჩა როგორც ღირსეული სასულიერო პირი, რომელმაც ურთულეს პირობებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შეუნარჩუნა საქართველოს.

## 6. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავრები

## 1960-1972 წლებში

### მიტროპოლიტი ილია (ღუდუშაური-შიოლაშვილი)

მიტროპოლიტი ილია, ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი დაიბადა 1933 წლის 4 დეკემბერს ქ. ორჯონიკიძეში (ვლადიკავკაზი) კეთილმორწმუნე ქრისტიანულ ოჯახში.

მამა გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილი დაიბადა სოფელ სნოში (ყაზბეგის რაიონი), დედა ნატალია იოსების ასული კობაიძე დაიბადა სოფელ სიონში. ხევში ისტორიულად განთქმული იყო ღუდუშაურთა გვარი. ჯერ კიდევ V საუკუნეში ვახტანგ გორგასალის დროს ალანების წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოუჩინია სნოელ ღუდუშას, მეფეს მისი ვაჟიშვილი მოუნათლავს. ღუდუშას შთამომავალი ღუდუშაურები დიდ როლს ასრულებდნენ ხევის ცხოვრებაში. XVII საუკუნიდან ღუდუშაურებს გამოეყო შიოლას შთამომავალნი, შიოლაშვილები. გიორგი შიოლაშვილს ოჯახს, როგორც მოხევეთა უმრავლესობას სახლები ჰქონდათ ძაუგში, ვლადიკავკაზში, სადაც მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა იყო. გიორგის ოჯახი გამოირჩეოდა ქრისტიანული სარწმუნოების განსაკუთრებული სიყვარულით, იქაური ქართველობა, რომელთაც ქართულ სკოლასთან ერთად წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიაც ჰქონდათ დედასამშობლოსთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებთან სულიერ კავშირს გიორგი შიოლაშვილის ოჯახის მეშვეობით ინარჩუნებდნენ. პატარა ირაკლი მონათლეს წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში, ნათლობის საიდუმლო აღასრულა არქიმანდრიტმა ტარასი კანდელაკმა, რომელიც იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მდივანი. არქიმანდრიტი ტარასი 1939-1951 წლებში იყო წილკნელი ეპისკოპოსი. ირაკლი შიოლაშვილის ნათლია იყო მონაზონი ზოილე დვალიშვილი, რომელსაც ნათლული ხშირად ჩამოჰყავდა მცხეთაში ერთხელ სვეტიცხოვლობაზე უწმიდესსა და უნეტარესს კალისტრატეს დაალოცვინა. გიორგი შიოლაშვილი და ნატალია კობაიძე შვილებს ასწავლიდნენ სამშობლოს სიყვარულს, უნერგავდნენ ქრისტიანულ რწმენას. ოჯახში განსაკუთრებულ ადგილზე იყო „საქართველოს დიდების“ ხატი, სადაც ბავშვები ხშირად ღოცულობდნენ. 1941 წლის სექტემბერში ირაკლი შიოლაშვილი ქ. ორჯონიკიძის 22-ე საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე გახდა. ამ დროს უკვე მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის – გერმანიის უსასტიკესი ომი. გერმანელთა ჯარებმა, რომელნიც ჰიტლერის ელვისებური ომის გეგმით ორ თვეში აპირებდნენ საბჭოთა კავშირის დამარცხებას პირველ ხანებში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, დაიკავეს საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი, გაიჭრნენ სამხრეთისაკენ და მოუახლოვდნენ კავკასიონს. ქ. ორჯონიკიძე ფრონტისპირა ქალაქად იქცა, გიორგი შიოლაშვილის ოჯახი დაბრუნდა სოფელ სნოში, ომის დამთავრების შემდეგ ირაკლი შიოლაშვილი დაუბრუნდა ორჯონიკიძის 22-ე სკოლას, მას განსაკუთრებით იტაცებდა ჰუმანიტარული საგნები: ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, ენები. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ირაკლი შიოლაშვილმა 1952 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1956-1960 წლებში სწავლობდა ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში. სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს ირაკლი შიოლაშვილმა თავი გამოიჩინა როგორც წარჩინებულმა, დიდი მომავლის მქონე სტუდენტმა, მისი ფიქრები დასტრიალებდა საქართველოს, დედა ეკლესიას, 1957 წელს მან წერილი გამოუგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს მელქისედეკ III-ს. წერილში

ახალგაზრდა სტუდენტი გულისტკივილს გამოხატავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმე მდგომარეობის გამო და მორიდებით მოუწოდებდა მის უწმიდესობას არსებული კანონების შესაბამისად უფრო თამამად იბრძოლოს, რათა საქართველოს ეკლესიასაც ჰქონდეს საკუთარი ჟურნალი, მეტი მოქმედი ეკლესიები, სემინარია-აკადემია, საეკლესიო მუზეუმი, როგორც ეს რუსეთში, უკრაინასა და სომხეთშია. სასულიერო აკადემიის დამამთავრებელ კურსზე ირაკლი შიოლაშვილმა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა სადისერტაციო ნაშრომი: „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობის დროს იგი არაერთხელ ჩამოვიდა საქართველოში, მასალები მოიძია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, საჯარო ბიბლიოთეკაში. დაცვის დროს საინტერესო დისკუსია გაიმართა დისერტანტსა და ოფიციალურ ოპონენტებს: პროფესორებს ნ. მურავიოვს ა. გეორგიევსკის შორის. ოპონენტებმა, აკადემიის სამეცნიერო საბჭომ, საკვალიფიკაციო ნაშრომს უმაღლესი შეფასება მისცეს და ერთხმად მიანიჭეს დვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. ზაგორსკის აკადემიის რექტორმა წარჩინებულ კურსდამთავრებულს წინადადება მისცა დარჩენილიყო ასპირანტურაში საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

აკადემიაში სწავლის დროს ირაკლი შიოლაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება ბერად აღკვეცილიყო. 1957 წლის 16 აპრილს თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით ეპისკოპოსმა ზინობმა ირაკლი შიოლაშვილი აღკვეცა ბერად და წმიდა ილია თეზბისელის პატივისცემად უწოდა სახელად ილია. 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-ემ ხელი დაასხა იეროდიაკვნად. 1959 წლის 10 მაისს უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ემ წერილობითი ნებართვის საფუძველზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა ალექსი I-მა ზაგორსკის წმიდა სერგის სავანის სატრაპეზო ეკლესიაში ხელი დაასხა მღვდელ-მონაზონად.

1960 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა მღვდელმონაზონმა ილიამ უწმიდესსა და უნეტარესს ეფრემ II-ს ასეთი განცხადებით მიმართა: „დავამთავრე მოსკოვის სასულიერო აკადემია, გთხოვთ თქვენო უწმიდესობავ მომცეთ სამსახური, გამგზავნოთ იქ, სადაც თქვენ ცნობთ საჭიროდ. თქვენი მორჩილი მღვდელმონაზონი ილია“. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-ემ მღვდელმონაზონი ილია ბათუმის საკათედრო ტაძარში განაწესა. ახალგაზრდა განათლებული სასულიერო პირი გამორჩეულად გაბრწყინდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, 1960 წლის 19 დეკემბერს იგი აღყვანილ იქნა ილუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს არქიმანდრიტის ხარისხში.

1963 წლის 10 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-ემ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებს აცნობა: „1963 წლის 23 აგვისტოს, პარასკევს დილას 11 საათზე მოწვეულია მღვდელმთავართა კრება. 24 აგვისტოს შაბათს, მწუხრის წინ გამორჩეული იქნება ეპისკოპოსად არქიმანდრიტი ილია. 25 აგვისტოს კვირას საღმრთო ლიტურგიაზე შესრულებულ იქნება ხელდასხმა ეპისკოპოსად შემოქმედელისა“.<sup>49</sup> საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში იშვიათი იყო 30 წლის ასაკში ეპისკოპოსად ხელდასხმა (გამონაკლისი იყო უწმიდესი და უნეტარესი ანტონ I სვ.). სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მოხდა არქიმანდრიტ ილიას მღვდელმთავრად კურთხევა. იგი ძალიან ღელავდა, „ჩემთვის ფრიად ძნელია გამოვთქვა შინაგანი სულიერი განცდანი და

მღელვარებანი, რომლითაც ვარ მე გარემოცული – აღნიშნა მან– ამ ჩემთვის მეტად საღმრთო და საიდუმლო ჟამს, ვგრძნობ შიშს და ძრწოლას განვიცდი, რადგან არ ვგრძნობ თავს საამისოდ მომზადებულად. უკეთუ ხანში შესული დიდი პავლე მოციქული იტყვის: „ვიქადი მხოლოდ უძღურებითა ჩემითაო“, მე არღარა მეთქმის ამ სიტყბის წლებში, რომელ წელთა სიმცირეს არ მოუცია ჩემთვის საამისო გამოცდილება... მე ღრმად მწამს, რომ ის, რომელიც არის დასაბამი და დასასრული ყოვლისა არსისა, ის, რომელიც გარდამოსდა ზეცით დაცემული კაცის აღსადგენად და ის, რომელიც ფრიად მძიმეა მოღვაწეობისათვის, იგივე შემადგენებს კეთილად წარვმართო ის დიდი სამსახური. „თუ თვით თვისით კაცს ვერ ძალუძს მისადებად ამ პატივისა, არამედ მიენიჭება მხოლოდ ღვთის მიერ მოწოდებულ (ებრაელთა 5,4)“.

თქვენო უწმიდესობავ, ყოვლადსამღვდელონო გევედრებით ოდეს დამდებთ ცხოველმყოფელ სულის მომნიჭებელთა თქვენთასა, მრჩობილ აღვაველენდეთ წინაშე ღვთისა ღოცვითა თქვენთა, რათა გინდა მოსულმან სულმან წმინდამან, ადავსოს ყოველივე ნაკლოვანებანი ჩემნი, რათა ვიქმნე სახედ მორწმუნეთა სიტყვით სვლით, სიყვარულით, სულითა სარწმუნოებითა, სიწმინდით“.<sup>50</sup> უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-ემ შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია დანიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად, 1963 წელს, როდესაც მცხეთაში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი მისი პირველი დირექტორიც ეპისკოპოსი ილია გახდა, რომელმაც სასწავლებელში დიდი მუშაობა ჩაატარა სასწავლო პროგრამების, კონსპექტების შესადგენად, სასულიერო სასწავლებელი სულ მალე სემინარიად გადაკეთდა და დიდი როლი შეასრულა ახალი სასულიერო კადრების მომზადების საქმეში. ეპისკოპოსი ილია 1963-1977 წლებში ქართველ მეცნიერებთან ერთად იღწვოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარებისათვის სათანადო მტკიცებულების ისტორიული საბუთების შესაკრებად. მან უკვე პატრიარქობის ჟამს 1990 წელს დაავგირგვინა 1917 წლის 12 (25) მარტს დაწყებული ავტოკეფალური მოძრაობა, როდესაც უკვე კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია.

1967 წლის 1 სექტემბრიდან ეპისკოპოსი ილია გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აფხაზეთში ანტიქართული ძალების მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად ქართველებსა და აფხაზებს შორის რთული ურთიერთობა იყო. შესაბამისად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ურთულესი სამართავი იყო მღვდელმთავრისათვის. მრავალეროვანი მრევლი, ანტიქართულად განწყობილი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელსაც მოსკოვი ყველანაირ კაპრიზებს უსრულებდა ქართველთა შვევიწროების ხარჯზე სეპარატისტულ დროშას აფრიალებდა. აფხაზეთის ქართველობის ნაწილს დავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა, თავისი ფესვები, ქართული ცნობიერება. ნაწილი კი ეკლესია-მონასტრებს ახლოსაც არ ეკარებოდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა რწმუნებული, გააფხაზებული ქართველი. ა. ლავგილავა უშუალოდ მოსკოვს ემორჩილებოდა და ცდილობდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის შესუსტებას აფხაზეთში. ასეთ რთულ ვითარებაში ეპისკოპოსმა ილიამ მოახერხა ადგილობრივ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა, ეკლესია-მონასტრებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის განმტკიცება. თუ 1967 წელს ეპარქიაში მხოლოდ ორი ქართველი მღვდელი იყო 1977 წლისათვის ქართველი სასულიერო პირთა რაოდენობა გაიზარდა 10-მდე. 1969 წლის 15 მაისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ეფრემ II ბრძანების თანახმად

განსაკუთრებული დამსახურებისათვის ეპისკოპოსი ილიას მიენიჭა მიტროპოლიტობა.

მიტროპოლიტი ილია როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე მონაწილეობდა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო კონფერენციებში. მან პირადი კონტაქტები დაამყარა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, ელადის, იერუსალიმის, სერბეთის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან. ინდოეთში შეხვდა პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის. ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა: საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეციაში, შვეიცარიაში, საბერძნეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუსეთსა და სომხეთში. ამ ვიზიტების დროს მასპინძელებს აცნობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, ქართველი ხალხის გმირულ წარსულს. ასეთი წარმატებული საქმიანობისათვის 1972 წელს მიტროპოლიტმა ილიამ მიიღო მეორე პანაღის ტარების უფლება. 1975 წელს სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება.

1977 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტი ილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. მისი აღსაყდრება 1977 წლის 25 დეკემბერს მოხდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

**მიტროპოლიტი დავითი (დეკდარიანი)**

მიტროპოლიტი დავით დევდარიანი, ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბრაელის ძე დევდარიანი დაიბადა 1903 წლის 24 მარტს, შორაპნის მაზრის სოფელ მირონწმინდაში. 1917 წელს დაამთავრა სოფ. სარგავეშის არასრული სასწავლებელი, შემდეგ სწავლა განაგრძო ჭიათურის მღვიმევის მონასტერში. 1918 წელს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ანტონ გიორგაძის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა მირონწმიდის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მედავითნედ 1927 წელს მარგველმა ეპისკოპოსმა ვარლამმა (მახარაძემ) ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა დიაკვნად. იმავე წლის 27 თებერვალს აკურთხეს მღვდლად და განაწესეს სარგვეშის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად. 1928 წლიდან 1930 წლამდე იყო ხარაგაულის რაიონის მთავარსუცესი.

1930-1932 წლებში ღვთისმსახურებას ეწეოდა თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში. 1932-1945 წლებში ქვაშეთის წმიდა გიორგის ტაძარში 1945-1947 წლებში ჩუღურეთში, კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში, 1947 წლის 20 ნოემბრიდან ისევ ქაშეთის ეკლესიაშია წინამძღვრად 1956 წლის 25 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად, რის შემდეგაც აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, 28 აგვისტოს ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად. 1956 წლის 22 აგვისტოს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა ანტონ გიგინეიშვილმა უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-სადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნა ცოლოსანის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანა მიუღებელიაო, ამიტომ არც დაესწრო მის კურთხევას, რომელსაც ესწრებოდნენ: ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემ (სიდამონიძე) და ნინოწმიდელი ეპისკოპოსი დიმიტრი (იშივლი). იგი დაინიშნა ურბნისის და მარგვეთის ეპარქიების მმართველად. მასვე ჩააბარეს მანგლისის ეპარქია, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსობა. 1959 წლის 24 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ის ბრძანებით მარგველი ეპისკოპოსი დავითი დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. 1957-1958 წლებში ეპისკოპოს დავითთან მსახურობდა გაბრიელ ურგებაძე (ბერი გაბრიელი). ეპისკოპოსი დავითი დაულაღავად საქმიანობდა თავის ეპარქიაში. უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკმა წერილობითი განკარგულებით იგი გამოაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. 1960 10 იანვარს გარდაიცვალა უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III. 11 იანვარს შედგა წმიდა სინოდის საგანგებო სხდომა, სადაც მოსაყდრედ დატოვებულმა დავითმა უარი განაცხადა მოსაყდრობაზე მიტროპოლიტ ეფრემის სასარგებლოდ. 1962 წლის 18 თებერვალს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II ბრძანებით აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში, ხოლო 1972 წლის 1 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-11 საეკლესიო კრების მიერ იგი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად დავით V - სახელწოდებით.

**მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი)**

მიტროპოლიტი რომანოზი, ერისკაცობაში რომან გრიგოლის ძე პეტრიაშვილი დაიბადა 1887 წლის 1 ოქტომბერს თბილისში, მამა სასულიერო პირი იყო. ბიძა ცნობილი მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი, სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1909-1910 წლებში იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში. 1910-1911 წლებში სწავლობდა დორპტის ვეტერინალურ ინსტიტუტში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო. 1914-1918 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918-1949 წლებში მუშაობდა ჯერ ლტოლვილთა კომიტეტის განყოფილებაში, შემდეგ კოლოპერაციულ არტელში. პატიმართა დამხმარე კომიტეტში, ქ. რუსთავის მშენებლობაზე. 1949 წლის 1 მარტს რომან პეტრიაშვილი განთავისუფლდა ყოველგვარი საერო სამსახურიდან და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად. იმავე წელს აკურთხეს მღვდლად სიონის საკათედრო ტაძარში. ერთხანს ასრულებდა კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის თანაშემწის მოვალეობას. 1952 წლის 12 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ის მიერ აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. 1954 წლიდან 1955 წლამდე მსახურობდა კუკიის წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში. 1955 წლიდან - 1959 წლამდე იყო სამების ტაძრის წინამძღვარი. 1960 წლიდან 1965 წლამდე იყო თბილისის აღექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში უფროს დეკანოზად.

1965 წლის 17 თებერვალს აღიკვეცა ბერმონაზვნად. იმავე წლის 18 თებერვალს აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1965 წლის 21 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. 1967-1971 წლებში განაგებდა ალავერდისა და ბოდბის ეპარქიებს. 1971 წლის 7 ოქტომბერს დაინიშნა ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსად.

1972 წლის 12 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ დავითის (დეკდარიანის) ღოცვა-კურთხევით ეპისკოპოს რომანოზ ებოძა მიტროპოლიტობა. 1974-1977 წლებში იყო ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდის ეპარქიის მმართველი. 1978 წლის 1 იანვრიდან იყო პენსიაზე. 1979 წლის მარტში გარდაიცვალა მიტროპოლიტი რომანოზი. 25 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძარში განსვენებულს წესი აუგო უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ. მიტროპოლიტი რომანოზი დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

**მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე)**

მიტროპოლიტი ნაომ გრიგოლის ძე შავიანიძე დაიბადა 1889 ოკრიბაში, სოფელ ოხომირაში მამა გაბრიელ შავიანიძე იყო დეკანოზი. 1904 წელს მან დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ქუთაისში დაუმეგობრდა აკაკი შანიძეს, რომელთანაც კონტაქტი არასოდეს გაუწყვეტია. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ცუცხვათის ეკლესიის მედავითნედ. 1905 წელს სოფ. ოხომირაში დაარსა საკუთარი სკოლა, სადაც უსასყიდლოდ ასწავლიდა გლეხის შვილებს. 1916 წელს იმერეთის ეპისკოპოსის გიორგი ალადაშვილის მიერ ნაომ შავიანიძე ხელდასხმულ იქნა ქუთაისის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკვნად. 1918 წელს ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონ გიორგაძის მიერ იკურთხა მღვდლად და გამწესებულ იქნა კოკა-ოხომირას მაცხოვრის ეკლესიაში. 1921 წელს ნაომი შეთავსებით სამრევლო სკოლების განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის მესამე კრების მუშაობაში და მხარს უჭერდა მიტროპოლიტ ნაზარ ლეჟავას კანდიდატურას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე. 1924 წლიდან 1929 წლამდე ჭოგნარის მაცხოვრის ეკლესიის წინამძღვარია.

1929 წელს ნაომი დაინიშნა ქუთაისის მწვანეყვავილას ეკლესიის წინამძღვრად 1941 წლამდე, ვიდრე ხელისუფლებამ ადმინისტრაციული წესით არ დაკეტა ეკლესია. 1942 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის წევრები დააპატიმრეს, რომელნიც საქართველოს განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ამ ჯგუფში კოტე ჯოგლიძესთან, კოტე ხიმშიაშვილთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნაომის შვილი შალვა შავიანიძე, რომელიც დახვრიტეს.

1943 წელს ნაომ შავიანიძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობა კალისტრატემ თბილისში გადაიყვანა იგი მსახურობდა სიონის ეკლესიაში, იმავდროულად ასრულებდა სინოდის მდივნის მოვალეობას.

1943 წელს ნაომი მონაწილეობდა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების მოლაპარაკებაში, რომლის შედეგაც რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალია. მამა ნაომის ქუთაისიდან გადასვლა გააპროტესტეს მორწმუნეებმა და უწმიდეს კალისტრატეს სთხოვეს მისი ქუთაისში დაბრუნება. უწმიდესმა კალისტრატემ ეპისკოპოს ეფრემს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „აცნობეთ მოხონებულებს, ნაომი ჩემთვის საჭირო, დროებით მაინც, გთხოვთ ასევე განუმარტოთ მორწმუნეთ, ჯერჯერობით ნაომს ვერსად ვერ გავუშვებ“.<sup>51</sup>

1945 წლის თებერვალში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე იმყოფებოდა მოსკოვში რუსეთის პატრიარქის უწმიდესი ალექსი I-ის აღსაყდრებაზე მას თან ახლავდა დეკანოზი ნაომი. ამის შემდეგ იგი არაერთხელ ყოფილა მოსკოვში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის შემადგენლობაში. 1955 წელს იგი ესწრებოდა ეჩმიაწინში ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის ვაზგენ I-ის კურთხევას. ნაომ შავიანიძეს ასე ახასიათებდა უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე „ძვირფასო მოძღვარო მამაო ნაომ! თქვენი მოღვაწეობა სიონის ტაძარში, თუმცა რამოდენიმე წლის ამბავს წარმოადგენს, მაგრამ არ შეიძლება არ ავლნიშნოთ, რომ ეს მანძილი, თქვენი დაუცხრომელი შრომისა, ნათლად გვიხატავს ეკლესიის ჭეშმარიტი მსახურებისა და ღვთის საყვარელი მოწაფის სურათის. სიმშვიდე, სიმდაბლე, გულწრფელობა და სიყვარული ღვთისა და ხალხის მიმართ. აი, რას ახორციელებთ თქვენ“.<sup>52</sup>

1947 წელს დეკანოზი ნაომი დაჯილდოვდა მიტრით და დაბრუნდა მწვანეყვავილას ეკლესიაში. 1950 წლის 3 ივლისს, როდესაც გარდაიცვალა ქუთათელ-განათელი მიტროპოლიტი გაბრიელ ჩაჩანიძე უწმიდესი და უნეტარესი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ბრძანებით ნაომი დაინიშნა ეპარქიის მთავარსუცესად. 1957 წელს 7 იანვარს იგი ეპისკოპოსად აკურთხეს. მეუფე ნაომი წერდა: „ბავშობიდანვე მქონდა სურვილი გაემხდარიყავი ეკლესიის მსახური, მაგრამ ის კი არასოდეს მიფიქრია, რომ ეპისკოპოსი ვყოფილიყავი, ვინაიდან მღვდელმთავრობა არის დიდი და ძნელი საქმე და რომ, ეპისკოპოსი უნდა იყოს შემკული მრავალგვარი კარგი ღირსებებით, მაგრამ რადგანც ეს ღმერთმა ინება, მე უღირსი მონა ღვთისა, სავსებით მორჩილებას ვაცხადებ და დიდ მადლობას შევწირავ უფალსა ღმერთსა ჩვენსა ჩემდამი დიდი მოწყალებისათვის“.<sup>53</sup>

1958 წელს ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ნაომი უწმიდესი მელქისედეკ III მიერ დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით. უმძიმეს პირობებში უხდებოდა მეუფე ნაომს საქმიანობა. ამის შესახებ იგი წერდა: „ქუთაისში პეტრე-პავლეს ტაძარში კარგა ხანია დაიწყო შფოთი და ეკლესიისათვის დიდად საზიანო მდგომარეობა... საქმის ნათელსაყოფად ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი საბუთი მოიპოვება. ბევრმა იცის რა მოუვიდა მიტროპოლიტ ეფრემს, ერთი უღირსი დედაკაცი შეუვარდა ღვთისმსახურების დროს და მისი მოკვლა უნდოდა. ღვთის მადლით ის ცოცხალი დარჩა, ასევე მიტროპოლიტ გაბრიელს მსახურების დროს შეუვარდნენ და ჩაქოლავდნენ საკურთხეველში რომ არ მოესწრო შესვლა. მე კი რამდენი შეურაცხყოფა მომაყენეს უსახელო წერილებით, მუქარით... საშინელ დევნილ და ტანჯულ მდგომარეობაში ვიმყოფები. არ მქონია შესაძლებლობა, რომ დამშვიდებულად შემესრულებინოს წირვა და ლოცვა და, ეს როგორი ღვთისმსახურებაა, როდესაც მღვდელმთავარი იმის ფიქრშია, თუ როდის ესვრიან მას ანდა ცივი იარაღით გამოასაღმებენ წუთისოფელს?“<sup>54</sup> მეუფე ნაომის მოგონება ზუსტად ასახავს XX საუკუნის 50-60-იანი წლების რთულ ვითარებას, როდესაც ხელისუფლებისაგან მოსყიდული პირები ცდილობდნენ სასულიერო პირების დაშინებას, ცილისწამებით საზოგადოებისაგან იზოლირებას, მაგრამ მეუფე ნაომს კარგად ესმოდა ვაჟას სიტყვების მნიშვნელობა: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.

მეუფე ნაომს ჰქონდა შესაძლებლობა გამხდარიყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ვინაიდან უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III სთხოვდა დათანხმებულებიყო კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობას, მაგრამ მან პატრიარქს პირდაპირ უთხრა: იმ დროს, როდესაც საქართველოს ეკლესიას ჰყავს გამოცდილი და განსწავლული მიტროპოლიტი ეფრემი უხერხული იყო სხვა გამხდარიყო მოსაყდრე. მისმა სიტყვამ ბოდბელ დიმიტრისთან ერთად გადაწყვიტა მე-10 საეკლესიო კრებაზე მიტროპოლიტ ეფრემის პატრიარქად არჩევის საკითხი დადებითად. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II განსაკუთრებულად აფასებდა ეპისკოპოს ნაომს, 1964 წელს იგი წმიდა ნინოს ორდენით დააჯილდოვა, 1967 წელს მას მიტროპოლიტის პატივი მიენიჭა. უწმიდესი ეფრემ II მიტროპოლიტ ნაომს წერდა: „შენ ერთს გაქვს უფლება ცოდვების მოკითხვისა და ბედნიერი ვართ, რომ შენ ამას არ აკეთებ, ბედნიერი ვართ, რომ შენ არ იცი ზედმეტის თქმა, ის რაც შენ იცი, რომ გეთქვა, ვინ იცის, შეიძლება წარღვნაც მოსულიყო“.<sup>55</sup> მიტროპოლიტმა ნაომმა დიდი ამაგი გასწია მოწამეთას მონასტრის მოწესრიგებისათვის. გაიყვანა გზა, ააგო საეპარქიო სახლი, მოაწყო მონასტრის ეზო, წმიდა დავითისა და კონსტანტინეს საძვალე.

მძიმე ავადმყოფს სიცოცხლის შენარჩუნება შეეძლო ცალი ფეხის ამპუტაციით (განგრენა ჰქონდა), რაზედაც უარი განაცხადა ღმერთთან სამსჯეროზე ცალი ფეხით როგორ წარვსდგეო. 1969 წლის 3 მარტს იგი გარდაიცვალა. წესი აუგეს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-ემ და ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა ილიამ განსვენებული მიტროპოლიტის ნეშტი დაკრძალეს ქუთაისში პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

**მიტროპოლიტი დიმიტრი (იაშვილი)**

მიტროპოლიტი დიმიტრი, ერისკაცობაში დავით ილარიონის ძე იაშვილი დაიბადა 1872 წლის 15 დეკემბერს სიღნაღის მაზრის სოფელ საქობოში. მამა სასულიერო პირი იყო. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1888-1896 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ დროს თბილისის სასულიერო სემინარიაში განსაკუთრებული სიმკაცრე იყო იდენებოდა ქართული ეროვნული სულისკვეთება, შოვინისტი რუსი მასწავლებლები სემინარიულ ქართველებში რუსეთის იმპერიული ინტერესების მტრებს ხედავდნენ. ყოველივე ამან სემინარისტთა გარკვეულ ჯგუფებში გააძლიერა პროტესტის გრძნობა, რომელიც გადაიზარდა მარქსისტულ იდეოლოგიაში. ასეთი რთული დაპირისპირების ფონზე ახალგაზრდა დავითმა შეინარჩუნა სულიერი სიმშვიდე. არჩეული გზის ერთგულება. 1896-1898 წლებში იგი მსახურობდა მართლმადიდებლური აღმსარებლობის უწყებათა სკოლების მასწავლებლად. 1898 წელს ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა საქობოს ეკლესიის წინამძღვრად. ამავე დროს იყო სიღნაღის ეპარქიალური სასწავლებლების საბჭოს თავმჯდომარე.

1912 წელს იგი გადმოყვანილ იქნა თბილისის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვრად, აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. ამის შემდეგ ძირითადად თბილისის ეკლესიებში მსახურობდა. იგი გამოირჩეოდა თავმდაბლობით ქრისტიანული მოკრძალებითა და პირდაპირობით. 1952 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-ემ წინადადება მისცა ბერად აღკვეცილიყო. ამის შემდეგ უწმიდესი მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით 80 წლის ასაკში ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად. 1958 წლიდან მეუფე დიმიტრი გახდა მიტროპოლიტი ბოდბისა და ალავერდის ეპარქიის მმართველი. მიტროპოლიტმა დიმიტრემ გადამწყვეტი ხოლო შეასრულა 1960 წლის სინოდის იმ სხდომაზე, სადაც იხილებოდა საკითხი, ვინ უნდა გამხდარიყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მელქისედეკ III-ის შემდეგ. მან დაუფარავად განაცხადა, რომ ეს ყველაზე უფრო შეეფერებოდა მიტროპოლიტ ეფრემს.

მიტროპოლიტი დიმიტრი გარდა იმისა, რომ მშვენიერი მქადაგებელი იყო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია როგორც ისტორიული ჟანრის მოთხრობების მწერალი. მისი შემოქმედება სათანადოდ არ არის შესწავლილი. მოთხრობის ნაწილი დაცულია იოსებ გრიშაშვილის არქივში, ნაწილი გ. ლეონიძის ლიტერატურულ მუზეუმში.

მიტროპოლიტი დიმიტრი გარდაიცვალა 1961 წლის 22 ივლისს 89 წლის ასაკში. დაკრძალულია პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-ემ, რომელმაც მიტროპოლიტი დიმიტრი დაახასიათა როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ გამოჩენილ სასულიერო მოღვაწე.

ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია)

ეპისკოპოსი ლეონიდე, ერისკაცობაში ლავრენტი ტიმოთეს ძე ჟვანია დაიბადა 1885 წლის 1 დეკემბერს ზუგდიდის მაზრის სოფელ ლეჯიქეთში. სასულიერო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიუღია სენაკის სასულიერო სასწავლებელში.

1903-1907 წლებში სწავლობდა სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, 1907-1911 წლებში ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1911-1957 წლებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე როგორც იურისტი. 1957 წლის 1 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის აღექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში აღიკვეცა ბერად. 3 თებერვალს სიონის საპატრიარქო ტაძარში ხელდასხმულ იქნა მთავარდიაკვნად, 4 თებერვალს დიდუბის ეკლესიაში ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზონად. 1957 წლის 15 თებერვალს მღვდელმონაზონი ლეონიდე აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და ჩააბარეს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია.

1958 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა კუნკულ-ბარტყულზე ბრილიანტის თვლებიანი ჯვრის ტარების უფლებით.

ეპისკოპოს ლეონიდეს ურთულეს ეპარქიაში მოუხდა მოღვაწეობა. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II აღნიშნავდა – მეუფე ლეონიდეს გაწონასწორებული პოლიტიკა, საერო და საეკლესიო კანონების ზედმიწევნით ცოდნა იყო მისი ეპარქიაში წარმატების საწინდარი. ეპისკოპოსი ლეონიდე გარდაიცვალა 1964 წლის 14 დეკემბერს. 20 დეკემბერს ქუთაისში არქიელის გორაზე წმიდა გიორგის ეკლესიაში დაკრძალვას დაესწრო უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II, საქართველოს ეკლესიის სამღვდელთა. მის საფლავის ქვას ასეთი წარწერა აქვს „45 წელი პირნათლად ვემსახურე ამ მიწიერ ქვეყანას მართლმსაჯულების დარგში, ამიერიდან შევუდგე ქრისტეს, უფალმა მწყოს, გთხოვთ შენდობას“.

**მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა)**

მიტროპოლიტი ზინობი, ერისკაცობაში ზაქარია აკიმის ძე მაჟუგა. დაიბადა 1896 წლის 14 სექტემბერს, ჩერნოგოვოს გუბერნიის ქ. გლუხოვოში. მშობლები ადრე გარდაეცვალა. 1912 წლიდან იგი გლინის უდაბნოს მონასტრის მორჩილი იყო. 1916-1921 წლებში იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში. 1921 წელს დაბრუნდა გლინის მონასტერში და აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ზინობი. 1922 წლიდან საქართველოშია. ჯერ დრანდის მონასტერში, ხოლო 1925 წლის 18 იანვარს ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზონად. 1925-1930 წლებში იგი სოხუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურია. 1930-1936 წლებში მსახურობდა რუსეთში. 1942-1945 წლებში თბილისის სიონის საკათედრო ტაძარსა და მცხეთის ოლღას მონასტერში. 1945 წელს უწმიდესი კალისტრატეს მიერ აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. 1950 წელს უკვე არქიმანდრიტი დაინიშნა თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად. 1955 წელს დაინიშნა ქართლის, კახეთისა და სომხეთის რუსული სამრევლოების კეთილმოწესედ.

1956 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-ემ მიმართა სინოდის წევრებს წერილობით ეცნობებინათ უჭერდნენ თუ არა მხარს არქიმანდრიტ ზინობის ეპისკოპოსად კურთხევას. სინოდის წევრთა უმრავლესობა მიუღებლად მიიჩნევდა ასეთ პრეცედენტის დაშვებას, მაგრამ უწმიდესმა მელქისედეკ III-ემ 1956 წლის 29 დეკემბერს იგი ეპისკოპოსად აკურთხა, დანიშნა კათოლიკოს-პატრიარქის მეორე ქორეპისკოპოსად და უწოდა სტეფანაველი (სომხეთში არსებული მართლმადიდებელი ეკლესიების ეპისკოპოსი ს.ვ.). 1960 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-ემ დანიშნა თეთრიწყაროელ ეპისკოპოსად. 1977 წლის 8 აპრილს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადებისთანავე ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა მიტროპოლიტის ხარისხი მიანიჭა ეპისკოპოს ზინობს.

მიტროპოლიტი ზინობი დაჯილდოებული იყო წმიდა ნინოს, წმ. ვლადიმირის ორდენებით, მინიჭებული ჰქონდა კუნკულ-ბარტყულზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება. იგი გარდაიცვალა 1985 წლის 8 მარტს. 14 მარტს დაკრძალეს თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

„1957 წელს მისი უწმიდესობის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით სწორედ ამ ტაძარში, ამ ადგილზე მეუფე ზინობმა აღმკვეცა ბერად და მიწოდა წინასწარმეტყველ ილიას სახელი. ზინობმა მიიღო მონაწილეობა ჩემს ეპისკოპოსად კურთხევასა და შემდეგ, პატრიარქად აღსაყდრებაში. მისი ცხოვრება, მისი გული მთლიანად ეკუთვნოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ჩვენ, საერთოდ ყველას.

იგი მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით ხვდებოდა მასთან მისულ ყველა მორწმუნეს, იქნებოდა ის რუსი, ქართველი თუ სხვა ეროვნებისა. მისთვის მთავარი იყო ერთი – ადამიანს ესაჭიროებოდა დახმარება, ესაჭიროებოდა რწმენის განმტკიცება. ეს იყო მისთვის ამოსავალი და აი, დღეს მარადიულ ცხოვრებაში მივაცილებთ მას, მაგრამ მე მწამს, რომ მეუფე ზინობი არ დაგვტოვებს ჩვენ. მისი სული ილოცებს ჩვენთვის იქაც, ზეციურ საქართველოში“.<sup>57</sup>

**ეპისკოპოსი დავითი (ბურდილაძე)**

ეპისკოპოსი დავითი, ერისკაცობაში დავით აღასთონისძე ბურდულაძე დაიბადა 1877 წლის 12 მარტს, სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირში, წიგნის მკითხველის ოჯახში. პირველ დაწყებითი განათლება მიიღო სიღნაღის სამკლასიან სასწავლებელში. 1893-1898 წლებში იყო თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის მორჩილი. 1898 წელს გორის ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ გამწესებულ იქნა თელავის მაზრის სოფ. ვარდისუბნის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, სადაც ასევე ასწავლიდა საღვთო სჯულს და საეკლესიო გალობას.

1915 წელს ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე) მიერ ხელდასმულ იქნა მღვდლად.

1918 წელს ალავერდელი ეპისკოპოსის პიროსის მიერ გამწესებულ იქნა ვახნაძიანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში. 1925 წელს მიტროპოლიტ იოანეს (მარგიშვილი) მიერ დადგენილ იქნა თელავის მაზრის სოფ. შილდის მღვდლად. 1929 წელს აგრესიული ათეიზმის ხანაში იგი იძულებული გახდა თავი დაენებებინა სასულიერო საქმიანობისათვის.

1944 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ აღადგინა მღვდლის ხარისხში და გაგზავნა ახმეტაში.

1952 წლიდან დეკანოზი და ალავერდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი. 1958 წლის 8 ოქტომბერს იგი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად დავითი, 9 ოქტომბერს აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1958 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის დღესასწაულზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ღოცვა-კურთხევით ხელდასმულ იქნა ალავერდის ეპისკოპოსად. ალავერდის ეპარქიაში მოღვაწეობის უამს მას არაერთი უსიამოვნება შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ერჩიათ წარმართული „ალავერდობა“ ღრეობისა და ცეკვა-თამაშის ფონზე და არ აძლევდნენ მღვდელმთავარს ტაძარში წირვა-ღოცვის ჩატარების უფლებას.

1963 წელს ეპისკოპოსი დავითი გარდაიცვალა, იგი დაკრძალულია თელავის საერო სასაფლაოზე.

## 7. XX საუკუნის 20-60-იანი წლების სასულიერო პირები

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წარმატებით დააგვირგვინა 1811 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევით გაუქმებული ავტოკეფალია. ქართულ ისტორიოგრაფიაში ავტოკეფალური მოძრაობის ხელმძღვანელებად სავსებით სამართლიანად წარმოჩენილია ეპისკოპოს (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის) კირიონ საბაგლიშვილის, ეპისკოპოს (შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი) ლეონიდე ოქროპირიძის, ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილის, ეპისკოპოს დავით კაჭახიძის, არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას (კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი ამბროსი), კალისტრატე ცინცაძის (კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე), დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის, დეკანოზ ქრისტეფორე ციციქიშვილის (კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III). როლი, მაგრამ რაოდენ დიდი შემართება შეუპოვრობა გამოეჩინათ მათ ამას იქნებოდა ყოველივე თუ გვერდით არ დაუდგებოდა ქართველი სამღვდლოება, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობდნენ და რომელთაც არა მარტო თვითონ, არამედ მთელ ქართველ ხალხს გაათავისებინეს ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა. 1917 წელს 12 (25) მარტს ავტოკეფალიის აქტს 600-ზე მეტმა სასულიერო პირმა მოაწერა ხელი. მათი უმრავლესობის შესახებ ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა იცოდნენ. დასავიწყებლად არ მემეტება უძეგლო გმირები, რომელთაც ბევრი ტკივილი, უსამართლო მოპყრობა, ათეისტური ხელისუფლებისაგან დაპატიმრება, გადასახლება გადაიტანეს, მაგრამ არ გატყდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურნენ დედა-ეკლესიას. თუ 1921 წელს საქართველოში მოქმედი იყო 1450-ზე მეტი ეკლესია, 25 მონასტერი, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ 1921 წლის 15 აპრილის დადგენილებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციად გამოაცხადა, მას წაართვა საეკლესიო ქონება, ადმინისტრაციული წესით დაიწყო ეკლესია-მონასტრების დახურვა, სასულიერო წოდება გამოაცხადა „მშრომელი მოსახლეობის მტრებად“. დაანგრიეს და გაძარცვეს ასობით ეკლესია მონასტერი დახვრიტეს სასულიერო პირები... თავს ვხრით მიტროპოლიტ ნაზარის, მღვდელ გერმანე ჯაჯანიძის, მღვდელ იეროთეოს ნიკოლაძის, მღვდელ სვიმონ მჭედლიძის, დიაკონ ბესარიონ კუხიანიძის, მღვდელ ასათიშვილის, მღვდელ ბესარიონ წიკლაურის, მღვდელ იოანე კაიშაურის, მღვდელ იოსებ ვაშაძის, მიხეილ ნანეიშვილის, ერმილე გოგოლაშვილის, ივანე ქააძის, მალაქია წიკლაურის, სამსონ მძინარიშვილის, გიორგი დარჩიას, ელიზბარ ანჩაბაძის, გიორგი წულაიას, იოანე ფანცულაიას, აპოლონ აფხაიძის, ნიკოლოზ ბეშქენაძის ნათელი ხსოვნის წინაშე, რომელნიც შეეწირნენ სამშობლოსა და სარწმუნოების სიყვარულს. ე.წ. „ტროიკას“ (სამეულის) განაჩენით გადასახლებაში მყოფნი ვერ ეღირსნენ სამშობლოში დაბრუნებას და იქ გარდაიცვალნენ: ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე, მღვდლები: გიორგი მაჭავარიანი, ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი, არსენ ჯანელიძე, ნესტორ ჯალაღონია, ალექსანდრე ცქიფურიშვილი, ექვთიმე ნანეიშვილი... ყოველივე ამის შედეგი იყო ის რომ XX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მოქმედი დარჩია 80-ზე ნაკლები ეკლესია, 105 სასულიერო პირით. სასულიერო პირობა გმირობის ტოლფასი იყო. გთავაზობთ სასულიერო პირების მოკლე ბიოგრაფიებს.

**მღვდელი ალექსანდრე ლავრენტის ძე ერაძე**

დაიბადა 1901 წ. თბილისში სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში. 1926 წ. დაამთავრა რკინიგზის ტექნიკუმი. 1920-1947 წლებში იყო საერო სამსახურში. 1947-1949 წლებში ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიის დიაკონი. 1949-1951 წლებში სიონის ეკლესიის დიაკონია. 1951-1952 წლებში ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში იყო ეკლესიის წინამძღვარი.

1952 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის ქაშუეთის ეკლესიის მღვდელი. ცხოვრობდა თბილისში მარტყოფის ქ. №6.

### **მღვდელი სამსონ ათანასეს ძე ანთელავა**

დაიბადა 1875 წელს ზუგდიდის რაიონ სოფ. ჯიხაშკარში. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1906-1930 წლებში იყო ჭაქვინჯის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრად. 1930-1950 წლებში განმოსილია. 1950 წელს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით გაიგზავნა გუგუთის რაიონში, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. მამა სამსონმა 1924 წელს თავის თავზე იწვნია ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების სიმკაცრე. იგი დაპატიმრებულ იყო „ანტისაბჭოთა საქმიანობის“ ბრალდებით.

### **მღვდელი ილია სტეფანეს ძე არშაულიძე**

დაიბადა 1901 წელს სოფ. ქვემო ალვანში (ახმეტის რაიონი) სწავლობდა ალავერდისა და შუამთის სამონასტრო სკოლებში. 1918-1937 წლებში იყო ზემოალვანის სამების ტაძრის მედავითნე. 1937-1955 წლებში იძულებით განმოსილია. 1955 წლის 4 ნოემბრიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა ყვარლის რაიონის სოფ. ქვემო გაგაზის ეკლესიის წინამძღვრად. მისი ოჯახი ცხოვრობდა ახმეტის რაიონ სოფელ ქვემო ალვანში.

### **მღვდელი რომანოზ ლევანის ძე ახალკაცი**

დაიბადა 1885 წ. ცხინვალის რაიონ სოფელ გერში. 1905 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. 1912 წელს აკურთხეს მღვდლად და გაგზავნეს ზნაურის რაიონის სოფ. აგნევის ეკლესიის წინამძღვრად, სადაც მოღვაწეობდა 1919 წლამდე. 1919-1929 წლებში იყო ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის ეკლესიის წინამძღვარი. 1930-1949 წლებში იძულებით განმოსილია.

1954 წლის 21 აპრილიდან გარდაცვალებამდე იყო ქ. ცხინვალის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი. მისი ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი იყო ქარელის რაიონი სოფელი ბრეთი.

### **არქიმანდრიტი პართენ აფციაური**

დაიბადა 1905 წელს დუშეთის რაიონ სოფელ დუმაცხოში. 1924-1926 წლებში იყო შიომღვიმის მონასტერში. 1926-1927 წლებში სვეტიცხოვლის მედავითნეა, 1928-1933 წლებში ზედაზნის მონასტრის მთავარდიაკონია. 1933-1936 წლებში შიომღვიმის მონასტრის ბერმონაზონია. 1936-1940 წლებში რამების მონასტერში, 1945-1947 წლებში კვლავ ზედაზენზეა.

1940-1945 წლებში იყო რეპრესირებული, 1947 წლიდან გარდაცვალებამდე სვეტიცხოველშია. გარდაიცვალა 1985 წელს. დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს მონასტრის ეზოში.

### **მღვდელი პანტელეიმონ ბარნაბიშვილი**

დაიბადა 1891 წელს დუშეთში, სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1912-1917 წლებში სამხედრო სამსახურშია. 1917-1952 წლებში კვლავ საერო სამსახურშია. 1952 წლიდან 1960 წლამდე ქაშუეთის ეკლესიის მთავარდიაკონია. 1960 წლიდან გარდაცვალებამდე ამავე ეკლესიის მღვდელია. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში, ყაზბეგის ქ. №24.

### **მღვდელი გიორგი პეტრეს ძე ბეჟენიშვილი**

დაიბადა 1882 წელს თელავის რაიონ სოფ. შილდაში. დაამთავრა თელავის სამწლიანი სასულიერო სასწავლებელი. 1918-1922 წლებში სოხუმის საკათედრო ტაძრის დიაკონია, 1922-1938 წლებში სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის დიაკონია, 1945-1948 წლებში სოხუმის რაიონის ზემო ლანდავას მღვდელია, 1953 წლიდან გარდაცვალებამდე სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის მღვდელმსახურია. ოჯახი ცხოვრობდა სოხუმში.

### **მღვდელი ნიკოლოზ ილიას ძე ბერეკაშვილი**

დაიბადა 1901 წელს ტყიბულის რაიონ სოფელ კურსებში. დაამთავრა ქუთაისის საერო სასწავლებელი. 1915-1918 წლებში სწავლობდა ჯრუჭის მონასტრის სკოლაში. 1922-1925 წლებში ზესტაფონის წმ. დავითისა და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის დიაკონია. 1925-1945 წლებში ზესტაფონის რიონის სოფელ კვალითის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარია. 1949 წლიდან გარდაცვალებამდე ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის მღვდელია. ოჯახი ცხოვრობდა ქ. ქუთაისში ბარათაშვილის ქ. № 8.

### **მღვდელი ნიკოლოზ გიორგის ძე ბოღლაშვილი**

დაიბადა 1885 წელს სოფელ ჯუგანში. პირველდაწყებითი განათლება თავისივე სოფელში მიიღო. 1912-1915 წლებში თბილისის პროტობრაჟენსკის მონასტერში იყო. 1912-1916 წლებში იყო წმიდა მარინეს ეკლესიის მედავითნე. 1916-1918 წლებში სიონის ეკლესიის მედავითნეა. 1918-1924 წლებში დიაკონი. 1924-1926 წლებში პროტოდიაკონი, 1939-1952 წლებში იძულებით განმოსილია. 1952 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა სიდნაღის რაიონის სოფელ ჯუგანის ეკლესიაში. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ ჯუგანში.

### **მღვდელი ვასილ პავლეს ძე გაბადაძე**

დაიბადა 1875 წელს ტყიბულის რაიონ სოფელ კურსებში. სწავლობდა ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1894-1907 წლებში მასწავლებლობდა კურსების სასულიერო სასწავლებელში. 1907-1913 წლებში სოფელ კურსების ეკლესიის დიაკონია. 1913-1925 წლებში ტყიბულის რაიონის სოფელ ოჯალის ეკლესიის წინამძღვარია. 1925-1935 წლებში ქუთაისის რაიონ სოფელ ოფშკეთის მღვდელია. 1935-1945 წლებში იძულებით განმოსილია. 1945-1947 წლებში ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილის მღვდელია. 1947 წლიდან

გარდაცვალებამდე მსახურობდა ქუთაისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ოჯახი ცხოვრობდა ქუთაისში ყაზბეგის ქ. № 22.

### **პროტოპრესვიტერი ალექსანდრე ლუკას ძე გაბუნია**

დაიბადა 1880 წელს ქ. თბილისში. სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1899 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1899-1901 წლებში იყო მედავითნე ყარსის ოლქის სოფ. გრენადერსკში. 1902-1906 წლებში სოფელ ნუხის და განჯის მთავარდიაკონია. 1906-1908 წლებში იყო სოფ. გალიცინოს მღვდელი. 1914-1918 წლებში პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო ფრონტის საზღვრებში მოძღვარი. 1920-1922 წლებში მარტყოფის ეკლესიის წინამძღვარი. 1922-1924 წლებში სოფელ პატარა ლილოს სკოლის მასწავლებელია. 1924-1929 წლებში თბილისის 29-ე სკოლის მასწავლებელია. 1929-1939 წლებში მუშაობდა მე-2 სკოლაში, 1939-1944 წლებში თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის საფინანსო განყოფილების უფროსია. 1944-1947 წლებში მანგლისის ეკლესიის წინამძღვარი. 1947 წლიდან გარდაცვალებამდე იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერი. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №18.

### **დეკანოზი დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილი**

დაიბადა 1870 წელს სოფელ საგარეჯოში, დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ სემინარია 1893 წელს.

1893-1895 წლებში მასწავლებლობდა დიდუბის სკოლაში. 1895-1922 წლებში კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის მღვდელია. 1922-1934 წლებში თბილისის ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი. 1934-1945 წლებში მსახურობდა სიონის საპატრიარქო ტაძარში. 1945 წლიდან 1957 წლამდე იყო კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის წინამძღვარი. ოჯახი ცხოვრობდა ჩუღურეთის რაიონში, ტყემელაშვილის ქ. № 10.

### **მღვდელი თომა ანდრიას ძე გაჩეჩილაძე**

დაიბადა 1866 წელს ჭიათურის რაიონ სოფელ გუნდაეთში სწავლობდა ქუთაისში ეპისკოპოს გაბრიელის მიერ დაარსებულ სასწავლებელში. 1889-1926 წლებში მედავითნეობდა საჩხერის ეკლესიაში. 1926-1930 წლებში იყო საჩხერის რაიონის სოფ. ცხამის ეკლესიის წინამძღვარი. 1930-1945 წლებში იძულებული გახდა განმოსიდიყო. 1945-1954 წლებში ჭიათურის რაიონის სოფელ გუნდაეთის ეკლესიის წინამძღვარი. 1954 წლიდან გარდაცვალებამდე ჭიათურის მღვიმის მონასტრის მღვდელია. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ გუნდაეთში.

### **მღვდელი დომენტი მიხეილის ძე გიორგაძე**

დაიბადა 1884 წელს სოფელ სიმონეთში. 1893-1895 წლებში სწავლობდა სოფლის სკოლაში. 1909-1910 წლებში მსახურობდა იეროდიაკვნად თბილისის ფერისცვალების მონასტერში. 1913-1915 წლებში ქვათახევის მონასტრის მღვდელმონაზონია. 1916-1921 წლებში ჯრუჭის მონასტერშია, 1922-1932 წლებში ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის ეკლესიის მოძღვარია. 1932-1932 წლებში ბაღდადის რაიონის სოფელ სადემეტროს ეკლესიის წინამძღვარია, 1938-1943 წლებში სოფელ ფარცხანაყანევშია, 1944-1948 წლებში თერჯოლის რაიონის

სოფელ ზედა სიმონეთის ეკლესიის წინამძღვარია. 1949 წლიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა სოფელ ქვედა სიმონეთში. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ ბარდუბანში.

### **ილუმენი სტეფანე ნიკოლოზის ძე გოგოლაშვილი**

დაიბადა 1880 წელს სოფელ იყალთოში. 1896-1902 წლებში სწავლობდა შუამთის მონასტრის სკოლაში. 1896-1916 წლებში მედავითნეობდა შუამთის მონასტერში.

1916 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ალავერდის მონასტრის ილუმენი.

### **მღვდელი ათანასე ანტონის ძე გოგუაძე**

დაიბადა 1872 წელს ლანჩხუთის რაიონ სოფ. კელაში. სწავლობდა ახალი ათონის სამონასტრო სკოლაში. 1902-1906 წლებში იყო მარტვილის მონასტრის მედავითნე. 1906-1912 წლებში მსახურობდა ლაბჩუთის მთავარანგელოზის ეკლესიაში. 1912-1923 წლებში ლანჩხუთის რაიონის სოფელ ბულუხაურის ეკლესიაში. 1923 წლიდან გარდაცვალებამდე ჯუმათში.

### **მღვდელი გიორგი ნესტორის ძე ღონღაძე**

დაიბადა 1894 წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ რდილში. 1908 წელს დაამთავრა ქალაქის სკოლა თბილისში. 1908-1913 წლებში იყო კიროვობადის ტელეგრაფისტი. 1914-1919 წლებში დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევის წმიდა გიორგის ეკლესიის მედავითნე. 1914-1917 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918-1923 წლებში იყო გორის მაზრის სოფელ ატოცის ეკლესიის დიაკონი. 1923-1949 წლებში იყო საერო სამსახურში. 1949-1955 წლებში თელავის რაიონის სოფელ ფშაველის ეკლესიის მღვდელია. 1955 წლიდან თბილისის დიდუბის ეკლესიაშია. 1974 წლის 13 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი დავით V-ის მიერ ხელდასხმულ იქნა მანგლელ ეპისკოპოსად. 1978 წელს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში და გადაყვანილ იქნა წილკნელად. 1982 წლის 22 ივნისს იგი გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის ეკლესიაში.

### **მღვდელი ნიკოლოზ თარხანის ძე დეკანოზიძე**

დაიბადა 1887 წელს ხარაგაულის რაიონ სოფელ დარისხევში. 1905 წელს დაამთავრა ხარაგაულის ორკლასიანი სასულიერო სასწავლებელი. 1908-1919 წლებში იყო დარისხევის წმიდა გიორგის ეკლესიის მედავითნე.

1919-1921 წლებში სიღნაღის რაიონის სოფელ თამარიანის ეკლესიის მღვდელი. 1921-1926 წლებში ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მღვდელი. 1926 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ყარსუბნის ეკლესიის მღვდელი. ოჯახი ცხოვრობდა ყარსუბანში.

### **დეკანოზი ისააკ დიმიტრის ძე ჯორჯიკია**

დაიბადა 1887 წელს ხობის რაიონ სოფელ ნოჯიხევში. 1910 წელს დაამთავრა ხობის ორკლასიანი სასწავლებელი. 1922-1928 წლებში იყო ქ. ფოთის ტაძრის დიაკონი. 1935-1947 განმოსილია. 1947-1954 ბათუმის ეკლესიის წინამძღვარია. 1954 წლიდან სოხუმის ეკლესიის მოძღვარია.

### **მღვდელი სპირიდონ პეტრეს ძე ძიძავა**

დაიბადა 1882 წელს სენაკის რაიონის სოფ. ხორში. სწავლობდა სენაკის სასულიერო სასწავლებელში, ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. 1910-1913 წლებში მასწავლებლობდა საეკლესიო სკოლაში. 1914-1921 წლებში სენაკის რაიონის სოფელ ეკის ეკლესიის მღვდელია. 1922-1927 წლებში ნოქალაქევის სკოლის მასწავლებელია. 1927-1943 წლებში იძულებით განმოსილია. 1943 წლიდან გარდაცვალებამდე სოფელ მენჯის ეკლესიის წინამძღვარია.

### **დეკანოზი გერვასი იოსების ძე ჯაოშვილი**

დაიბადა 1884 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ნიგოზეთში. სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1910-1913 წლებში სამხედრო სამსახურშია. 1914-1917 წლებში დმანისის რაიონის დიდი გომარეთის ეკლესიის მღვდელია. 1917-1931 წლებში ჯერ სოფელ ავლევის, ხოლო შემდეგ სურამის ეკლესიის მღვდელია. 1931-1955 წლებში იძულებით განმოსილია. 1955 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის მოძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში სამტრედიის ქ. № 10.

### **მღვდელი თეოფანე ზოსიმეს ძე ჯუღელი**

დაიბადა 1879 წელს ზუგდიდში. დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი. 1903-1908 წლებში მედავითნეობდა ქუთაისის ეკლესიებში. 1908-1923 წლებში დიაკონია, 1923-1925 წლებში ეკლესიების მასობრივი დახურვის გამო უმუშევარია. 1925-1947 წლებში ზუგდიდის ეკლესიის მღვდელია. ორჯერ იყო დაპატიმრებული 1923 და 1936 წლებში ბავშვების მონათვლის გამო. 1948 წლიდან გარდაცვალებამდე ზუგდიდში მოღვაწეობდა.

ოჯახი ცხოვრობდა ზუგდიდში ნინოშვილის ქ. № 58.

### **არქიმანდრიტი ევაგრე დიასამიძე**

დაიბადა 1887 წელს ასპინძის რაიონ სოფელ საროში. ხერთვისის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მედავითნეობის კურსებზე თბილისში. 1912-1914 წლებში თბილისის დარის მონასტრის იეროდიაკონია. 1914-1919 წლებში თბილისშია. 1919-1921 წლებში ახალციხის რაიონის საფარის მონასტერშია, 1921-1930 წლებში მარტყოფის მონასტერშია. 1930-1947 წლებში სიონის ეკლესიის მღვდელმონაზონია, 1947-1951 წლებში ისევ მარტყოფშია, 1951-1952 წლებში კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაშია. 1952-1954 წლებში მცხეთის სვეტიცხოველშია. 1954-1955 წლებში ისევ კუკიის ეკლესიაშია. 1955 წლიდან საგარეჯოში დოდოს მონასტერშია. 1968 წელს ითხოვს პენსიაზე გასვლას. წავიდა თავის სოფელში, საროში სადაც მალე გარდაიცვალა.

### **მღვდელი საბა ტროფიმეს ძე დურდიაშვილი**

დაიბადა დმანისის რაიონ სოფელ რეზაში. 1914 წლამდე სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1915-1917 წლებში იყო სოფელ ბახტრიონის მღვდელი. 1919-1919 წლებში დუშეთის რაიონის სოფ. ხანდოში, 1919-1930 წლებში სოფელ ხოვლეში, 1930-1947 წლებში იძულებით განმოსილია. 1947-1950 წლებში თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიაშია. 1950-1952 წლებში ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაშია. 1952-1953 ისევ პეტრე-პავლეს ეკლესიაშია, შემდეგ დიდუბეში. 1954 წლიდან გარდაცვალებამდე სიონის საპატრიარქო ტაძარში.

### **მღვდელი კონსტანტინე მიხეილის ძე ემჩინოვი**

დაიბადა 1888 წელს ქუთაისში. 1917 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

1908-1947 წლებში იყო საერო სამსახურში. 1947 წელს ხელდასხმულ იქნა მღვდლად და გარდაცვალებამდე იყო მიხეილ ტვერელის ეკლესიის წინამძღვარი. ოჯახი ცხოვრობდა პლექსანოვის 51.

### **არქიმანდრიტი ათანასე იორდანეს ძე ზაქარიაშვილი**

დაიბადა 1869 წელს სოფელ ნაგარევეში (ქუთაისი) სწავლობდა გელათის, შიომღვიმისა და მარტვილის სამონასტრო სკოლებში. 1881-1890 წლებში. 1897-1926 წლებში იყო შიომღვიმის მონასტერში.

1926 წელს ხელდასხმულ იქნა ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიაში მღვდლად. 1950 წლიდან არქიმანდრიტია და გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიაში. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ ნაგარევეში.

### **მღვდელი გიორგი ილარიონის ძე ზამბახიძე**

დაიბადა 1895 წელს ხარაგაულის რაიონ სოფელ ვერტყვიჭალაში. 1912 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1914-1915 წლებში მედავითნეობდა ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. 1915-1918 წლებში ჭიათურის რაიონის სოფელ ღიჩში: 1918-1921 წლებში იყო ბორჯომის რაიონის სოფელ დვირის მღვდელი, 1922 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ საროში, 1922-1926 წლებში ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში, 1947 წლიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა ქარელის რაიონის სოფელ ატოცის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. ოჯახი ცხოვრობდა სურამში, კომკავშირის ქ. № 31.

### **მღვდელი მიხეილ ნიკოლოზის ძე ზურაბიშვილი**

დაიბადა 1900 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში. 1912 წელს დაამთავრა სიღნაღის პირველდაწყებითი სასულიერო სასწავლებელი, 1920 წლამდე იყო ხირსის მონასტერში. 1924-1953 წლებში მედავითნეობდა ბოდბისხევის ეკლესიაში. 1953 წლიდან გარდაცვალებამდე სოფელ ჯუგაანის ეკლესიის მღვდელი. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ ჯუგაანში. იგი აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის ბიძა იყო.

### **მღვდელი გიორგი იოსების ძე ინანიშვილი**

დაიბადა 1878 წელს საგარეჯოს რაიონ სოფელ ნინოწმინდაში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1899-1906 წლებში იყო უჯარმის წმიდა გიორგის ეკლესიის მედავითნე, 1906-1917 წლებში ქვაშვეთის ეკლესიის მედავითნეა, 1917-1922 წლებში იყო დუშეთის რაიონის სოფელ ახალდაბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მღვდელი. 1925-1942 წლებში იძულებით განმოსილია. 1942-1943 წლებში ახალგორის რაიონის ავლევის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელია. 1943 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ვაკის სასაფლაოს ეკლესიის მღვდელი. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში ახალციხის ქ. № 7.

### **მღვდელი თადეოზ ნიკოლოზის ძე კიკალიშვილი**

დაიბადა 1846 წელს ტყიბულის რაიონ სოფელ წკნორში. 1910-1912 წლებში სწავლობდა გელათის სამონასტრო სკოლაში. 1924-1926 წლებში იყო ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთის ეკლესიის მღვდელი. 1926-1936 წლებში სასულიერო საქმიანობას ეწეოდა სოჩხეთსა და ძმუისში. 1937-1946 წლებში რეპრესირებული და გადასახლებულია. ე.წ. „ტროიკას“ გადაწყვეტილებით. 1946 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ტყიბულის რაიონის სოფელ წკნორის ეკლესიის წინამძღვარი. ოჯახი ცხოვრობდა სოფ. წკნორში.

### **მღვდელი დიმიტრი ნაუმის ძე კაკუბავა**

დაიბადა 1878 წელს გალში. 1908-1919 წლებში იყო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში მედავითნედ. 1919-1922 წლებში ტყვარჩელის თორმეტი მოწამის სახელობის ეკლესიის მღვდელია. 1922-1929 წლებში ბუდიის ღვთისმშობლის ეკლესიაშია, 1929-1932 წლებში რეხხინის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარია, 1932-1953 წლებში იძულებით განმოსილია. 1953 წლიდან გარდაცვალებამდე გუდაუთის რაიონის ღიხნის ეკლესიის წინამძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა გუდაუთაში.

### **მღვდელი თეოფანე ლუკას ძე კალანდარიშვილი**

დაიბადა 1873 წელს სენაკში. 1898 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1898 წლიდან გარდაცვალებამდე სენაკის ეკლესიის წინამძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა სენაკში რუსთაველის ქ. № 23.

### **მღვდელი დავით აბესალომის ძე კარგარეთელი**

დაიბადა 1888 წელს სოფელ როკითში (ბაღდადის რაიონი). 1912 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1913-1914 წლებში მასწავლებლობდა სტეფანწმიდის დაწყებით სკოლაში. 1914-1916 წლებში იყო სოფელ მღეთის მღვდელი. 1916 წლიდან გარდაცვალებამდე სოფელ როკითის ეკლესიის წინამძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ როკითში.

**გთავაზობთ არქიმანდრიტ კონსტანტინე ქვარაიას  
მიერ დაწერილ ავტობიოგრაფიას**

მე არქიმანდრიტი კონსტანტინე (კონსტანტინე ნოჩოს ძე ქვარაია) ეროვნებით ქართველი, დაიბადა 1902 წ. 15 ოქტომბერს. ძვ. სტ. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში, გლეხის ოჯახში. 1909 წ. შემიყვანეს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის ორკლასიანი ნორმალურ სასწავლებელში. სასწავლებელი დავათავრე 1914 წ. 1921 წ. შევედი ანდრია მოციქულის პირველწოდებულის წარჩემოხურის მამათა მონასტერში მორჩილად. 1926 წ. ამავე მონასტერში აღვიკვეცე ბერად მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტი ლუკას მიერ. 1930 მონასტერი დაკეტეს. 1930 წ.-1935 წლამდე ვცხოვრობდი სოფელ ორსანტიაში – დედასთან. 1935 წ. მარტში აფხაზეთის მიტროპოლიტმა მელქისედეკმა (ფხალაძემ) ამაყად დანგრეულ სოხუმის წმიდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძარში მაკურთხა იროდიაკონად, ხოლო მეორე დღეს მღვდელმონაზვნად. არეული დრო იყო. გამიშვეს ჩემს სოფელში, სადაც ვცხოვრობდი 1947 წლამდე ამ ხნის განმავლობაში. იქ ვეწეოდი სულიერ მოღვაწეობას დროის ვითარებისდა მიხედვით. 1947 წლიდან 1948 წლის ნოემბრამდე ვიყავი მეორე მღვდლად სოხუმის რაიონის სოფელ თავისუფლების ფერიცვალების ეკლესიაში. წინამძღვრად იმ ეკლესიაში იყო არქიმანდრიტი – ლუკა (ნადარეიშვილი) 1948 წ. ნოემბერში აღნიშნული ეკლესია დაკეტეს 1948 წლის ნოემბერში კათალიკოს პატრიარქ კალისტრატეს მიერ დანიშნულ ვიქმენ მღვდელ მსახურად თეკლათის დედათა მონასტერში, ცხაკაიაში, სადაც ვმოღვაწეობ და ვცხოვრობ დღემდე 1958 წლიდან მიტროპოლიტი ეფრემის, შემდეგში კათოლიკოს-პატრიარქისა, ლოცვა-კურთხევით ერთდროულად ვღვდელმქმედობ ვიდრე დღემდე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანის ზემოთ ჯიხეთის დედათა მონასტერში.

მამაჩემი ნოჩო გვაჩილიას ძე ქვარაია, დაბადების წელი არ ვიცი, გარდაიცვალა 1930 წ.

დედა ჩემი ბარბარე გუსარის ასული ცანაია, დაბადების წელი არ ვიცი, გარდაიცვალა 1959 წელს.

დაი თებრონია (ძაბია) ნოჩოს ასული ქვარაია დაიბადა 1893 წ. მონასტრის მორჩილი, ცხოვერობს – ცხაკაიას დედათამონასტერში, ძმა – დომენტი ნოჩოსძე ქვარაია, დაიბადა 1898 წ. გარდაიცვალა 1929 და ქრისტინა ნოჩოს ასული ქვარაია. დაიბადა 1905 წ. პენსიონერი. ცხოვერობს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაგლიაში. ძმა ტარასი ნოჩოს ძე ქვარაია, დაიბადა 1908 წ. გარდაიცვალა 1931 წ. ძმა კალისტრატე (კოლია) ნოჩოს ქვარაია დაიბადა 1911 წ. პენციონერია ცხოვერობს ზუგდიდის რაიონ სოფელ ანაკლიაში. ჩემი პასპორტის ნომერი და სერიია – 574560 XII-0 , როგორც მე ისე ახლო ნათესავეები არასოდეს ვყოფილვართ კომკავშირისა და კომპარტის წევრი. სამხედრო სამსახურში არ გამივლია, ვარ არა სამხედრო ვალდებული. საზღვარგარეთ არა ვყოფილვარ, არა მაქვს მიმოწერა და არც ნათესავი , მეგობრები მყავს.

იღუმენად ნაკურთხი ვარ მიტროპოლიტი ეფრემის მიერ 1956 წ. ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ტაძარში, არქიმანდრიტად – 1961 წელს, თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში კათოლიკოს პატრიარქ ეფრემ II-ს მიერ.

### მღვდელი ნიკოლოზ ნესტორის ძე კიდურაძე

დაიბადა 1891 წელს ოზურგეთში. 1909 წელს დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი. 1910-1917 წლებში იყო ბათუმის ეკლესიის მედავითნე, 1917-1949 წლებში თბილისის დიდუბის ეკლესიის მთავარდიაკონი, 1949-1951 წლებში სიონის ეკლესიის მთავარდიაკონი, 1951-1953 წლებში ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მთავარდიაკონი, 1953 ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მღვდელია. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში ბრძოლის ქ. № 44.

### **მღვდელი იულინე ბესარიონის ძე ყიფშიძე**

დაიბადა 1865 წელს ჭიათურის რაიონ სოფელ ბილაში. 1889 წელს დაანთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1889-1890 წლებში. 1890-1949 წლებში იყო ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთის ეკლესიის მღვდელი. ოჯახი ცხოვრობდა ზესტაფონში მოლოტოვის ქ. №6.

### **მღვდელი რაფაელ ნიკოლოზის ძე კარელინი**

დაიბადა 1931 წელს თბილისში. დაამთავრა რკინიგზის საშუალო სკოლა, სწავლობდა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1955 წლიდან 1965 წლამდე იყო მცხეთის ოლღას მონასტრის მღვდელი. 1967 წლიდან დღემდე არქიმანდრიტი რაფაელი თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მსახურობს. ოჯახის მისამართი: თბილისი, ხუთი დეკემბრის ქ. №12.

### **მღვდელი კოზმა ანდრიას ძე კირცხალია**

დაიბადა 1892 წელს სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფელში. 1911-1913 წლებში სწავლობდა გელათის მონასტრის სკოლაში. 1913-1914 წლებში იყო ჭალადიდის ეკლესიის მედავითნე, 1914-1917 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1917-1921 წლებში იყო სენაკის ეკლესიის მედავითნე, 1921-1923 წლებში ჭალადიდის წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვარია, 1925-1927 წლებში იყო ნოსირის ეკლესიაში, 1927-1943 წლებში იძულებით განმოსილ იქნა. 1943-1949 წლებში იყო სენაკის ეკლესიის მღვდელი. 1949 წლიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა ფოთის სამლოცველო სახლის მღვდლად. ოჯახი ცხოვრობდა სენაკის რაიონ ახალსოფელში.

### **მღვდელი კონსტანტინე მაქსიმეს ძე კნიაზევსკი**

დაიბადა 1885 წელს ვიუმრიში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი 1903 წელს. 1903-1904 წლებში მასწავლებლობდა დმანისში. 1904-1905 წლებში იყო მედავითნე ერევნის მართლმადიდებელ ეკლესიაში. 1905-1914 წლებში იყო ყარსის ოლქში, 1914-1920 წლებში კიროვაკანის ეკლესიის მღვდელია, 1921-1922 წლებში ელიზავეტოპოლშია, 1922-1921 წლებში ბაქოს ოლქის მართლმადიდებელ ეკლესიაშია, 1931-1947 წლებში იძულებული გახდა განმოსილიყო. 1947-1955 წლებში სტავროპოლის მხარეშია. 1955 წლიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიაში. ოჯახი ცხოვრობდა ჩუბინიძის ქ. № 22.

### **მღვდელი ლაზარე იაკობისძე კოჟორაძე**

დაიბადა 1892 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენში. სწავლობდა ჯერ გოგაშენის, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო კურსებზე. 1913-1923 წლებში მსახურობდა დმანისში დიაკვნად. 1923-1924 წლებში იყო საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო კურსების მსმენელი. 1924-1936 წლებში იყო ბორჯომის რაიონის სოფელ საკირეს მღვდელი, 1939-1945 წლებში აწყურშია, 1945 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ხაშურის რაიონის სურამის იტრიის ეკლესიის წინამძღვარი. ოჯახი ცხოვრობდა ბორჯომში კეცხოველის № 63.

### **მღვდელი იასე ბიჭიას ძე ლაბაძე**

დაიბადა 1892 წელს სოფელ შროშაში (ზესტაფონის რაიონი) ჯერ სწავლობდა სოფლის სკოლაში, 1908-1909 წლებში გელათის სამონასტრო სასწავლებელში. 1909-1920 წლებში იყო შროშის ეკლესიის მედავითნე, 1922-1923 წლებში დიაკონი, 1923-1925 წლებში ხარაგაულის რაიონის სოფელ ჩხერთუბნის მღვდელი, 1925-1927 წლებში შროშის ეკლესიის მღვდელია, 1927-1944 წლებში იძულებით განმოსილია. 1944 წლიდან გარდაცვალებამდე იყო უბისის ეკლესიის წინამძღვარი. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ შროშაში.

### **მღვდელი სიმონ ისაკის ძე ლაცაბიძე**

დაიბადა 1891 წელს ქარელში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1907-1916 წლებში იყო მედავითნე ძევერის, წუნარის, გლდანის ეკლესიებში. 1916-1954 წლებში საერო სამსახურშია, 1955 წლიდან გარდაცვალებამდე იყო დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში, პუშკინის ქ. № 7.

### **მღვდელი დავით თოთიას ძე ლიქოკელი**

დაიბადა 1880 წელს სოფელ ბარისახოში. მიღებული ჰქონდა მონასტერთან არსებული სკოლის განათლება. 1900-1907 წლებში იყო თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, 1907-1917 წლებში ბარისახოს ეკლესიის მედავითნეა, 1917-1920 წლებში ბაწალევშია, 1920-1925 წლებში ბარისახოს ეკლესიის მღვდელია. 1925-1930 წლებში იძულებით განიმოსა. 1931-1941 წლებში ისევ ბარისახოს ეკლესიის მღვდელია. 1942 წლიდან დედოფლისწყაროს რაიონის არხილოსკალოს ეკლესიის მღვდელმსახურია. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ არხილოსკალოში.

### **დეკანოზი ნიკოლოზ ალექსანდრესძე მაღალაძე**

დაიბადა 1875 წელს თბილისში. დაამთავრა სასულიერო სემინარია, 1890 წელს. 1896-1899 წლებში მედავითნეა, 1899-1901 წლებში ნაძალადევის ეკლესიაშია ჯერ მედავითნედ, 1901-1906 წლებში მღვდელია. 1906-1914 წლებში მსახურობდა თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში, 1914-1918 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918-1944 წლებში საერო სამსახურშია, 1944 წლიდან 1953 წლამდე იყო სიონის ეკლესიაში, 1953 წლიდან გარდაცვალებამდე სოხუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში ახალციხის შესახვევი № 13.

### **არქიმანდრიტი იოანე მაისურაძე**

დაიბადა 1882 წელს სოფელ ერედში (ცხინვალის რაიონი). მიღებული ჰქონდა სამონასტრო განათლება. 1896-1903 წლებში იყო ბეთანიაში, 1903-1920 წლებში ათონის წმიდა მთაზე, საბერძნეთში. 1920-1921 წლებში არმაზის მონასტერში, 1921-1922 წლებში მარტყოფის მონასტერში. 1922 წლიდან ბეთანიაში იყო გაფორმებული ეკლესიის მცველად და ეწეოდა განდევნილ ცხოვრებას. იგი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა 2003 წელს.

### **მღვდელი ალექსი ქრისტეფორეს ძე მირცხულავა**

დაიბადა 1875 წელს ხობში. 1899 წელს დაამთავრა სენაკის სასულიერო სასწავლებელი. 1893-1910 წლებში იყო ხობის მონასტერში, 1912-1917 წლებში ხობის მონასტრის ბერ-მონაზონი, 1917-1938 წლებში ხობის მონასტრის ილუმენი, 1938 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ხობის მონასტერში წინამძღვრად.

### **მღვდელი მიხეილ ღვთისავარის ძე მთიბელაშვილი**

დაიბადა 1888 წელს ჩარგალში, 1905-1907 წლებში იყო სოფელ ხახმატის (ხევსურეთი) წმიდა გიორგის ეკლესიის მედავითნე, 1907-1914 წლებში უკანაფშავის ეკლესიაშია, 1914-1925 წლებში მედავითნეობდა სოფელ მაღაროში, 1930 წლიდან გარდაცვალებამდე იყო სოფელ ჩარგლის მღვდელი. ოჯახი ცხოვრობდა ჩარგალში.

### **მღვდელი ვასილ ლეონტის ძე მოლოდინი**

დაიბადა 1879 წელს დუშეთში. 1897 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია.

1898-1899 წლებში მასწავლებლობდა სოხუმის რაიონის სამრევლო სკოლაში, 1900-1905 წლებში იყო მიხაილოვის საავადმყოფოსთან არსებული ეკლესიის მედავითნე, 1905-1914 წლებში დუშეთის რაიონის სოფელ ბახალეთის ეკლესიის მღვდელია. 1914-1952 წლებში საერო სამსახურშია, 1952-1953 წლებში კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელია, 1955 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში, ქობულეთის ქ. №19.

### **ილუმენი გიორგი მეთოდეს ძე მხეიძე**

დაიბადა 1887 წელს სოფელ ქვემო კრიხში (რაჭა) 1924 წლიდან მოღვაწეობდა ბეთანიის მონასტერში. 1961 წლის 18 აპრილს იგი უწმიდეს ეფრემ II-ს მიმართავდა თხოვნით: მოვსუცდი და დაუძღვრდი იქნებ გაბრიელ ურგებაძე დანიშნოთ ჩემს მაგივრად. 1962 წლის 12 სექტემბერს მამა გაბრიელის ხელში გარდაიცვალა ილუმენი გიორგი. იგი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხილი.

### **მღვდელი კირილე ეგნატეს ძე ნამიჭეიშვილი**

დაიბადა 1868 წელს ვანის რაიონის სოფელ ტყემელიანში. 1884 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1897-1908 წლებში ასწავლიდა საეკლესიო სკოლაში. 1908-1937 წლებში იყო ონჯახეთის (ვანი) ეკლესიის წინამძღვარი. 1937 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ტყემელიანის ეკლესიის წინამძღვარი. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ ტყემელიანში.

### **მღვდელი ვიქტორ იოსების ძე ნინიკაშვილი**

დაიბადა 1885 წელს სოფელ დიმში (ბაღდადი). 1906 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1910-1924 წლებში იყო სოფელ წაბლარასხევის (ბაღდადი) ეკლესიის მედავითნე, 1924-1942 წლებში დიმის მთავარანგელოზის ეკლესიის მოძღვარია. 1942 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ბაღდათის რაიონის მღვდელი. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ დიმში.

### **მღვდელი სოლომონ მიხეილის ძე ნუცუბიძე**

დაიბადა 1891 წელს სოფელ ფარცხანაყანევში (წყალტუბოს რაიონი). 1954 წლიდან იყო პეტრე-პავლეს ეკლესიის მთავარდიაკვანი ქუთაისში, 1955 წლიდან გარდაცვალებამდე იყო პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი. ოჯახი ცხოვრობდა ქუთაისში კომუნარების №26.

### **მღვდელი პახუმ აბიათარის ძე ობოლაძე**

დაიბადა 1898 წელს სოფელ სხვაგაში (რაჭა). დაამთავრა სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმი. მიღებული ჰქონდა სამონასტრო განათლება. 1930-1952 წლებში საერო სამსახურშია 1952 წლიდან 1955 წლამდე იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის დიაკონი. 1955 წლიდან მღვდელი, 1970 წლიდან 1983 წლამდე გარდაცვალებამდე პროტოპრესვიტერი. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში, ეტაპის ქ. №10.

### **დეკანოზი ტერენტი პორფირეს ძე ობოლაძე**

დაიბადა 1887 წელს სოფელ ხრესილში (ტყიბულის რაიონი). 1910-1917 წლებში გელათის სამონასტრო სკოლაშია. 1917-1919 წლებში გელათის მონასტრის დიაკვანია, 1919-1920 წლებში იყო ქუთაისის ეპარქიის ეკონომოსი და მღვდელი. 1920-1937 წლებში ტყიბულის რაიონის სოფელ ჩქეფის მღვდელია. 1937-1947 წლებში რეპრესირებულია, ე.წ. „სამეულის“ დადგენილებით გადაასახლეს ყაზახეთში, ყარაგანდაში. 1947-1953 წლებში ისევ ჩქეფის ეკლესიაშია, 1953 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საფიჩხის ამალღების ეკლესიაში. ოჯახი ცხოვრობდა ქუთაისში, მერკვილაძის ქ. № 10.

### **მღვდელი ბართლომე პორფირის ძე ოსიძე**

დაიბადა 1865 წელს მარტვილში. 1880-1885 წლებში მარტვილის მონასტერშია. 1885-1895 წლებში იქვე მედავითნეობდა. 1895-1902 წლებში დიაკვანია, 1902-1911 წლებში იყო ალავერდის ოლქის სოფელ მოხაშის მღვდელი. 1911-1923 წლებში კვლავ მარტვილის მონასტერშია, 1923-1946 წლებში ეკლესიის დახურვის გამო უმუშევარია. 1946-1953 წლებში მარტვილის ეკლესიაშია. 1953 წლიდან გარდაცვალებამდე ნახარებაოს ეკლესიის მოძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ ნახარებაოში.

### **მღვდელი ვასილ ალექსანდრეს ძე ფირცხალავა**

დაიბადა 1923 წელს ჩხოროწყეს რაიონის სოფელ ზუმში. 1948-1953 წლებში სწავლობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1954 წლიდან ბეთანიის

მონასტერშია ჯერ მორჩილად, 1955 წლიდან დიაკვნად, 1955 წლის 10 აპრილიდან მღვდელმონაზონია.

### **მღვდელი იოაკი სტეფანეს ძე რამაზაშვილი**

დაიბადა 1874 წელს სოფელ კაჭრეთში (გურჯაანის რაიონი) 1911-1918 წლებში იყო ათონზე, 1918-1934 წლებში მარტყოფის მონასტრის ბერია, 1934 წლიდან მღვდელმონაზონი იოაკიმე კაჭრეთის ეკლესიაში მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე.

### **მღვდელი ივანე ესტატეს ძე საყვარელიძე**

დაიბადა 1891 წელს თელავში. 1914 წელს დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია თბილისში, დემიდოვის იურიდიული ლიცეუმი 1917 წელს. 1917-1947 წლებში საერო სამსახურშია. 1947-1949 წლებში სიონის ტაძრის მღვდელია. 1949-1951 წლებში კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის მღვდელია. 1951-1953 წლებში ისევ სიონშია, 1953-1960 წლებში მთაწმინდაზეა, 1960 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თბილისის სამების ეკლესიის მღვდელი. ერთხელ კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II ხუმრობით უთხრა „ცოდო არა შენ საყვარელიძე იყო და უწმიდესი კირიონი საძაგლიშვილი?“ მღვდელი იოანე გამოირჩეოდა როგორც პუნქტუალური წესრიგის მოყვარული პიროვნება. ოჯახი ცხოვრობდა ჭონქაძის ქ. № 14ა.

### **მღვდელი იაკინთე ყარამანის ძე სახვაძე**

დაიბადა 1896 წელს სოფელ უბისაში (ხარაგაულის რაიონი) სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში. 1906-1912 წლებში. 1913-1918 წლებში მედავითნეობდა მანგლისში, ნატახტარში. 1918-1921 წლებში ჩააბარა სამოძღვრო გამოცდები. 1921-1925 წლებში მსახურობდა ვერტყვიჭალის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, 1925-1940 წლებში იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა ღვთისმსახურება. 1947-1952 წლებში უბისას ეკლესიის წინამძღვარია. 1952-1954 წლებში ჭიათურის მღვიმის მონასტერშია, 1954 წლიდან გარდაცვალებამდე უბისის ეკლესიის წინამძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა სოფელ უბისაში.

### **მღვდელი ტრიფონ ოქროპირის ძე სულავიძე**

დაიბადა 1896 წელს ქვედა მესხეთში (წყალტუბოს რაიონი) 1954 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მღვდელი მოწამეთას ეკლესიაში. ოჯახი ცხოვრობდა ქუთაისში, ავტოქარხნის II შესახვევი № 2.

### **მღვდელმონაზონი ზენონ დავითის ძე სულავიძე**

დაიბადა 1869 წელს თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში. 1886-1901 წლებში იყო შუამთის მონასტრის მედავითნე. 1901-1925 წლებში ალავერდის ტაძრის მღვდელმონაზონი, 1925-1955 წლებში თეთრი გიორგის ეკლესიის მღვდელმონაზონი, 1955 წლიდან გარდაცვალებამდე ალავერდის მონასტერშია.

### **დეკანოზი ვალერიან ალექსანდრეს ძე ტაბლიაშვილი**

დაიბადა 1883 წელს სოფელ მუხრანში. 1901 წელს დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი. 1902-1904 წლებში მასწავლებლობდა წინანდლის დაწყობით სკოლაში. 1905-1907 წლებში სამხედრო სამსახურშია, 1910-1917 წლებში იყო ყვარლის ეკლესიის მღვდელი. 1917-1944 წლამდე საერო სამსახურშია. 1944 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაშია. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში ბარნოვის №47.

### **მღვდელი გრიგოლ დიმიტრის ძე ტატიშვილი**

დაიბადა 1882 წელს სოფელ ცხურკეთში (ჭიათურა). 1903 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, სასულიერო სემინარია 1907 წელს. 1907-1910 წლებში იყო თელავის მთავარანგელოზის ეკლესიის მედავითნე. 1910-1924 წლებში თელავის რაიონის სოფელ ართანას ეკლესიის მღვდელია. 1954 წლებში იძულებით განმოსილი საერო სამსახურშია. 1954 წლიდან გარდაცვალებამდე სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელია. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში. ტყის შესახვევი № 39.

### **დეკანოზი ლევან ალექსანდრეს ძე ტლაშაძე**

დაიბადა 1890 წელს სოფელ ხიდისთავში (გორის რაიონი) გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1905-1908 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1909-1917 წლებში იყო გორიჯვრის ეკლესიის მედავითნე.

1917-1922 წლებში იყო დიაკვანი სამთავროს მონასტერში.

1922-1930 წლებში დუშეთის რაიონის სოფელ ოძისის ეკლესიის მღვდელია. 1930-1932 წლებში ავლაბრის წმიდა მარინეს ეკლესიაშია, 1932-1935 წლებში ნავთლუდის წმიდა ბარბარეს ეკლესიაში. 1935-1947 წლებში დიდგორის ეკლესიაშია, 1947-1954 წლებში კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაშია, 1954-1955 წლებში მცხეთის სვეტიცხოველშია, 1955 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის დეკანოზი. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში თმოგვის ქ. № 9.

### **მღვდელი შიო იორდანეს ძე თურქაძე**

დაიბადა 1889 წელს სოფელ წილკანში, 1904 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. 1911-1913 წლებში იყო დუშეთის რაიონის სოფელ სიონის მასწავლებელი. 1913-1925 წლებში დუშეთის რაიონის სოფელ ნოჯიკეთის მღვდელია, 1925-1953 წლებში იძულებით განმოსილია და საერო სამსახურშია. 1953-1956 წლებში დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელია 1956 წლიდან გარდაცვალებამდე იყო კუკიის ეკლესიაში. ოჯახი ცხოვრობდა ვარდისუბნის № 5.

### **დეკანოზი ალექსანდრე ილიას ძე ხანდამიშვილი**

დაიბადა 18789 წელს თბილისში. 1894 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. 1896 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მღვდელი ოჯახი ცხოვრობდა თბილისში. კალინინის ქ № 69.

### **მღვდელი გრიგოლ იოსების ძე ხარიტონაშვილი**

დაიბადა, 1883 წელს სოფელ ველისციხეში (გურჯაანის რაიონი). 1897 წელს დაამთავრა თელავის რაიონის სასულიერო სასწავლებელი. 1900-1907 წლებში ასწავლიდა ახალციხის საეკლესიო სკოლაში. 1907-1916 წლებში მედავითნეობდა აწყურის ეკლესიაში. 1916-1917 წლებში იყო ახალციხის ეკლესიის დიაკონი 1917-1925 წლებში იყო ახალციხის რაიონის სოფელ საკირის ეკლესიის მღვდელი. 1925-1949 წლებში იყო ბაკურიანის ეკლესიაში. 1949 წლიდან გარდაცვალებამდე მანგლისის ეკლესიის წინამძღვარია. ოჯახი ცხოვრობდა მანგლისში.

### **მღვდელი ვასილ ივანეს ძე ხახიშვილი**

დაიბადა 1876 წელს სოფელ ხოვლეში (კასპის რაიონი). დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. 1902 წააბარა სასულიერო სემინარიის გამოცდები ექსტერნად. 1902-1914 წლებში ასწავლიდა ქვაბისხევის მონასტრის სკოლაში, იყო მედავითნე მთაწმინდაზე. 1914-1917 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1917-1952 წლებში საერო სამსახურშია, 1952 წლიდან გარდაცვალებამდე იყო დიდგორის ეკლესიის მღვდელი.

### **ილუმენი ხარლამპი ზაქარიას ძე ხომასურიძე**

დაიბადა 1876 წელს საჩხერის რაიონის სოფელ სპეთში. 1901-1915 წლებში სწავლობდა მონასტრის სკოლაში. 1915-1921 წლებში იყო შიომღვიმის მონასტრის მღვდელმონაზონი. 1921-1955 წლებში იყო მარტყოფის მონასტრის მღვდელ მონაზონი, 1955 წლიდან გარდაცვალებამდე ილუმენი.

### **დეკანოზი პლატონ ლავრენტის ძე ცქიტიშვილი**

დაიბადა 1875 წელს სოფელ საქარაში (ზეესტაფონის რაიონი) დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია 1900 წელს, ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1912 წელს. 1900-1904 წლებში იყო ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, 1904-1907 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, 1907-1912 წლებში ხარკოვის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი, 1913-1917 წლებში ასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიაში საღვთო სჯულს. 1917-1921 წლებში ისევ მასწავლებელია, 1921-30 წლებში სხვადასხვა თანამდებობებზეა. ბოლოს ასწავლიდა ბარისახოში (ხევსურეთი). 1931-1935 წლებში თბილისის რკინიგზის სკოლის მასწავლებელია. 1935-1947 წლებში ისევ საერო სამსახურშია, 1947-1953 წლებში იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი. ცხოვრობდა ბარნოვის ქ. № 52.

### **მღვდელი ნესტორ ნესტორის ძე წიგწივაძე**

დაიბადა 1899 წელს ხონში. 1917 წელს დაამთავრა ხონის სკოლა. 1918-1925 წლებში საერო სამსახურშია. 1925-1927 წლებში იყო სიონის საპატრიარქო ტაძრის იპოდიაკონი. 1946-1948 წლებში იპოდიაკონია იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. 1955 წლიდან ასურეთის ეკლესიის მღვდელია. ოჯახი ცხოვრობდა თბილისში აშტარაკის შესახვ. № 3.

### **მღვდელი გიორგი ალექსანდრეს ძე ცერცვაძე**

დაიბადა 1910 წელს ურიათუბანში (ვაზისუბანი გურჯაანი). 1920-1930 წლებში სწავლობდა შუამთის მონასტრის ბერებთან. 1930-1947 წლებში იყო აწყურის (ახმეტის რაიონი) წმიდა გიორგის ეკლესიის მედავითნე. 1947-1954 წლებში იმავე ეკლესიის მღვდელია. 1954 წლიდან თელავის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაშია. 1976 წელს იგი გახდა ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი, 1977 წლიდან ალავერდელი მიტროპოლიტია. გარდაიცვალა 1992 წლის იანვარში. ოჯახი ცხოვრობდა თელავში, ვაჟა-ფშაველას ქ. № 8.

### **მღვდელი ანტონ გულიაშვილი**

დაიბადა 1939 წელს თბილისში. 1963-1965 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. 1965 წლის 26 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქ ევრემ II-ის მიერ ხელდასმულ იქნა მღვდლად. 1978 წლის 2 აპრილიდან მღვდელმონაზონია, 1978 წლის 4 ივლისიდან იღუმენია. 1965 წლიდან – 1967 წლამდე მსახურობდა ბათუმში, 1967 წელს თელავში, 1967-1972 წლებში ჯერ თბილისის წმიდა ნინოს, შემდეგ წმიდა ბარბარეს ეკლესიებშია, 1972-1979 წლებში მანგლისში, 1979 წლიდან ჯერ მიხეილ ტვერელის, ხოლო შემდეგ ალექსანდრე ნეველის ეკლესიაშია.

### **მღვდელი ალექსი იორდანეს ძე ჩიტაძე**

დაიბადა 1886 წელს სოფელ ვალეში (ახალციხის რაიონი) სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში. 1914-1931 წლებში იყო ვალეს ეკლესიის მღვდელი. 1931-1937 წლებში ახალციხეში, წმიდა მარინეს ეკლესიაში, 1937-1945 წლებში თბილისის სიონის ეკლესიაში. 1945-1948 წლებში ახალციხის ეკლესიაშია. 1948 წლიდან ხაშუარის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაშია. 1937-40 წლებში იყო რეპრესირებული. ოჯახი ცხოვრობდა ხაშურში, ჯაფარიძის № 7.

### **მღვდელი დავით ზაქარიას ძე ჩიტიშვილი**

დაიბადა 1906 წელს თბილისში. მიიღო სამონასტრო განათლება. 1924-1928 წლებში იყო ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის მედავითნე, 1928-1950 წლებში იყო შიომღვიმის მონასტრის მედავითნე.

1950 წლიდან მღვდელი შიომღვიმესა და ძეგვში.

### **მღვდელი ქრისტეფორე შერგელაშვილი**

დაიბდა 1870 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ აკურთხეს დიაკვნად. მსახურობდა ზესტაფონში, 1901-1923 წლებში იყო ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი. პარალელურად ასწავლიდა სოფლის დაწყებით სკოლაში. სოფელ ზოვრეთის წმიდა გიორგის ეკლესიის ადმინისტრაციული წესით დახურვის შემდეგ ღვთისმსახურებას ფარულად ასრულებდა სახლში. იგი აიძულეს განმოსილიყო.

გასრულდა XX საუკუნის 20-70-იანი წლების ქართველი სასულიერო პირთა მოკლე ბიოგრაფიები. მოგვიტეოს იმათმა სულებმა, ვინც ვერ მოხვდა ამ წიგნში. კითხულობ მშრალ ბიოგრაფიულ მონაცემებს და ჩვენს წინაშე ცოცხლდება

ბობოქარი, წინააღმდეგობრივი XX საუკუნის ისტორია. რა მძიმე იყო სასულიერო პირობა, ანაფორის, ჯვრის ტარება. წარმოდგენილ სასულიერო პირთა უმრავლესობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის თაობაა, რომელთაც დიდი ბრძოლით, სულიერი სიმტკიცითა და რწმენით მოიტანეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრის მძიმე ტვირთი. თუ უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II მომავალი სასულიერო პირების მოსამზადებლად არ გახსნიდა სასულიერო სემინარიას ჩვენი ეკლესიის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა, ღვთის შეწევნით უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-ემ ეს შეძლო. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ახალი თაობის სასულიერო პირები მოვიდნენ საქართველოს ეკლესიაში. დიდი ადამიანები უძეგლოდ რჩებიანო, მათი გახსენებით და მათი სულის საოხად სანთლის დანთებით XX საუკუნის 20-70-იანი წლების სამღვდელოების ლოცვა-კურთხევა შეეწევა დღევანდელ საქართველოს, თვითეულ ჩვენგანს, რომელიც ასე გვჭირდება ჩვენს რთულ წინააღმდეგობრივ ეპოქაში.

## 8. დამატებანი

1. მსოფლიოს ყოველი მხრის მცხოვრებნო, მსოფლიოს ყოველი მხრის ხელმწიფებანო და მთავრობანო

ერთხელ კიდევ მიხდება მე, უძველეს ქრისტიანული ქართული ეკლესიის სახელით გულის ტკივილით მიემართო ჩემს თანამოძმეთა და თქვენი შუალობით კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელსაც აქვს ის საშინელებანი, რასაც გვიქადის ჩვენ თავშეუკავებელი შეიარაღება ადამიანთა მოღმის მასიური გაუღეტის იარაღით.

დიდი ხანი არაა, რაც პრავდაში შეკრებილ მთელი მსოფლიოს ქრისტიან წარმომადგენელთა ყრილობაზე, მე სრულის შეგნებით ჩემი მწყემსმთავრული მოვალეობისა მიემართე ასეთივე სიტყვით დამსწრეთ და, მათი საშუალებით უფრო შორს, უძველეს ქართული ეკლესიის სახელით, გაფრთხილებით და ვედრებით იმ საშინელებათაგან საფარის საძიებლად, რასაც უმზადებენ ჩვენს მიწიერ ცხოვრებას ბოროტი ზრახვებით პყრობილი ომის მომზადებისა და გაჩაღების სატანისმიერი ბნელი ძალები.

ის გარემოება, რომ ჩვენ კვლავ და კვლავ გვიხდება ასეთი გამოსვლები კაცობრიობის პროგრესიული ნაწილის მხარ დასაჭერად და ბოროტი ძალების ასალაგმავად, რათა ამით განვამტკიცო შეგნება იმ გზის დამღუპველობისა, რომლისკენაც უბიძგებენ კაცობრიობის მტერი კოლონიალისტები – მიუთითებს იმ სამწუხარო ამბავზე, რომ დღითიდღე ძნელი ხდება ღვთისაგან მინიჭებული ადამიანური გონების შეკავება უდიდესი ცოდვისაგან – ადამიანთა სისხლის ღვრისა და მოსპობისაგან.

როგორც სავსებით ნათელია საბჭოთა ქვეყნის მეთაურის – მშვიდობისათვის მებრძოლ – ნიკიტა ხრუშჩოვის მე ხრუშჩოვის განცხადებიდან ამერიკის მიერ ატმოსფეროს სიმაღლეში ატომურ აფეთქების გეგმასთან დაკავშირებით.

ომის მუქარა სულ უფრო და უფრო საშიში და სახიფათო ხდება და ყოველ დღე შეიძლება გადაიზარდოს ომის უშუალო სინამდვილეთ.

იქვე მითითებული განცხადება ამერიკის პრეზიდენტისა, რომ მას მოუხდება საომარ მოქმედებათა დაწყების სანიშნო დღეზე თითის დაჭერა, მთელის ცინიზმით გამოხატავს იმ გაბოროტებას, რომლითაც აღსავსეა ომის გამჩაღებელთა ბანაკი; ნათელი ხდება, რომ კაცობრიობის ეს ნაწილი თანდათან კარგავს ღვთისმიერ სახეს, მზადაა აღსდგეს ღვთის წინააღმდეგ და დასცეს ქვეყანა ცეცხლოვან გენიასა შინა, გასახარებლად ბოროტებისა და გასანადგურებლად ყოველი კულტურული, ეკონომიური და სხვა ღირებულებათა.

იყო დრო, როცა ძალადობა და ომი ბუნებრივ ამბად ითვლებოდა ადამიანთა შორის უკმაყოფილების მოსაგვარებლად, მაგრამ ეს იყო ხანა დაბალი კულტურისა, ფეხაუდგემელი ცივილიზაციისა, როცა ადამიანები არც ისე შორს იყვნენ ცხოველთა ვნებათაგან და მხეური გამომეტყველებისაგან მსჯელობასა და მოქმედებაში. ყველა ამის გაგება შეიძლებოდა იმ დროისათვის, მაგრამ გამართლება კი არა. ამასთან ერთად, საზოგადოებრიობის იმ პირობებში შეიარაღება და ომის უბედურება, მუდამ უღვთო და საზიზღარი, მაინც ისეთი არ იყო, როგორც არის ის დღეს და შეიძლება იყოს ხვალ.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ნივთიერ დიდ შედეგების მიღწევასთან ერთად ვერ შესძლო კლასობრივ საზოგადოებაში თანაბარი შედეგების მიღწევა ადამიანის სულიერი წარმატებისა და გაკულტუროსნების დარგში.

ხომ ვერ დაუშვებთ ერთი წუთითაც, რომ კაცობრიობამ იმისათვის შექმნა დიდი მატერიალური ღირებულებანი, მანქანები, აავო სასახლეები კულტურისა და წინსვლისა – კაცობრიობის გენიალობის ძეგლები და დასასრულ ისე გაკოტრდა სულიერად, რომ დაივიწყა შთაგონება და პათოსი თავისი შემოქმედებისა და იმავე მანქანას მიანდო განადგურება, როგორც კულტურულ მიღწევათა, ისე თვით ადამიანისაც.

ნუ თუ საუკუნეთა განმავლობაში იმისათვის იღწვოდა კაცობრიობა, რათა შეექმნა უმაღლესი ღირებულებანი და თვალის ჩინივით უვლიდა მას, ნუ თუ იმისათვის ოცნებობდა კაცობრიობა უკეთეს მომავლისათვის თავისი შვილებისა და შთამომავლობისა, ნუ თუ იმისათვის ადაპტობდა ხელთა ზეცით უკეთესი და ბედნიერი მომავლის ვედრებისა, რომ ერთ დღეს გონება დაბნეულს მტვრად ექცია ეს ყველაფერი და რაკეტული ომის ცეცხლისათვის მიეცა ჩასანთქავად და აღსაგველად სიცოცხლისა პირიდან ჩვენი პლანეტისა.

არა, ეს ყველაფერი დაუშვებელია, და თუ შესაძლებლად და აუცილებლად ითვლება მომაკდინებულ ღილის ხელის დაჭერა, ჩვენ უნდა განვაცხადოთ: უკმარი სჩანს ქრისტიანული მოკრძალებული ქადაგება მშვიდობისა და სიყვარულისა და ძმათა შორის სათნოებისა. დაჰკრა ჟამმა, როცა საჭირო შეიქმნა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა, საჭიროა მთელი ცივილიზებული კაცობრიობის ძალთა გაერთიანება, რათა კაცობრიობის მტრებმა ვერ შესძლონ მოწინავე ერების საფრთხეში ჩაგდება და თავისი ბნელი ზრახვების განხორციელება. საჭიროა პროგრესული კაცობრიობის ერთობა, რათა ომი შეუძლებელი გახდეს, რათა ომი იქნეს დაძლეული.

მშვიდობის გამარჯვება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება, ამიტომ – ბრძოლა ომს, – მშვიდობის გამარჯვებისათვის ნიკიტა ხრუშჩოვის ძემ დაახასიათა ამერიკელთა ნაბიჯი მაღალ ატმოსფეროში რაკეტულ აფეთქებათა შესახებ, როგორც აგრესია. ამის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა შეურიგებელი და გადაუდებელი.

კაცობრიობის იმ ნაწილმა, რომელიც ომს ებრძოდა და მშვიდობას ეტრფოდა, თავისი ოცნება გამოხატა დევიზით: „თუ გსურს ზავი, ემზადე ომისათვის“. დღეს ეს უკვე დრომოჭმული ამბავია. ომისათვის მზადება მაინც შეიარაღებაა, შეიარაღება კი თავდაპირველად ომის გზაა, ამიტომ ჩვენმა დრომ და ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ ახალი ღოზუნგი წამოაყენა: ვისაც სურს ზავი და კაცობრიობის განთავისუფლება თვითმკვლევლობისაგან, მან უნდა ებრძოლოს შეიარაღებას. საერთო განიარაღება – ასეთია ომის შეუძლებლობის გზა და სადაო საკითხების მშვიდობისა და მოლაპარაკებით გადაწყვეტის გზა.

უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია კაცთა შორის მშვიდობისა და სიყვარულისათვის მლოცველი, უერთებს თავის ხმას განიარაღებისათვის ბრძოლის გაძლიერებას, როგორც ერთად ერთი საწინდარს კაცობრიობის გადარჩენისა საერთო განადგურებისაგან და მის მიღწევათა და მონაპოვარის მომავალ თაობათა საბედნიეროდ შენარჩუნებას.

ეფრემი II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
1962 წლის 12 ივნისი

### არქიდიაკონი მამა დემეტრე (დავითაშვილი) ერის სულიერი მამა

„თუ მთაწმინდის ტაძარს დახურავთ, აიღეთ და მეც თავი მომკვეთო“

1927 წელს საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი გახდა მღვდელმთავარი. სიონში ინახებოდა ტრაპეზის სახარება, რომელიც ახლა სვეტიცხოველშია. მის წარწერაზე ვკითხულობთ: „მე მიტროპოლიტიმან სიღამონიძემ შეეწირე ეს სახარება“.

უმიძმეს პერიოდში უხდებოდა მღვდელმთავრობა. 1930-იან წლებში ეპისკოპოსობაში წმ. ბარბარეს ეკლესიის ეზოში ცხოვრობდა. მაშინ ეპისკოპოსები

ეპარქიებში ვერ მიდიოდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კომუნისტები ნებას არ რთავდნენ, ტაძრები ამოქმედებულიყო. მღვდელმთავრებს თბილისში უხდებოდათ ყოფნა. ურბნელი მიტროპოლიტი ქაშვეთში იჯდა, ნინოწმინდელი - წმინდა სამების ტაძარში, თეთრიწყაროელი - ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში. ერთ საინტერესო ამბავსაც ჰყვებიან: წმინდა ბარბარეს ტაძრის ეზოში პატარა სახლი მდგარა, ორი ოთახითა და მცირე დერეფნით. ერთ ოთახში ცხოვრობდა ეპისკოპოსი ეფრემი, ხოლო მეორეში - მღვდელი, რომელიც მის მორჩილებაში იყო. იმ პერიოდში გავრცელებული იყო ყაჩაღობა, ამიტომ კარს რამდენიმე საკეტით კეტავდნენ. იმ დამით კარი ჩაუკეტავთ, მერე თავად ეპისკოპოსს შეუძოვებია და მოსასვენებლად დაწოლილან. შეუქანამქრალ ოთახში მხოლოდ კანდელი ენთო. ეპისკოპოსი სახით კედლისკენ იყო გადაბრუნებული, დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მოესმა. მოულოდნელად კარი გაიღო. ოთახში ვიღაც შემოვიდა. „ზურგიდან სიმყრალის სუნი მომივიდა, - ჰყვებოდა თურმე ეპისკოპოსი ეფრემი, - გადმოვტრიალდი და ვიღაც იდგა. სახეზე ხელები დამაფარა, უხეში ხელი ჰქონდა და არაწმინდა სახე. რუსულად მითხრა, - **Иеромонахъ ии иеромонахъ-о.** შიში გულში არ შეეუშვი და რატომღაც მეც რუსულად ვუპასუხე ფსალმუნის სიტყვები, - **Иеромонахъ, ии иеромонахъ иеромонахъ, иеромонахъ иеромонахъ иеромонахъ и ии иеромонахъ иеромонахъ.** თითქოს ხელი ჩამოუშვა, დაუძღურდა. უკუსვლით წავიდა და დაიკარგა. ცოტა ხანში შემაცივა, მოძღვარს დაუუბახე, - შენ ხომ არ იყავი შემოსული-მეთქი, - არა მეუფეო, მეც გავიგე დერეფანში ფეხის ხმა და თქვენ მეგონეთო. გავედით და რამდენიმე საკეტზე ჩაკეტილი კარი ღია დაგვხვდა“. ამ ამბის შემდეგ თავისი მოძღვრისთვის შეუჩივლია ეპისკოპოსს: - ეშმაკმა მომაკითხა, ალბათ საერთოდ დადუპული ვარ, თორემ რაიტომ მოვიდოდა ჩემთანო. - დაუპული რომ იყო, შენთან არ მოვიდოდა, ესე იგი, შენი შურს და იმიტომ მოგაკითხა. განსაცდელს ელოდეთო. არ გაუვლია ხანს, განსაცდელიც გამოჩნდა. ეპისკოპოსი ეფრემი ხალხის მტრის ბრალდებით დააპატიმრეს.

### ტუსალი

წასაყვანად მოაკითხეს. იქ ავზავნიდნენ, სადაც ბევრი გაუშვეს, - ღმერთისა და საქართველოს სიყვარულისთვის. ტაძარიც დაკეტა, სახლიც, წასვლისა მოულოდნელად, მეუფე ეფრემს ხელიდან კვერთხი გაუვარდა. იმედი მიეცა, უფიქრია, ეს იმის ნიშანია, რომ კიდევ დავბრუნდებით.

ციმბირში გადაასახლეს. ხე-ტყის მოჭრა-დამუშავება იმ ყინვაში ვის არ დააუძღურებდა. მიწის ამოთხრაც კი შეუძლებელი ყოფილა საფლავისათვის, ისე იყო გაქვავებული ყინვით. ზაფხულში გათხრიდნენ დიდ საფლავს და მთელი ზამთარი გარდაცვლილებს შიგ ყრიდნენ (როგორი მძიმე მოსასმენიც არ უნდა იყოს, ასე ხდებოდა), მიწას კი გაზაფხულზე წააყრიდნენ.

მეუფეს გადასახლებაში იმდენად მძიმე ცხოვრება ჰქონდა, ისე შიმშილობდა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაღად დაეტყო ჯანმრთელობას - გათავისუფლების შემდეგ, კარგა ხანს პურის მიღებაც კი აღარ შეეძლო.

ერთი ზედამხედველი ჰყავდათ. ყველას სძულდა, რადგან კაცთმოძულე სასტიკი ყოფილა. გამორჩეულად სასულიერო პირებს მტრობდა, ქრისტიანობაც სძულდა. ყველაზე მძიმე სამუშაოს მეუფე ეფრემს ავალებდა - შეშის დაჭრა იყო თუ საპირფარეოს დასუფთავება. პატიმრები, მართალია, დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მეუფე ეფრემს, მაგრამ მისი დაცვა არავის შეეძლო.

რამდენიმე წლის შემდეგ სხვა ციხეში გადაიყვანეს ეს ზედამხედველი და ყველამ შვებით ამოისუნთქა, გავიდა ხანი და ეტაპით მოიყვანეს ახალი პატიმრები. მათ

შორის ამოხნდა ის სისასტიკით ცნობილი ზედამხედველიც. ყოფილი ზედამხედველი არავინ მიიკარა. მაშინ მეუფე ეფრემმა გაუწოდა დახმარების ხელი და შეიკედლა, თავისი საწოლიც კი დაუთმო. თურმე სიკეთემ დიდი ზეგავლენა მოახდინა. ამბობენ, ის კაცი მოინათლა კიდევცო.

მეუფე ეფრემს ათი წელი ჰქონდა მისჯილი. ამდენ ხანს, ცხადია, ვერ გაატანდა, სიზმარი უნახავს და მოუწერია: უფსკრულის პირას ვიდექი, ცხენიანი კაცი გამოხნდა, ქეჩოში მომკიდა ხელი, ჩამარბენინა ამ უფსკრულში და ამომარბენინაო. სულ შვიდი ნაბიჯი გამომივიდა. შვიდ წელიწადში დავბრუნდებო.

მართლაც შვიდ წელიწადში გაათავისუფლეს (1937 წელს დააპატიმრეს, 1944-ში - გამოუშვეს).

### სერაფიმე საროველის მფარველობის ქვეშ

გადასახლებიდან გაათავისუფლებული იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, ჯანაც ისე შერყეოდა, ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. ფიქრობდნენ, საქართველომდე ვერც ჩააღწევსო. იმასაც ამბობენ, მისი საბუთები იოსებ სტალინის მაგიდაზე მოხვდაო. სტალინს უნახავს, რომ გადასახლებულთა შორის იყო გრიგოლ შიოს ძე სიღამონიძე, გორის მაზრიდან. მათ ერთ პერიოდში უხდებოდათ სწავლა სემინარიაში. თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ. სტალინმა გააკეთა ისე, რომ გაეთავისუფლებინათო. უფლის ნება რომ არ ყოფილიყო, სტალინი რას გახდებოდა.

გათავისუფლებული მეუფე ეფრემი შინ ფეხით მიდიოდა, კიდევ ერთი გათავისუფლებული პატიმარი მიჰყვებოდა.

გზა ბორნით უნდა განეგრძოთ სწორედ მაშინ, როცა მეუფე ეფრემი ბორანზე უნდა ასულიყო, მებორნემ გზა გადაუღობა, ჩახდომა დამთავრდაო. მუხლებში ჩაუვარდნენ, მაგრამ არაფრით არ მოუსმინა. ბორანმა გაცურა. მეუფე ეფრემმა კი სიმწრით ტირილი დაიწყო, რადგან ბორანი ახალი ნაკადის გადასაყვანად ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდებოდა. რამდენიმე დღეში შეიტყვეს, რომ ის ბორანი დაუბომბავთ. ყველანი დაღუპულან, უფალს მაღლობა შესწირა მეუფემ. შემდეგ ამბობდა: „სულ ვფიქრობდი, რომელი წმინდანია ასე რომ მმფარველობს ამ უცხო ქვეყანაში-მეთქი, შინ რომ დავბრუნდები, მუხლისჩოქით შევალ ჩემს ტაძარში და პირველად რომელი წმინდანის ხატსაც შევხედავ, სწორედ ის წმინდანი იქნება ჩემი მფარველი“.

მართლაც ჩამოვიდა თუ არა, ტაძარში დაჩოქილი შევიდა. წირვა შეჩერდა, როცა ტაძარში მყოფთ ერთიანად გაჭაღარავებული მღვდელმთავარი დაინახეს. (გადასახლებამდე მას შავი თმა-წვერი ჰქონდა). „თვალი გავახილდა პირველი სერაფიმე საროველის ხატს შევხედეო - ისხენებს უწმინდესი ეფრემი. ამბობდა რუსეთის მიწაზე სწორედ ეს წმინდანი მმფარველობდაო“.

### პატრიარქად არჩევა

1960 წელს მეუფე ეფრემი კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. უწმინდესი ეფრემი 12 წლის განმავლობაში მართავდა საქართველოს ეკლესიას. ურთულესი პერიოდი იყო, თითქოს პოლიტიკურად დათბა, მაგრამ ეკლესიების დევნა განახლდა და გაძლიერდა. ნიკიტა ხრუშჩოვმა ტელევიზიით განაცხადა, მე უკანასკნელ მღვდელს ეკრანიდან გაჩვენებთ, ის იქნება ბოლო სასულიერო პირი ჩვენს ცხოვრებაშიო. ისიც დასძინა, წინასწარ ვიცი ან ქართველი, ან უკრაინელი იქნება ის მღვდელიო. ასეთ რთულ დროს უწმინდესმა ეფრემმა ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინა.

ყველგან იხურებოდა ეკლესია-მონასტრები, აკადემიები, სემინარიები. რეგიონებში თითო ან ორი ტაძარი მოქმედებდა. თბილისში ასეთი იყო წმინდა ბარბარეს

ტადარი, დიდუბის ღვთისმშობლის, ალექსანდრე ნეველის, ქაშვეთის, სიონისა და მთაწმინდის ტაძრები (სულ 7 ტაძარი) ერთ-ერთი უნდა დაეხურა საბჭოთა მთავრობას. არჩევანი მთაწმინდაზე შეაჩერეს. ადრე მამადავითის ტაძარი არასოდეს დახურულა. მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატმა პირდაპირ მოსთხოვა უწმინდეს ეფრემს მისი დახურვა.

პატრიარქმა გაზეთში გაახვია ნაჯახი და ცეკაში მივიდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გივი ჯავახიშვილს გაუკვირდა მის კაბინეტში ნაჯახით შემოსული პატრიარქი რომ დაინახა.

- ეს რა არის, ბატონო ეფრემ? - ჰკითხა პატრიარქს (ხაზგასმით ბატონობით მიმართავედა).

- ეს ნაჯახი გახლავთ. თუ მთაწმინდის ტაძარს დახურავთ, აიღეთ და მეც თავი მომკვეთეთ. თუ თქვენ არ მომკვეთთ, თავს თავად მოვიკლავ და მთელი მსოფლიო გაიგებს, რატომ მოვიკალი თავიო.

დაიბნენ. შეეშინდათ, უწმინდეს ეფრემს მართლა არ შეესრულებინა დანაპირები. კი გამოცხადდა, მთაწმინდის ტაძარი დაიხურაო, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეჩერებულა წირვა-ლოცვა. ასე გადარჩა ერი კიდევ ერთ განსაცდელს.

ცნობილია ასეთი ფაქტიც, სომხეთის პატრიარქი ვაზგენი სოხუმში ყიდულობდა მიწებს სომხებისათვის. უწმინდესმა ეფრემმა წერილი მისწერა: - ძალიან კარგია, რომ ზრუნავ სომხებზე, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა მათთვის მიწები სომხეთში გამოგეყოთ, იქ ხომ ბევრი დაუსახლებელი ადგილიაო. ერთ კვირაში დაიბარეს რწმუნებულის აპარატში და მკაცრად უთხრეს: შენ ვინ გეკითხება, ვინ ვის სად უყიდის მიწასო(?!).

აფხაზეთში სხვა ეროვნების ხალხის ჩასახლების პოლიტიკა კარგა ხანია დღის წესრიგში იყო. ამას აღწერდა ქართველი მოღვაწე თედო სახოკია თავის „მოგზაურობანში“. შედეგი ჩვენ უკვე ვნახეთ.

უწმინდესი ეფრემისგან გმირობის ტოლფასი იყო, რომ მან „ახალი აღთქმა“ დაბეჭდა 5.000 ეგზემპლარად. მაშინ ქადაგებაც კი საშიში იყო, არამცთუ სახარების დაბეჭდვაზე ფიქრი. მოლაპარაკებას ცდილობდნენ, თვალს დაეხუჭავთ, ოღონდ 500 ეგზემპლარზე მეტი არ დაიბეჭდოსო. უწმინდესს უთქვამს, 500 წიგნი ვის ეყოფა, დიდი მრევლი მყავსო. ამ კამათში გივი ჯავახიშვილს მაგიდაზე ხელი დაურტყამს: - რა გააწყალეთ, ბატონო ეფრემ, გული, ვთქვით 500 ე.ი. 500 დაიბეჭდებო.

უწმინდესი ეფრემი წამომდგარა: - შენ ვის უყვირი, ორიათასწლიანი ეკლესიის მეთაურს? მე შენ აღარ დაგელაპარაკებო. ამ სიტყვებით გამოსულა კაბინეტიდან. ჩინოვნიკი უკან დაედევნა. პატრიარქი არ დაელაპარაკა. შემდეგში სამჯერ სთხოვა აუდიენცია. სამჯერვე უარი უთხრა. ერთხელ მაინც რომ მიეღო, შეიძლება 500 არა, მაგრამ 1000 დაბეჭდილიყო. პროტესტით იმას მიაღწია, რომ 5.000 დაიბეჭდა.

საოცრება იყო ისიც, რომ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ყველგან იხურებოდა სემინარიები, 1963 წელს უწმინდესმა ეფრემმა გახსნა ორწლიანი საღვთისმეტყველო-სამოძღვრო სასწავლებელი, რომელიც შემდეგში სემინარიად გადაკეთდა. სასწავლებლის პირველი რექტორი იყო სრულიად საქართველოს დღევანდელი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

### შენახული შაჰრიანი

ეფრემ II უადრესად თავმდაბალი პიროვნება იყო. ღესელიძის ქუჩაზე უყვარდა სეირნობა, მაშინ პატრიარქს ვერც კი ცნობდნენ.

იმ პერიოდში სიონის კიბე სხვანაირი იყო. ერთი მათხოვარი იჯდა ხოლმე, რომელიც ძალიან უყვარდა უწმინდეს ეფრემს. ჩაუვლიდა და ჩამოუჯდებოდა

გვერდით. ესაუბრებოდა. ერთხელ გამოიარა ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელმაც ვერც კი წარმოიდგინა, რომ შეიძლებოდა მათხოვრის გვერდით მჯდომი პატრიარქი ყოფილიყო და „მოწყალეობა გაიღო“, შაურიანი ჩაუდო ხელში. პატრიარქი მთელი სიცოცხლე ინახავდა იმ შაურიანს. ამბობდა, სწორედ ეს არის, რაც ჩემი ოფლით მოვიპოვე ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

ერთხელ ორი რუსი მღვდელმთავარი ჩამოვიდა საქართველოში. პატრიარქის ნახვა უნდოდათ. შევიდნენ ტაძარში, უწმინდესი ეფრემ II მოკრძალებით იყო ჩამომჯდარი. უბრალო კაბა ემოსა და ჭაღარა თმა სადად ჰქონდა შეკრული. რუსი მღვდელმთავრები კი დიდებულად შემოსილები გახლდნენ. შემობრუნდნენ და დაინახეს ეფრემ II. დაუძახეს:

- ია, იაიიიიიიი!
- ი ია იაიიიიიიი, - უპასუხა ეფრემმა მშვიდად.
- ია, ია ია, იაიი, ია ია?
- იაი, ია იაიი, იაი იაი.
- იაი, იაიიიიი?
- იაი, ია იაი.
- იაიიიიიი?
- იაი.
- იაიიიი? - გაოცება დაეჭყო სტუმრებს
- ია იაი.
- იაიიიიი?! - აღმოხდათ და იმ წუთში მუხლი მოიყარეს უწმინდესი ეფრემ II-ის წინაშე.

\* \* \*

უყვარდა თქმა: - ადამიანს ორი ყური იმიტომ აქვს, ერთით ისმინოს, მეორეთი - აისხლიტოსო. ყურებს შორის კი ღმერთმა ტვინი ჩაგვიდო, რომ გავარჩიოთ, რა უნდა შევუშვათ და დავიტოვოთ გონებაშიო.

ავადმყოფობის ეამს შვიდგზის ზეთისცხება შეუსრულა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. თითქოს ძალა მიეცა. ფეხზე დადგა. რამდენიმე ხანი იცოცხლა კიდევ... აღესრულა ბრწყინვალე შვიდეულში.

**სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის  
საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს  
სს რესპუბლიკაში ამხ. დ.ა. შალუტაშვილს**

## მოსხენებითი ბარათი

თქვენი დავალებით ა.წ. 4-8 მარტს მივლინებით ვიყავი აბხაზეთის ასსრ-ში. მივლინების მიზანი იყო შეგვესწავლა აბხაზეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე მდებარე ე.წ. „წმინდა ადგილები“ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან ერთად დაგვესახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ადგილებში მორწმუნეთა მასიური ლოცვის ლიკვიდაციის შესახებ.

აბხაზეთის ასსრ-ში საბჭოს რწმუნებულ ა.ი. ლაგვილავასთან ერთად შევისწავლეთ ე.წ. „წმინდა ადგილები“ აღმოჩნდა, რომ ნაცვლად 6 „წმინდა ადგილისა“, როგორც თავის ანგარიშში მიუთითებს ამხ. ა.ი. ლაგვილავა, აფხაზეთში ფაქტიურად არსებობს 3 „წმინდა ადგილი“, კერძოდ, სოხუმის რაიონის სოფ. კამანასა და სოფ. თავისუფლებაში და გუდაუთის რაიონში ახალ ათონში. დანარჩენი „წმინდა ადგილები“, კერძოდ სოფ. ილორსა, ოდიშსა და პავლოვკაში ითვლებიან არა წმინდა ადგილებად, არამედ აქ არსებულ ეკლესიების დღესასწაულებად.

გადმოცემები ე.წ. „წმინდა ადგილების“ შესახებ ძირითადი ერთნაირია. ქართული მართლმადიდებლობის წარმომადგენლები ისევე გაიგებენ მათ შინაარსს, როგორც საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის ისტორია გადმოგვცემს.

ზემოაღნიშნულ ადგილებში მორწმუნეთა მასიური მსვლელობა ხორციელდება წელიწადში ერთხელ. კამანაში ყოველი წლის 4 ივლისს, ახალ ათონში 23 მაისს, ხოლო სოფ. თავისუფლებაში – 6 მაისს. კამანაში და ახალ ათონში აღნიშნულ დღეებში მორწმუნეები მოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან, თითქმის ყველა კუთხიდან. ძირითადად კი რუსები და უკრაინელები. სოფ. თავისუფლებაში კი მიდის მხოლოდ სომეხი და ბერძენი მოსახლეობა. მაგ. ჩვენი ყოფნის დროს აქ იყო მოსული მორწმუნე უზბეკეთიდან. „წმინდა ადგილის“ არსებობა კამანაში დაკავშირებულია მთის ძირიდან გამოსულ წყალთან. მას მიაწერენ განკურნების უნარს. ამიტომ 4 ივლისს მოსული მორწმუნეები ბანაობენ მასში. ყოველი მორწმუნე, რაგინდ ავადმყოფიც არ უნდა იყოს იგი, ბანაობის შემდეგ აცხადებს, რომ იგი კარგად არის. მართალია შეიძლება გვეჩვენოს, რომ იგი ისეთივე ჩვეულებრივი წყაროა, როგორც სხვა ადგილებში, მაგრამ ფაქტია, რომ ეს წყალი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მორწმუნის ჯანმრთელობაზე. როგორც ცნობილია მედიცინაში არსებობს ფსიქოთერაპიული მეთოდი მკურნალობისა. ავადმყოფი განეწყოება რა იმისათვის, რომ იგი თუ აღნიშნულ წყალში იბანავებს, მორჩება, ბანაობის შემდეგ ის მართლაც კარგად გრძნობს თავს.

მიუხედავად იმისა, რომ კამანაში არსებულ წყაროში არავითარი სპეციფიკური არ არის და სხვა წყალშიც ისევე შეიძლება მორჩენა, როგორც ამ მდინარესი, რომელსაც გუმისთა ეწოდება, ქრისტიანული რელიგიის მიერ ოდესღაც „წმინდა ადგილად“ წოდებული გუმისთას სათავე დღესაც მაგიურად მოქმედებს მორწმუნეებზე. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმიდან კამანამდე არის ერთადერთი საკმარ და მოუწყობელი გზა, მორწმუნეები იქამდე მიდიან არა მხოლოდ ამ გზით, არამედ მთებზე გადაძაველ ვიწრო საცალფეხო ბილიკებითაც კი. შედარებით იოლია მოხვედრა ახალ ათონში, სადაც მორწმუნეებს შეუძლიათ მივიდნენ არა მხოლოდ სამანქანო, არამედ სარკინიგზო გზითაც, მაგრამ შედარებით კამანასთან ამ ადგილის იზოლაცია ადვილია. საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ ადგილას არის ერთადერთი ვიწრო მისასვლელი გზა ავტომანქანის გზიდან და სარკინიგზო ბაქნიდან. ამიტომ ამ ვიწრო მისასვლელის ჩაკეტვა მთის ძირითადი მისასვლელის გაუქმებას გამოიწვევს, რაც დღესასწაულის დღეს მორწმუნეთა შეჩერების საკმაოდ ეფექტური საშუალებაა. აღნიშნული მისასვლელის ჩაკეტვა გამართლებულია იმ

აზრით, რომ მთის ძირიდან გამოძვავალი წყარო გამოყენებულია სასმელად, ამიტომ მასსი ბანაობა ნებადართული არ არის. შედარებით რთულია მორწმუნეთა შეკავება სოფ. თავისუფლებაში მდებარე „წმინდა ადგილთან“. ძველი ეკლესიის ნანგრევის ირგვლივ არის სომხური სასაფლაო. ადგილობრივი სომხობის ნაწილი ყოველ წელს 6 მაისს მიდის თავის მიცვალებულთა საფლავზე, მაგრამ რადგან 6 მაისი არის წმ. გიორგის სახელობის დღე, აღნიშნულ ადგილას მოდის ბერძენი მოსახლეობაც.

რა ღონისძიებები იქნა დასახული ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან და აფხაზეთის ასსრ-ში საბჭოს რწმუნებულ ა.ი. ლაგვილავასთან ერთად?

საქალაქო და რაისაბჭოს აღმასკომებთან არსებული კომისიების მუშაობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ კომისიები არც სოხუმის, არც ოჩამჩირისა და არც გუდაუთის რაიონებში არ მუშაობენ. „წმინდა ადგილებიდან“ დაკავშირებით ყოველგვარი საქმის კურსში არიან მხოლოდ ამ კომისიათა თავმჯდომარეები. ე.ი. აღმასკომის მდივნები. კომისიების სუსტ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ცნობებს რელიგიური საზოგადოებიდან იღებენ არა კომისიები, არამედ უშუალოდ იღებს რწმუნებული და იგი აძლევს ამ ცნობებს კომისიებს.

რაც შეეხება „წმინდა ადგილებიდან“ დაკავშირებულ მუშაობას, მას ძირითადად ატარებს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საოლქო კომიტეტისა და ადგილობრივი მილიციის საშუალებით. სოფ. კამანაში არსებულ „წმინდა ადგილის“ ლიკვიდაციის მიზნით ამხ. ა.ი. ლაგვილავამ წამოაყენა წინადადება აღნიშნულ ადგილას მოეწყოს კალმახის მეურნეობა, რაც ჯერ ერთი, ეკონომიურად ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს და მეორეს მხრივ დაიკავებდა რა იქ გამოძვავალ წყაროს, მორწმუნეებს მექანიკურად შეუზღუდავდა იქ ბანაობის შესაძლებლობას. ეს საკითხი ოფიციალურად დაისვა, იგი თითქოსდა მიღებულ იქნა კიდევ, მაგრამ ორგანიზაციამ, რომელსაც უნდა გაეკეთებინა იგი უარი თქვა. რაიადმასკომის წინაშე დაისვა საკითხი აღნიშნული ადგილის გამოყენების შესახებ. როგორც კომისიის თავმჯდომარემ ამხ. პაიჭაძემ და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სიჭინავამ განაცხადეს, რაიადმასკომი ფიქრობს სოფ. კამანაში ააშენოს ან ღორების ანდა მეფრინველეობის ფერმა. ამით დაკავდება ის ფართობი, რომელსაც „წმინდა ადგილად“ სცნობენ და ამავე დროს ადგილი არ ექნება მორწმუნეთა მილიციის ძალებით უკან გაბრუნებას. მორწმუნეებმა, იციან რა, რომ 4 ივლისს მათ ხელს შეუშლიან კამანაში მისვლაში, მიმართეს ახალ ხერხს. მოდიან ერთი კვირით ადრე ან გვიან და სახლდებიან ადგილობრივი მოსახლეობის ბინებში. 4 ივლისს კი იქვე წყაროში ბანაობენ. იმ მიზნით, რომ ასეთ მოქმედებას არ ექნეს ადგილი, საბჭოს რწმუნებულის ინიციატივით გაფრთხილებულ იქნა სოფ. კამანაში მიმდებარეული მილიციის რწმუნებული, რომ ამ პერიოდში არ დაუშვას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მორწმუნეთათვის ბინების მიქირავება. ასევე აუკრძალოს მორწმუნეებს ღამის გათევა ღია ცის ქვეშ. ამასთან ერთად სოხუმის რაიადმასკომთან არსებული რელიგიური კულტების დარგის კანონმდებლობის დაცვის ხელშემწყობი კომისიის აქტივის წევრები მილიციის თანამშრომლებთან ერთად იმორიგეებენ ადგილზე, აუხსნიან მორწმუნეებს, რომ რელიგიური წესების შესრულება ღია ცის ქვეშ კანონმდებლობით ნებადართული არ არის, ამიტომ მათ არ უნდა შეასრულონ იგი კამანაში, სადაც არ არის მოქმედი ეკლესია. ამგვარი მუშაობა, სანამ კამანაში არსებული წყარო შემოიღობება და მიუვალი გახდება მორწმუნეებისათვის, გარკვეულად შეაფასებს მათ მსვლელობას.

თუ კამანაში არსებულ წყაროს მორწმუნეთათვის განმკურნებელი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მორწმუნეები იქ მიდიან იმისათვის, რომ იბანაონ რათა განიკურნონ, ანალოგიურ წყაროს ახალ ათონში არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ახალი

ათონის „წმინდა ადგილას“ მუშაობას ძირითადად საბჭოს რწმუნებული და ახალი ათონის სანატორიუმის დირექტორთან არსებული აქტივი აწარმოებს. ამჯერადაც ამავე აქტივთან ჩატარებულ იქნა საუბარი. გარდა იმისა, რომ ჩაკეტილი იქნება მთაში კლდეში გამოკვეთილ ეკლესიის მსგავს მღვიმესთან მისასვლელი ერთადერთი გზა, ამავე დროს დღესასწაულ დღეებში 23 მაისამდე და მის შემდეგ კვირებში ახალი ათონის სანატორიუმის ტერიტორიაზე მოეწყობა მასიური კულტურული ღონისძიებანი, რითაც მორწმუნეთა ყურადღება ერთგვარად ჩამცილებულ იქნება „წმინდა ადგილს“. ამავე დროს თვით დამსვენებლები იქნებიან მობილიზებულნი, რათა განემარტო მორწმუნეებს ამ „წმინდა ადგილის“ უაზრობა და ის, რომ ისინი თავიანთი ამ ადგილას მოსვლით და ღია ცის ქვეშ რელიგიური წესების შესრულებით არღვევენ საბჭოთა კანონმდებლობას რელიგიური კულტების დარგში.

სოფ. თავისუფლებაში მოქმედ „წმინდა ადგილზე“ სპეციფიკური მდგომარეობაა იმ მხრივ, რომ აქ მორწმუნეები მოდიან ისეთ რელიგიურ დღესასწაულზე, როგორცაა გიორგობა. აქ არსებული სომხური სასაფლაო და ძველი ეკლესიის ნანგრევები მიხნეულია წმინდა ადგილად. არც ადგილობრივმა სომეხმა მოსახლეობამ და არც ბერძნებმა არ იციან თუ რატომ თვლიან მას წმინდა ადგილად. ქართული მართლმადიდებლობაც არ სცნობს ამ ადგილს წმინდად. როგორც წესი რელიგიური დღესასწაულების დროს, კერძოდ გიორგობას 6 მაისს აქ მოსახლეობა მოდის მხოლოდ იმიტომ, რომ შესწიროს ფრინველი, ხოლო ზოგჯერ პირუტყვიც. საქართველოში ქრისტიანულ რელიგიაში შემორჩენილი კერპთაყვანისმცემლობის ეს ნიშანი, რომელიც მასიურადაა მოდებული რესპუბლიკაში განსაკუთრებით ძლიერ ვლინდება სოფ. თავისუფლებაში. აქ 6 მაისს მოჰყავთ ასობით ფრინველი. მათ კლავენ და ქეიფობენ. ამ „წმინდა ადგილას“ მსვლელობის ლიკვიდაცია მხოლოდ მასინ იქნება შესაძლებელი თუ მთლიანად იქნება აღებული როგორც ძველი ეკლესიის ნაშთი, ასევე აქ არსებული სომხური სასაფლაო. სასაფლაოს არსებობა აძნელებს მომსვლელ მორწმუნეთა უკან გაბრუნებას. ისინი აცხადებენ, რომ აქ მოდიან მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. მიუხედავად ამ სიძნელისა, კომისიასთან არსებული აქტივისა და რწმუნებულის მეშვეობით, ცხადია მილიციის ორგანოებთან ერთად ხდება დღესასწაულის დღეებში მოსახლეობის გაფრთხილება, რათა მათ თავის მხრივ ზემოქმედება მოახდინონ მორწმუნეებზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავისუფლებაში მორწმუნეთა მასიური მსვლელობის შეჩერება.

გარდა ე.წ. „წმინდა ადგილებთან“ დაკავშირებული საკითხებისა, ამხ. ვანილაშთან გავარკვეით ზოგიერთი საკითხი. კერძოდ ილორის ეკლესიიდან შემოსულ საჩივრებზე ლაგვილავას მიერ ჩვენთვის პასუხის გაუცემლობის შესახებ. ადგილზე მისვლით ვნახავთ, რომ ილორის ეკლესიის ყოფილმა აღმასრულებელმა ორგანოს თავმჯდომარემ თომა ბოკუჩავამ არ გადაუხადა რა ეკლესიას მისგან მითვისებული 7000 მანათი, სასამართლოს აღმასრულებლის მიერ აღწერილ იქნა ბოკუჩავას ქონება და გადატანილია ეკლესიაში. რადგან მომჩივნები, რომლებიც ცდილობენ როგორმე გათავისუფლებულ იქნას რწმუნებული ლაგვილავა თანამდებობიდან, მრავალცილისმწამებელ ამბებს თხზავენ თითქოსდა ლაგვილავას და ბოკუჩავას კავშირის შესახებ, ლაგვილავამ ეს საკმეები გადასცა პროკურატურის ორგანოებს გამოძიებისათვის. გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მიღებულ შედეგებს გაგვაცნობს თვითონ ლაგვილავა.

რაც შეეხება ილორის ეკლესიაში შემოსულ პირუტყვსა და ფრინველს, იმ მიზნით, რომ იგი ეკლესიის შემოსავალში შესულიყო, რწმუნებულის ინიციატივით დამზადების კანტორიდან ეკლესიაზე მიმავრებულ იქნა სპეციალური

თანამშრომელი, რომელიც ეკლესიის აღმასრულებელი ორგანოსაგან იბარებს შეწირულ პირუტყვს, ხოლო თანხას პირდაპირ რიცხავენ სახელმწიფო ბანკში ეკლესიის ანგარიშზე. მიუხედავად ლაგვილავას მიერ გატარებულ ამ ღონისძიებებისა, არც მღვდელი დ. ფიფია და არც აღმასრულებელი ორგანოსა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა არ იღებს ხელს განზრახვაზე მითვისონ ეკლესიისათვის შეწირული პირუტყვი. პირიქით, ისინი მოითხოვენ კიდევაც მას. თვით ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში მღვდელმა დ. ფიფიამ თხოვნით მიმართა ლაგვილავას დაერთო მისთვის ნება როგორც გამონაკლისი თვეში ერთხელ წაეყვანა სახლში ერთი ცხვარი და ერთი ქათამი. ამ თხოვნაზე ლაგვილავამ კატეგორიული უარი განუცხადა.

ეფიქრობთ, ამ საკითხში ლაგვილავას პოზიცია სავსებით სწორია.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც განაცხადა ლაგვილავამ „წმინდა ადგილებთან“ მორწმუნეთა მისვლაში მას საკმაოდ ეხმარება საოლქო კომიტეტი, რაც დაადასტურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ხვარჭიამ. თუმცა საბჭოს 1972 წლის 17 ოქტომბრის № 203 წერილს პასუხს გაუგზავნის ინფორმაციასთან ერთად.

### წყაროები, დამოწმებული ლიტერატურა

1. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს პატრიარქ ეფრემ II, საქმე. რვეული №1379 გვ. 1.
2. იქვე გვ. 3.

3. იქვე გვ. 4.
4. კომკავშირის მეორე შობა. თბილისი 1924 წ. გვ. 7.
5. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი ფ. 289. აღწ. 3. საქმე 290.
6. საქართველოს საპატრიარქო, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 1379. გვ. 8.
7. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. რვეული № 1664. გვ. 4.
8. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი. ფ. 284. აღწ. 3. საქმე. 241.
9. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 617. გვ. 2-3.
10. საქართველოს საპატრიარქო არქივი. საქ. № 1664. გვ. 7.
11. იქვე გვ. 8.
12. იქვე გვ. 10.
13. იქვე გვ. 11.
14. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი კ. ცინცაძის ფონდი №102. გვ. 354.
15. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 1664. გვ. 15.
16. იქვე გვ. 18.
17. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II. საქმე. საბ. № 1379. გვ. 17.
18. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 1664. გვ. 7.
19. იქვე გვ. 8.
20. იქვე გვ. 9.
21. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II საქმე. № 907.
22. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II საქმე. № 3567.
23. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე. №576.
24. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II საქმე. № 907.
25. იქვე გვ. 8.
26. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II საქმე. № 3821.
27. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ფ. 26764. არქ. 21.
28. საქ. უახლესი ისტორიის არქივი ფ. 1880 საქ. 57. 1 გვ. 1.
29. იქვე გვ. 2.
30. იქვე გვ. 4.
31. იქვე გვ. 8.
32. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 693. დოკ. 5042.
33. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქაღალდე 575. დოკ. 4778.
34. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3640.
35. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3641.
36. საქართველოს საპატრიარქო არქივი, დოკ. 3607.
37. საქართველოს საპატრიარქო არქივი ფ. 578. დოკ. 4781. გვ. 83.
38. იქვე გვ. 84.
39. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3540.
40. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 2. საქმე. 939.
41. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. № 15584.

42. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 2796.
43. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქმე. 1004.
44. საქართველოს უახლესი ისტორიის, არქივი, ფ. 1880. საქმე 145. გვ. 1.
45. ნინო მუავანაძე, მარია კახაძე, „ასეთი იყო ჩემი საქართველო“. 2003 თბილისი. გვ. 409.
46. საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II საქმე. № 4647.
47. საქართველოს საპატრიარქო არქივი, ფ. 3603.
48. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ეფრემის საქმე. № 617. გვ. 9.
49. საქართველოს საპატრიარქო არქივი, მიტროპოლიტ ილიას საქმე. № 3868.
50. იქვე გვ. 3.
51. მ. შავიანიძე მიტროპოლიტი ნაომი. ქუთაისი 2006 წ. გვ. 8.
52. იქვე გვ. 10.
53. იქვე გვ. 11.
54. იქვე გვ. 12.
55. იქვე გვ. 13.
56. ზ. ჟვანია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან. ქუთაისი. 1994. გვ. 80.
57. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“ 1985 წ. № 1.
58. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 1880. ან 1. საქმე. 76. გვ. 9-16.
59. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი ფ. 1880, ან 1. საქმე 17. ფურც. 26-34.
60. XX საუუნის 20-70-იან წლების სასულიერო პირთა ბიოგრაფიული მონაცემები საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი. ფ. 1880. ან. 1. საქ. 77.

## სარჩევი

1. ცხოვრების გზის დასაწყისი . . . . . 4
2. მღვდელმთავრობის ხანა . . . . . 14





სერგო ვარდოსანიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, კავკასიის ბეზნესსკოლის სრული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II“, (1993 წ.), „უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე“ (2000 წ.), „უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე“ (2003 წ.), „უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (2005 წ.), „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“ (2001 წ.), ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები (XIX-XX ს.ს.)“ (2004 წ.). ავტორთა კოლექტივთან ერთად „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XIX-XX ს.ს.-ში“ (ინგლისურ ენაზე შენევა 2006 წ.) იბეჭდება „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1952-2007 წლებში, უწმიდესი და უნეტარესი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ცხოვრების გზა“.